



სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით

საკითხავი სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის

ავტორი- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)

2017 წელი

სარჩევი

1. შესავალი -----	3
2. თავი I - ქუჩაში ცხოვრების მიზეზები -----	5
3. თავი II - მიუსაფარი ბავშვების საჭიროებები -----	8
4. თავი III - მიუსაფარი ბავშვების პრობლემების იდენტიფიცირება -----	10
5. თავი IV - ძალადობის პრევენცია ოჯახში, საზოგადოების როლი -----	14
6. თავი V - მიგრაცია და ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია -----	28
7. თავი VI - კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ -----	36
8. თავი VII - საკანონმდებლო რეგულაციები -----	47
9. თავი VIII - ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული მომსახურებები და ჩართული მხარეების პასუხისმგებლობები -----	61
10. თავი IX - ბავშვის რთული ქცევა და მისი მართვის ტექნიკები -----	68
11. თავი X - პრობლემური/არასასურველი ქცევის იდენტიფიცირება -----	71
12. თავი XI - ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება მიუსაფარი ბავშვების მიერ --	75
13. თავი XII - სარისკო სექსუალური ქცევა -----	79
14. თავი XIII - სუიციდი -----	83
15. თავი XIV – საზოგადოების მობილიზება და ადვოკატირება -----	96
16. დასკვნა -----	105
17. ბიბლიოგრაფია -----	106

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)“-ის მიერ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-სა და USAID-ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების დაფინანსების ფარგლებში პროექტისათვის „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“, რომლის მიზანიცაა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" სოციალური მუშაკების გადამზადება მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო შედგება 14 თავისგან და წარმოადგენს საკითხავ მასალას მიუსაფარი ბავშვების პრობლემების, მათი საჭიროებებისა და არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ, ასევე განხილულია ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია და მისი ძირითადი პრინციპები, მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები.

პროგრამის ფარგლებში შექმნილი სასწავლო მოდული მოიცავს 18 აკადემიურ საათს, მასში შესულია შემდეგი საკითხები:

- ბავშვთა და მოზარდთა ქუჩაში ცხოვრების მიზეზები
- მიუსაფარი ბავშვების პრობლემების იდენტიფიცირება სფეროების მიხედვით
- მიუსაფარი ბავშვების საჭიროებები
- ტრეფიკინგი და შრომითი ექსპლუატაცია, ეკონომიკური ძალადობა, მიგრაციის როლი
- ბავშვთა უფლებათა კონვენცია: მისი ისტორიისა და მუხლების განხილვა
- საკანონმდებლო რეგულაციები (მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებული სტანდარტები)
- ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა
- ბავშვებზე ზრუნვის სტანდარტები
- ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული მომსახურებები და ჩართული მხარეების პასუხისმგებლობა-მოვალეობები
- შემთხვევის მართვა - შემთხვევის მართვის ეტაპები და პრინციპები
- გაძლიერებაზე დაფუძნებული მიდგომა
- ინდივიდუალური განვითარებისა და მომსახურების გეგმა
- რთული ქცევა - რთული ქცევის მართვის მეთოდები

- ფსიქოაქტიური ნივთიერებები
- სარისკო სექსუალური ქცევა
- სუიციდი და თვითდაზიანება
- საზოგადოების მობილიზება და ადვოკატირება

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა საფუძვლიანი ცოდნა მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკისთვის სამუშაო პრაქტიკის ეფექტურად წარმართვისა და პროფესიული ზრდისათვის.

თავი I

ბავშვთა და მოზარდთა ქუჩაში ცხოვრების მიზეზები

წინამდებარე თავში მიმოხილულია მიუსაფარი ბავშვების ქუჩაში ცხოვრების ძირითადი გამომწვევი მიზეზები და განმაპირობებელი ფაქტორები; საკითხავი მასალა მოიცავს საქართველოში დამკვიდრებული ტერმინის - „მიუსაფარი ბავშვის“ ისტორიასა და განმარტებას.

ტერმინი „ქუჩის ბავშვი“ პირველად 1980 წელს გაჩნდა და 1994 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ შემდეგნაირად განიმარტა: „ქუჩის ბავშვად ითვლება ნებისმიერი გოგონა, თუ ბიჭი, რომელიც პასუხისმგებელი პირების მიერ სათანადოდ არ არის დაცული, არ არის მეთვალყურეობის ქვეშ და რომლისთვისაც ქუჩა არის საცხოვრებელი და არსებობის მთავარი წყარო“. ამასთან, ბავშვების ეს კატეგორია, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

- ბავშვები, რომლებიც მუშაობენ ქუჩაში და ღამეს სახლში ათევენ;
- ბავშვები, რომლებიც პერიოდულად ცხოვრობენ ქუჩაში;
- ბავშვები, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ ქუჩაში;
- ბავშვები, რომლებიც ოჯახთან ერთად ცხოვრობენ ქუჩაში და ა.შ.

დღემდე მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, რომ ტერმინი „ქუჩის ბავშვი“ დისკრიმინაციულია, ბუნდოვანია და განსხვავებული მახასიათებლებისა და საჭიროებების მქონე ბავშვთა დიდ ჯგუფს აერთიანებს. ამ სიტყვათმეთანხმების გამოყენება გარკვეულ სირთულეებს უქმნის მკვლევარებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და განმახორციელებლებს, რის გამოც წლების განმავლობაში ჩნდებოდა ალტერნატიული სახელები: „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები“, „ბავშვები ქუჩის სიტუაციებში“, „ქუჩაზე დამოკიდებული ბავშვები“, თუმცა საბოლოო ტერმინოლოგიაზე შეთანხმება არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, თუ რა სიტყვებს გამოვიყენებთ ამ ბავშვების მოსახსენებლად, ეს არის ბავშვების ის ჯგუფი, რომელთა ცხოვრება, განვითარება, ურთიერთობები და კავშირები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქუჩასთან, რაც მათი იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს. (ადამიანის უფლებათა საბჭო, მე-19 სესია).

საქართველოში ამ სფეროში მომუშავე როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორის მიერ საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ტერმინი „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები“, რომელიც გვხვდება შესაბამისი ორგანოების ზეპირსიტყვიერებაში, ასევე წერილობით ანგარიშებში, კვლევებსა თუ სხვადასხვა პუბლიკაციებში.

თუმცა, აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს კანონმდებლობაში, 2016 წელს დამკვიდრებული იურიდიული ტერმინი - „მიუსაფარი ბავშვი“, რომელიც „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებაში შემდეგნაირად არის განმარტებული:

„მიუსაფარი ბავშვი - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულწლოვანი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანებით განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, რეფერირების პროცედურების შესაბამისად“

სწორედ ამიტომ, წინამდებარე სახელმძღვანელოში „მიუსაფარი ბავშვი“ გამოყენებული იქნება, როგორც ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულწლოვანის აღმნიშვნელი, მიუხედავად იმისა იდენტიფიცირებულია ის ასეთად, თუ - არა.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მწვავედ დგას მიუსაფარი ბავშვების საკითხი. ამ პრობლემამ ქვეყანაში 90-იანი წლებიდან იჩინა თავი, როდესაც მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შედეგად უამრავი ბავშვი აღმოჩნდა სათანადო ყურადღების მიღმა. სამწუხაროდ, საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების, ოჯახური კონფლიქტების, ძალადობისა თუ სხვა პრობლემების გამო უამრავი ბავშვი რჩება ქუჩაში.

ქუჩაში ცხოვრება უაღრესად მძიმედ მოქმედებს ბავშვებზე. არასტაბილური ცხოვრების წესის, ასაკისთვის შეუფერებელი ცხოვრებისეული გამოცდილების, არაადექვატური საცხოვრებელი პირობების და სხვა მრავალ მიზეზთა გამო, მიუსაფარი ბავშვები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ.

ეფექტური პოლიტიკისა და პროგრამული ღონისძიებების შემუშავებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მიუსაფარი ბავშვების მდგომარეობის წარმომშობი დამცველი და დამაბრკოლებელი ფაქტორების სირთულე. ბავშვების ქუჩაში ცხოვრების და მუშაობის მიზეზები მრავალფეროვანია. მათი დაყოფა შემდეგ კატეგორიებად შეიძლება:

- სიღარიბე და უსახლკარობა
- ოჯახის შემადგენლობის ცვლილება, მაგალითად, განქორწინება ან მშობლის ხელახალი ქორწინება
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლა
- ალკოჰოლიზმი, სხვადასხვა ნივთიერებაზე დამოკიდებულება, როგორც ბავშვის/ მოზარდის, ასევე მასზე მზრუნველი პირის მხრიდან
- ძალადობა: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური

- განათლების ნაკლებობა, პრობლემები საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სასწავლო პროგრამის სირთულე, პრობლემები თანაკლასელებთან, მათ მშობლებთან, პედაგოგებთან, ბუღინგი და ა.შ.
- ოჯახის წევრების ჯანმრთელობის პრობლემები
- სოციალური დაცვის არასაკმარისი პროგრამები
- ბავშვის დაცვის შიდა საზოგადოებრივი მექანიზმების არარსებობა
- მიუსაფარ ბავშვთა ოჯახების სოციალური იზოლაცია
- მიგრაცია
- სკოლის შეცვლა
- ორივე, ან ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალება
- სამეგობრო წრე, სამეგობრო წრეში თვითდამკვიდრების მცდელობა
- ფულის შოვნის სურვილი (საკუთარი ნებით, ოჯახის დასახმარებლად ან იძულებით, ასევე სხვა პირის იძულებით)
- თამაშზე დამოკიდებულება
- ოჯახური კონფლიქტები, უთანხმოება მზრუნველ პირებთან
- მშობლების მოლოდინი და წნეხი (განსაკუთრებით შეძლებულ ოჯახებში - „ჩემზე იმედებს ამყარებენ, მე კი ვერ ვასრულებ მოლოდინს“)

სახლში არახელსაყრელი გარემოებებისგან თავის დასაღწევად ბავშვები ცდილობენ, ოჯახს გარეთ, დამოუკიდებლად გაიკვლიონ გზა და დაფუძნდნენ. ქუჩაში მოპოვებულ თანხას საკუთარი ან მეგობრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხარჯავენ. ქუჩაში მცხოვრები უამრავი ბავშვი და მოზარდი თვლის, რომ შემოსავლის გამომუშავებით ოჯახს ეხმარება. ხშირია შემთხვევა, ბავშვების იძულებისა ქუჩაში გამოიმუშაონ თანხა და ოჯახში მიიტანონ. ბავშვს ქუჩისკენ შეიძლება საცხოვრებლის არარსებობამ ან არაშესაბამისმა საცხოვრებელმა პირობებმაც უბიძგოს. ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ სიღარიბე განაპირობებს ბავშვის ქუჩაში გასვლას. საქართველოში ოჯახების უმრავლესობა უკიდურეს ეკონომიკურ პირობებშიც კი ახერხებს ბავშვების სახლში შენარჩუნებას, თუმცა სიღარიბემ შეიძლება უკვე ისედაც დაუცველ ოჯახში არსებული სტრესი გააღრმავოს და პრიორიტეტების შეცვლა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ბავშვის კეთილდღეობა ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე.

კითხვები დისკუსიისთვის:

- როგორ ფიქრობთ, გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, რა შეიძლება გახდეს ბავშვის ქუჩაში გასვლის მიზეზი?
- რა არის ყველაზე მთავარი ფაქტორი, რის გამოც მიუსაფარ ბავშვთა ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულდება?
- რა შეიძლება გააკეთოს სოციალურმა მუშაკმა, რომ ბავშვი ქუჩაში არ გავიდეს?

თავი II

მიუსაფარი ბავშვების საჭიროებები

წინამდებარე თავში განხილულია მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებები, სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული ინფორმაცია დაგეხმარებათ, კიდევ ერთხელ გაანალიზოთ, თუ რა პრობლემები დგას მიუსაფარი ბავშვების ცხოვრებაში და რა შეიძლება გაკეთდეს მათი საჭიროებების საპასუხოდ.

ცნობილია, რომ მიუსაფარი ბავშვები საზოგადოების უკიდურესად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია, მოხდეს არა მხოლოდ ქუჩაში მოხვედრილი ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია, არამედ მომავალი შემთხვევების პრევენციაც. მხოლოდ ერთიანი და კოორდინირებული მიდგომით შეიძლება ამ ბავშვების პრობლემების გადაჭრა და ოჯახების გაძლიერება.

პირველ რიგში, აუცილებელია ასეთი ბავშვებისა და მათი ოჯახების სოციალური მხარდაჭერა. უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს გააერთიანებს და ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას შეიმუშავებს. სოციალური დახმარების პარალელურად, საჭიროა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და დასაქმების პროგრამების შექმნა.

მიუსაფარ ბავშვებს ხშირად ხელი არ მიუწვდებათ განათლებაზე, რის გამოც საჭიროებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო - განვითარების პროგრამებსა და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას. ამ გზით მოხერხდება მათი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მათი სამომავლო დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

პროგრამები, რომლებიც სკოლის მიღმა მყოფი მიუსაფარი ბავშვებისათვის განათლების მიწოდებას ითვალისწინებს, სერტიფიცირებულ და ოფიციალურად აღიარებულ კურიკულუმს უნდა ეფუძნებოდეს. მათი ეფექტურობის გასაზომად უნდა არსებობდეს კონკრეტული ინდიკატორები. გარდა ამისა, აუცილებელია მოქნილი განრიგისა და მიწოდების მარტივი ფორმის შემუშავება, რათა ოჯახთან კავშირი არ დაირღვეს. პროგრამებმა შესაძლოა შემდეგ მიდგომებზე გაამახვილოს ყურადღება: მობილური ქუჩის

განათლება, საღამოს არაფორმალური განათლება, წერა-კითხვის გაკვეთილები, „დასაწევი“ კლასები ან ინდივიდუალური მენტორის დანიშვნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ბავშვს სახლში ამეცადინებს. სასწავლო პროგრამების მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობლების/მზუნველების ინფორმირება განათლების მნიშვნელობაზე და მათი ხელის შეწყობა, დაეხმარონ ბავშვებს სკოლის დავალების მომზადებასა და სწავლაში. თუ ოჯახის ზრდასრული წევრები განათლების დაბალი დონის ან წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ვერ აძლევენ ბავშვს სათანადო ცოდნას, აუცილებელია ამ ხარვეზის აღმოფხვრა, გამოსავლის მოძებნა. შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ზრდასრულთა განათლების კომპონენტიც.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მიუსაფარი ბავშვების სახელმწიფო სერვისებში ჩართვა ვერ ხერხდება, პირადობის დამადასტურებელი საბუთების არარსებობაა. ვინაიდან დაბადების მოწმობის, პირადობის მოწმობის არმქონე პირები რეგისტრირებულ მოქალაქეებს არ წარმოადგენენ, შეუძლებელია მათზე გავრცელდეს ადრეული განათლების პროგრამა (ბაღი), ზოგადი და საშუალო განათლება (სკოლა) და ასე შემდეგ. შესაბამისად, ილახება ბავშვის ფუნდამენტური უფლებები, ვლინდება პედაგოგიური და სოციალური ჩამორჩენა, რაც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ღრმავდება.

ცხოვრების სტილის, საცხოვრებელი გარემო პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მიუსაფარ ბავშვებს ხშირად ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აღენიშნებათ. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ ბავშვებს ხშირად არ აქვთ პირადი ნომერი ან, უმეტესად უგულვებელყოფილნი არიან მშობლების მხრიდან, არ აქვთ ჩატარებული ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრები, არ აქვთ საკმარისი განათლება და არ არიან დაცულნი სხვადასხვა სახის სარისკო ქცევებისგან. ყველაფერი ეს ზრდის მიუსაფარ ბავშვთა მოწყვლადობას ჯანმრთელობის თვასალზრისით. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ბავშვების ჩართვა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში.

კითხვები დისკუსიისთვის:

- როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებების დაკმაყოფილება მიუსაფარი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის?
- რა ბერკეტები აქვს სახელმწიფოს ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად?
- როგორია თქვენი, როგორც სოციალური მუშაკის როლი ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით?

თავი III

მიუსაფარი ბავშვების პრობლემების იდენტიფიცირება

წინამდებარე თავში განხილულია მიუსაფარ ბავშვთა პრობლემები სფეროების მიხედვით და ამ კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა. საკითხავი მასალა, ასევე მოიცავს ინფორმაციას მიუსაფარ ბავშვთა სტიგმატიზირების, მისი შედეგებისა და ასეთ ბავშვებთან მუშაობის ძირითად მეთოდებსა და ტექნიკებს.

მიუსაფარი ბავშვების პრობლემა აქტუალობას არ კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბოლო წლებში ბევრი ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფო და თემაზე მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა მოუგვარებელი რჩება.

ბავშვები, რომლებზეც ვსაუბრობთ, გადარჩენის მძაფრი ინსტიქტით ხასიათდებიან. მათ სხვა არჩევანი არც აქვთ. გარდა ზრდასრულთა ფუნქციების შეთავსებისა, ისინი მორგებულნი არიან ქუჩის ცხოვრებას. იციან, რა მეთოდებით იშოვონ ფული, როგორ გამოიყენონ „მიუსაფარი ბავშვის“ სტატუსი და როგორ დაიცვან თავი. მათ კარგად აქვთ გააზრებული და გათავისებული, რომ დამხმარე არავინ ჰყავთ და ვერავისგან მიიღებენ მზრუნველობას. ქუჩაში ცხოვრება მათ უკარგავს ბავშვობას, აიძულებს მუდმივ შიშში და ბრძოლაში ცხოვრებას, ართმევს ნორმალური განვითარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობას. ამ ხელისშემშლელი ფაქტორების გამო მიუსაფარ ბავშვებს უჭირთ, საზოგადოების სრულყოფილი წევრები გახდნენ. ამ ბავშვებს შეზღუდული აქვთ მომავლის პერსპექტივები, დაბალია მათი განათლების დონე, რის შედეგადაც არათანაბარ სასტარტო პირობებში იმყოფებიან ოჯახში გაზრდილ ბავშვებთან შედარებით.

საქართველოში არსებული ზოგადი ფონი მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით

დღეს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდი პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო პროგრამები ძირითადად მიმართულია არა ქუჩაში ცხოვრების ფენომენის პრევენციისაკენ, არამედ უკვე მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიკაცია-რეაბილიტაციისკენ. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული სერვისები მოკლევადიანია და მხოლოდ სიტუაციური პრობლემების გადაჭრისაკენ არის მიმართული. პრევენციული ღონისძიებების ასამუშავებლად კი საჭიროა გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზი.

გაეროს ინიციატივის ფარგლებში, 2012 წლიდან დაიწყო პროგრამები, 2014 წლიდან კი ბავშვების დასახმარებლად ამოქმედდა მთელი რიგი სერვისები, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს. ესენია: მობილური ჯგუფები, დღის ცენტრები და 24-საათიანი თავშესაფრები. მობილურ ჯგუფში შედის ადმინისტრაციული თანამშრომელი, ფსიქოლოგი, თანასწორგანმანათლებელი და სოციალური მუშაკი. მათი მთავარი მოვალეობაა, ქალაქის

მასშტაბით მოძებნონ მიუსაფარი ბავშვები და ჩართონ ცენტრის სერვისებში. ბავშვების ცენტრში გადაყვანა ნებაყოფლობითია. ექსპერტების შეფასებით, მობილური ჯგუფების მუშაობა ყოველთვის ეფექტური არაა. ბავშვების უმეტესობა უარს აცხადებს დღის ცენტრში მისვლაზე რამდენიმე მიზეზის გამო: არ სჯერა შემოთავაზების, წინააღმდეგობა ხვდება ოჯახისგან, ან თავად ურჩევნია, რომ დღის საათები **თანხის** გამომუშავებას დაუთმოს. დღესდღეობით მობილურმა ჯგუფებმა 856 ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვის იდენტიფიცირება და სერვისებში ჩართვა შეძლო, რაც მათ საერთო რაოდენობასთან შედარებით საკმაოდ მცირეა.

გამომდინარე იქიდან, რომ მიუსაფარი ბავშვების პრობლემები კომპლექსურია, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის თანმიმდევრული მუშაობაა საჭირო. **პირველ რიგში უნდა მოხდეს ამ ბავშვების ოჯახების გაძლიერება, რათა მათ არ მოუწიოთ, შვილების ქუჩაში გაშვება და იძულება მოწყალების თხოვნისა.** პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფოს შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტი არ გააჩნია. ამის მიუხედავად, ექსპერტების განმარტებით, სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯია პრობლემის აღიარება. სწორედ ამ აღიარების გამო გახდა შესაძლებელი ამ აქტუალური საკითხის წამოწევა ბავშვზე ზრუნვის სტრატეგიულ გეგმაში, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში.

იარლიყების „მიკერების“ თეორია

ბეკერის თეორია - აღნიშნული თეორია შეისწავლის ინდივიდებისთვის ან ჯგუფებისთვის მიწერილი პოზიტიური ან ნეგატიური თავისებურებების თანმიმდევ სოციალურ პროცესებს.

გამოიკვლიეს ნეგატიური იარლიყების გავლენა ინდივიდთა ცნობიერებაზე. ვინ ახდენს იარლიყის „მიკერებას“? როგორც წესი, მოქმედების ამა თუ იმ ტიპის კრიმინალიზაცია ხდება „სოციალური კონტროლის აგენტების“ მიერ ინდივიდუალური აქტივობის კორექტირების მიზნით. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობა ზოგიერთ სოციალურ წესს არღვევს. მაგალითად, ქუჩაში მყოფი ბავშვები სხვადასხვა მიზეზის გამო ჩადიან დევიანტურ ქმედებებს, არღვევენ სოციალურ ნორმებს და იღებენ ნარკოტიკულ საშუალებებს. როგორ იქცევა საზოგადოება ასეთი ქცევების საპირისპიროდ? ხშირ შემთხვევაში, გარშემომყოფები ბავშვებს (1) დევიანტის იარლიყს „აწებებენ“, რომელიც მიუსაფარი ბავშვის (2) სტიგმით გამოიხატება. გარემომცველი ადამიანები მათთან ისეთი სახის ურთიერთობას იწყებენ, როგორც დევიანტ ადამიანთან. თავისთავად ეს დამოკიდებულება ბავშვებს უბიძგებს, როლის შესაბამისად მოიქცნენ. მეცნიერმა შურმა (1971) დევიანტის როლში "შესვლის" პროცესს როლური შთანთქმა – ჩაყლაპვა უწოდა (სმელზერი, 24.05.2012).

საინტერესოა, რა მოლოდინს უყენებს საზოგადოება ბავშვს, რომელსაც იარლიყი „მიაკერა“? სამწუხაროდ, ადამიანები მიუსაფარი ბავშვებისგან მხოლოდ და მხოლოდ მოწყალების თხოვნას ან აგრესიულ დამოკიდებულებას ელიან. ალბათ, ხშირად გაგიგონიათ: „აგრესიულები არიან, შეურაცხყოფას აყენებენ ადამიანებს, უზრდელურად იქცევიან და

არღვევენ სოციალურ ნორმებს". მეცნიერი ლემერტის (1951) მეორადი დევიაციის თეორიის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ადამიანს ნეგატიურ თვისებას ან სახელს „მიაწებენ“, ის ეტაპობრივად ეჩვევა საკუთარი თავის დევიანტად აღქმას და როლის შესატყვისად იქცევა. ამ თეორიების მიხედვით, შესაძლებელია ავხსნათ, რა განაპირობებს მიუსაფარი ბავშვის აგრესიულ ქცევას. აშკარაა, რომ ბავშვებს აგრესია სწორედ საზოგადოების დამოკიდებულების შედეგად უყალიბდებათ. ისინი იჯერებენ, რომ იმსახურებენ სწორედ ისეთ მოპყრობას, როგორსაც იღებენ. შემდეგ კი როლში შედიან, რაც გულისხმობს საკუთარი თავის „ქუჩის ბავშვად“ აღქმას. ამას მოსდევს სტიგმისთვის დამახასიათებელი ქცევა და იმ წარმოდგენის გამართლება, რომელიც თავად საზოგადოებამ შექმნა.

პირველი კონტაქტის დამყარება ბავშვებთან და ნდობის მოპოვება

ექსპერტთა შეფასებებისა და სხვა სამუშაოების განმავლობაში მიღებული გამოცდილებით აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მიუსაფარ ბავშვებთან ურთიერთობისას მათი ნდობის მოპოვებაა. პირველი კონტაქტის დროს მთავარია ბავშვის ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის გაგება, რაც ურთიერთობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ამის შემდეგ სასურველია ხანმოკლე ურთიერთობის დამყარება და ბოლოს - ნდობის მოპოვება. უცხოებთან კონტაქტისას ბავშვების მხრიდან სამი ტიპის მიდგომა იჩენს თავს. პრაქტიკაში ვხვდებით ბავშვებს, რომლებიც თავს გარიდებენ და საერთოდ არ ამჟღავნებენ კონტაქტის სურვილს; ზოგი მიიჩნევს, რომ „ზევიდან უყურებ“ და აგრესიაზე გადმოდიან და არსებობენ ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც მოსწონხარ და თავს გაწონებენ. თუმცა, ნდობის მოპოვება სამივე შემთხვევაში რთულია. მიზეზი ცხადია: ამ ბავშვებს ძალიან რთული ცხოვრება აქვთ გამოვლილი და გულუბრყვილობის გამო ხშირად აღმოჩენილან ხიფათში, არაერთხელ ყოფილან სექსუალური თუ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი. ყველაზე დაუცველნი არიან და შესაბამისად ფრთხილობენ. უნდობლობა გამოწვეულია იმიტაც, რომ მათ ყოველდღიურ რეჟიმში უწყვეტ ძალადობასთან გამკლავება: მშობელი ან სხვა ადამიანი ძალადობს მათზე, აიძულებს მოწყალების თხოვნას, ემუქრება ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გასწორებით. აქედან გამომდინარე, თავის დასაცავად ბავშვები იგონებენ ისტორიებს ან სხაპასუხით პასუხობენ ყველა კითხვას, რომ თავიდან მოიშორონ თანამოსაუბრე. შეკითხვაზე თუ რატომ არის ქუჩაში, ბავშვი გიპასუხებთ, ჩემთვის ვარ და ფულს ვშოულობო. შეიძლება მიახლოებისას დაგელაპარაკოთ კიდევ, მაგრამ საერთოდ არ დაინტერესდება, ვინ ხართ და რატომ მიხვედით. პასუხს გაგცემთ, მაგრამ ეცდება, მალე მოგიშორეთ. ბავშვების ნდობის მოპოვებას ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად და მოთმინებით უნდა ეცადოთ. არ მოახდინოთ ზეწოლა. ესაუბრეთ მარტივად, მათსავე ენაზე. დაელაპარაკეთ მათთვის ნაცნობ საკითხებზე, ჰკითხეთ, რაზე ოცნებობენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად თავისუფლად საუბრისა, ბოლომდე დარწმუნებული ვერ იქნებით ბავშვების მონათხრობის სიზუსტეში. შესაძლებელია, რაღაც ისტორიები დამალონ, მოიგონონ და ბოლომდე გულწრფელები არ იყვნენ.

მიუსაფარ ბავშვებს უმეტესად გათავისებული აქვთ თავიანთი მდგომარეობა, იციან, ვინ არიან და რას წარმოადგენენ. ცხოვრების სტილი და საკუთარი თავის „ქუჩის ბავშვად“ ცნობა ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს მათზე. ეს ზეგავლენა გამოიხატება მეგობრების არჩევაშიც. ისინი ხშირად იმ ბავშვებთან მეგობრობენ, რომლებსაც ქუჩაში ცხოვრების პერიოდში იძენენ, თანაკლასელებთან კი იდენტობისა და მიკუთვნებულობის განცდა არა აქვთ. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია თანაკლასელების მშობლების ნეგატიური დამოკიდებულებაც.

ფაქტია, რომ ბავშვები თავს არიდებენ კლასელებთან ურთიერთობას და არ სურთ, რომ სხვებმა გაიგონ მათი საცხოვრებელი ადგილისა და მდგომარეობის შესახებ. ასეთი დამოკიდებულება, ერთის მხრივ, გამოწვეულია საერთო ინტერესების არქონით, მეორე მხრივ კი - ბარიერად ქცეული პრივილეგიებით. მიუსაფარ ბავშვებს გაცილებით უადვილდებათ იმ ბავშვებთან ურთიერთობა, რომლებთანაც თანაბარ პირობებში იმყოფებიან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საინტერესოა, თუ რაზე ფიქრობენ ან ოცნებობენ მიუსაფარი ბავშვები. როგორ უყურებენ საკუთარ მომავალს, პოზიტიურად თუ ნეგატიურად? ექსპერტების განმარტებით, ბავშვების ოცნებები ასაკის მიხედვით განსხვავებულია, თუმცა ყველა მათგანი ცდილობს, ებრძოლოს არსებულ დაბრკოლებებს და არ შეუშინდეს მომავალს. მათი მთავარი ოცნება დიდი სახლის ქონაა, სადაც ოჯახის წევრებთან ერთად იცხოვრებენ.

კითხვები დისკუსიისათვის:

- რას იწვევს მიუსაფარი ბავშვების სტიგმატიზირება და როგორ ცვლის ეს პროცესი მათ ქცევას?
- რამდენად მარტივია მიუსაფარი ბავშვის ნდობის მოპოვება და რა ნაბიჯებია გადასადგმელი ამისათვის?
- არსებული სერვისების გარდა, როგორ გესახებათ ამ ბავშვებთან სწორი მუშაობა? გთხოვთ, მოსაზრებები წარმოადგინოთ საფეხურეობრივად.

თავი IV

ძალადობის პრევენცია ოჯახში, საზოგადოების როლი

წინამდებარე თავში განხილულია ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმები, მისი არსი, გამომწვევი მიზეზები და შედეგები. საკითხავი მასალა, ასევე მოიცავს ინფორმაციას ძალადობის ნიშნების ამოცნობისა და პრევენციის მეთოდების შესახებ.

ძალადობის პრევენციისა და მართვის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია, განისაზღვროს თავად ძალადობის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები. ძალადობა შეიძლება იყოს პერსონალური ხასიათის, როდესაც სახეზეა მოძალადესა და მსხვერპლს შორის

სიტუაციურად განპირობებული უთანასწორო მდგომარეობა. პერსონალური ძალადობის სახეები ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხეულის დაზიანებაში, თავისუფლების აღკვეთაში, სხვისი სიცოცხლის ხელყოფასა და გარკვეული ნივთის განადგურებაში. ფსიქიკურ ძალადობას წარმოადგენს შეურაცხყოფა, მუქარა და დისკრიმინაცია. ამასთან, პერსონალური ძალადობა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. პირდაპირია ძალადობა, რომელიც უშუალოდ მსხვერპლზე ახდენს ფიზიკურ ან/და ფსიქო-ემოციურ ზემოქმედებას. არაპირდაპირი ძალადობის მაგალითია ოჯახში ძალადობის მავნე ზემოქმედება ბავშვზე, როდესაც ძალადობის ობიექტი უშუალოდ ბავშვი არ არის, მაგრამ ძალადობა არაპირდაპირ აისახება მის ფსიქიკაზე. გარდა ამისა, არსებობს სტრუქტურული ძალადობა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზეგავლენის მოხდენისა და ძალთა გადანაწილების უთანასწორო სისტემას. აღნიშნული ვლინდება როლების ტრადიციულ გაგებაში, აგრეთვე სოციალური იერარქიის გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებაში საზოგადოებრივი სტრუქტურების ფორმირებისას. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ცალკეულ ინდივიდებსა თუ ჯგუფებს ხელოვნური ბარიერები ექმნებათ საზოგადოებაში ინტეგრირების გზაზე.

ძალადობის გამომწვევი მიზეზები

ოჯახში ძალადობას ქალთა და ბავშვთა მიმართ, ძალადობას სკოლაში, ქუჩასა და უბანში თავისი გამომწვევი მიზეზები გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ მიზეზთა დადგენა და შემდეგ მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, რათა პრობლემა ეფექტიანად იყოს დაძლეული. კონფლიქტის, განსაკუთრებით ძალადობრივი კონფლიქტის წარმოშობის რისკი გვხვდება იმ გარემოსა და ჯგუფებში, რომლებსაც ახასიათებთ უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და სოციალიზაციის ნაკლებობა. მსხვერპლის როლში გვევლინებიან ქალები და ბავშვები, რომელთა დაუცველი მდგომარეობა მათზე ძალადობის განხორციელებას აადვილებს. აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში არ დგინდება ცალსახა კავშირი მძიმე სოციალურ გარემოში ბავშვის ჩამოყალიბებასა და მის ანტისოციალურ ქმედებებს შორის. კვლევები გვიჩვენებს, რომ ძალადობრივი ქმედებები სოციალური კეთილდღეობის მქონე ოჯახთა წარმომადგენლების მხრიდანაც ვლინდება. შესაბამისად, ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება თანაბრად ესაჭიროება საზოგადოების ყველა სეგმენტს, რაშიც სახელმწიფომ თავისი როლი უნდა შეასრულოს ოჯახის, სკოლის და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების გვერდით, მათ ფუნქციებში ჩარევის გარეშე. ძალადობის გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარება: პრობლემები დასაქმების ბაზარზე, ახალგაზრდების ფინანსური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, ბავშვებისათვის სახლის გარეთ სათამაშო სივრცის ნაკლებობა, საოჯახო საქმეებში ქალის ტრადიციული როლის დომინირება. აღნიშნული ქმნის გარემოს, რომელიც ახდენს მშობლების მატერიალურ და ემოციურ დამაბვას და ჰპოვებს ძალადობრივ გამოვლინებას. ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორს აგრეთვე წარმოადგენს ინდივიდის ნაკლები ჩართულობა საზოგადოების

ცხოვრებაში, კანონმორჩილი და აქტიური მოქალაქის იდეის დეფიციტი საზოგადოებაში. ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ალკოჰოლზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე, აზარტულ თამაშებსა და ინტერნეტზე დამოკიდებულება.

ძალადობის პრევენციის ძირითადი სფეროები ქვეყანაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტრატეგიამ მოიცვას ძალადობის პრევენციის ყველა ის მიმართულება, რომელიც საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია. ასეთი მიმართულებებია ოჯახში ძალადობის, სკოლაში ძალადობისა და ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენცია შესაბამისი მექანიზმებით. აღნიშნულს წარმოადგენს სამოქალაქო განათლება (დემოკრატიის სწავლება და დამოკიდებულების პრობლემის მავნე შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირება), მედიაცია და რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კონკრეტული პრევენციული მექანიზმები. ამასთან, აუცილებელია უკვე არსებული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლება და ძალადობის პრევენციის ახალი შესაძლებლობების დანერგვა.

ოჯახში ძალადობის პრევენცია

ოჯახში ძალადობა ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. საქართველოში იგი მჭიდრო კავშირშია ქალთა მიმართ ძალადობასთან. ის გვხვდება როგორც დაბალი სოციალური მდგომარეობის, ასევე ეკონომიურად ძლიერ და უზრუნველყოფილ ოჯახებში. აღნიშნული წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც მოითხოვს აქტიურ ძალისხმევას და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორისა და ფართო საზოგადოების მხრიდან.

ოჯახში ძალადობა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. მას აქვს ფარული, განგრძობადი და უმეტეს შემთხვევაში განმეორებითი ხასიათი. იგი თავისი შინაარსით არის სპეციფიკური, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის/წევრების მიმართ, ანუ ისეთი ახლო ნათესაური კავშირის მქონე სუბიექტებს შორის, რომელთა ურთიერთობასაც მრავალი საერთო ღირებულება და უხილავი კავშირი ახასიათებს. შესაბამისად, ოჯახში ძალადობა ლატენტური ბუნებისაა და მის შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში დახურულ სივრცეში რჩება, რაც მასთან ბრძოლის სირთულეს განაპირობებს. აღნიშნულს ემატება სოციალური სივრცის კულტურული და ეკონომიკური თავისებურებები, რაც საბოლოოდ გენდერზე დამყარებულ სოციალიზაციაში ვლინდება. ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს და თანმხლებ გარემოებას წარმოადგენს გენდერული უთანასწორობა და სოციალური ნორმები, რომლებიც გამოიყენება ტრადიციული როლების განსამტკიცებლად. აღნიშნული, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას, ემსახურება რა მამაკაცის პოზიციის წინა პლანზე წამოწევისა და საზოგადოებაში ქალის როლის დაკნინებას. შესაბამისად, ყალიბდება არაჯანსაღი ურთიერთობები, რომელსაც ახასიათებს უთანასწორობა და კონფლიქტის პოტენციალი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოჯახში

ძალადობის უპირველეს მსხვერპლად ქალები გვევლინებიან. ამასთანავე, მოწყვლად ჯგუფს ბავშვებიც წარმოადგენენ. ბავშვები ხშირად ირიბი მსხვერპლის პოზიციაში ხვდებიან. ძალადობა მათ ქცევასა თუ დამოკიდებულებებში მნიშვნელოვან ასახვას ჰპოვებს. აღნიშნული ტიპის ძალადობას უარყოფითი შედეგი მოაქვს ფიზიკური, მენტალური, რეპროდუქციული, ასევე სქესობრივი სიჯანსაღის თვალსაზრისით. იწვევს ისეთ მძიმე შედეგებს, როგორიცაა: ფიზიკური დაზიანება, დეპრესია, აშლილობა, პოსტტრავმული სტრესი, თვითმკვლელობის მცდელობა, ჭარბი ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარება, არასასურველი ორსულობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სხვა. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები მოიცავს როგორც კულტურულ, ისე სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება – მისი უფლებები (თავისუფლების და ბედნიერებისაკენ სწრაფვის ფუნდამენტური უფლებები), რაც ადამიანს დაბადებისთანავე, თანდაყოლილად გააჩნია.

ძალადობის პრევენცია სწავლების მეშვეობით

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის უმნიშვნელოვანესია ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს მოქალაქის პიროვნებად ჩამოყალიბების ეტაპზე მისი შეგნების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემას. ცხადია, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყველა იმ ინსტიტუციის თანაბარი ჩართულობა, რომელთა არსებობა/ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება მოზარდის განვითარებას. შესაბამისად, საჭიროა: სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება; აღნიშნული პროგრამების საფუძველზე, პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება; სკოლის მოსწავლეთათვის დემოკრატიისა და სხვა სოციალური ღირებულებების სწავლება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებისა და კომპრომისის მიღწევის, მეთოდების ჩათვლით; მოსწავლეთათვის ოჯახში ძალადობის შესახებ სპეციალური კურსის შეთავაზება, რომლის მიზანი იქნება მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების სწავლება. აგრეთვე, ინფორმაციის მიწოდება არასრულწლოვანთა აღზრდასა და სწავლებასთან დაკავშირებით მშობლების ან მათი იურიდიული წარმომადგენლების. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მათთვის ოჯახში ძალადობის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების გაცნობა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ ძალადობის იდენტიფიცირება და ძალადობის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება; ე. წ. ოჯახური პედაგოგიკის მეშვეობით, მოსწავლეებმა უნდა მიიღონ ცოდნა თანასწორუფლებიანი პარტნიორობის შესახებ, როგორც პირად ურთიერთობებში, ასევე შვილების აღზრდის საკითხში. თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ძალადობრივი კონფლიქტების ალტერნატიული, კომპრომისული მოგვარების გზები. ამგვარად, მოსწავლეები უნდა მოემზადონ მომავალი არაძალადობრივი და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი ოჯახური ცხოვრებისათვის;

მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში მშობლებისთვის მოეწყოს სავალდებულო სემინარები (თუნდაც მშობელთა კრების ფორმატში), სადაც მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას ოჯახში ძალადობის თემაზე, განსაკუთრებით ბავშვების ფსიქიკაზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. მშობლებს უნდა განემარტოთ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მსგავსი ქმედებების მოწმენი არიან.

გარდა სწავლებისა, არსებობს ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მართვის სხვა მრავალი საშუალება. მისი სწორად განსაზღვრა და გამოყენება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრის საქმეში. ოჯახში ძალადობის პრევენციის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს ბავშვის ფიზიკური დასჯის დაგმოება. საჭიროა მშობლებისათვის იმ გარემოების შეხსენება, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა ეწინააღმდეგება ნამდვილ აღმზრდელობით მიზნებს. ამ შეგნების ჩამოყალიბებაში სასკოლო ღონისძიებების გარდა მნიშვნელოვანია მედიის როლი შესაბამისი ვიდეორგოლების, გადაცემებისა თუ სიუჟეტების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი, რომლებიც ინსტიტუციურად ყველაზე ახლოს დგანან რიგითი მოქალაქეების ცხოვრებასა და პრობლემებთან; ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა შეექმნას სათანადო წინაპირობები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რაციონალურად წარმართვის მეშვეობით. ამისათვის საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზება; ოჯახური კონფლიქტების პრევენციის კუთხით, მნიშვნელოვანია ლოკალურ დონეზე სამეზობლო აქტივობისა და მოძღვრის ინსტიტუტის გამოყენებაც. აღნიშნული შეიძლება მოხდეს როგორც სკოლის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით. მხოლოდ ამგვარი კომუნიკაციის მეშვეობით არის შესაძლებელი იმ იზოლაციის დაძლევა, რომელშიც ხშირად ხვდება ძალადობრივი გამოცდილების მქონე ოჯახი და მისი წევრი; აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის შემდგომი წარმართვა საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად. აღნიშნულში სპეციალიზებული უნდა იყოს ცალკეული სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს თავისებურებები შეიძლება იყოს კუთხურობა, ეთნიკური კუთვნილება, რელიგიური აღმსარებლობა ან სხვა შეხედულება თუ სხვა ინდივიდუალური ფაქტორები. კამპანიის განხორციელებაში კი საჯარო სექტორთან ერთად აქტიური როლი უნდა შეასრულოს არასამთავრობო, რელიგიურმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. კულტურული ღირებულებების ხელახლა გასააზრებლად, მიზანშეწონილია მედიაკამპანიის აქტიური წარმოება, რომლის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მიმდინარე ფაქტების სწორი შეფასება. იზოლაციის დაძლევის და ცნობიერების ამაღლების პარალელურად, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მოქალაქეთა ნდობის და პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავება. ამ კუთხით, აუცილებელია საზოგადოების მომზადება პრობლემის აღიარებიდან თანამშრომლობამდე, რომლის მისაღწევად არსებითია სამოქალაქო სექტორის გააქტიურება.

მსხვერპლთა დაცვა

ძალადობის პრევენციის ერთ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მსხვერპლთა დაცვა. მნიშვნელოვანია მონიტორინგის გაძლიერება მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებების შემდგომი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მომალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომებია: მომალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდება და თავშესაფარში მოთავსება; მომალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა; მომალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები; მომალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება; სხვა ზომები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის; ამ კუთხით მნიშვნელოვანია მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებების დახვეწა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რათა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეს კომპონენტი უფრო ეფექტიანი გახდეს; აუცილებელია სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად გააძლიერონ მიზანმიმართული პოლიტიკა მსხვერპლის მხარდასაჭერად. ამის მიღწევა შესაძლებელია მათთვის ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საგანმანათლებლო კურსების, ასევე, გარკვეული პროფესიების შესწავლის ორგანიზებით. ამგვარად ხელი შეეწყობა მსხვერპლთა დამოუკიდებლობას; მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდა. ამისათვის საჭიროა ჩართული უწყებების თანამშრომელთა (მანდატურების, ექიმების (სოფლის ექიმების), სოციალური მუშაკებისა და მართლმსაჯულების სისტემის მოხელეთა) ერთობლივი გადამზადება, მათი ეფექტური გუნდური მუშაობის ხელშეწყობისთვის.

ძალადობის პრევენცია თვითმმართველობის ჩართულობით

ახალგაზრდებში ძალადობის პრევენციის პოლიტიკის და შესაბამისი პროგრამების განხორციელების კუთხით, საჭიროა ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული სამსახურების გაძლიერება. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურების ფუნქციები და მათში სოციალური მუშაკის როლი. აღნიშნული სამსახურების საქმიანობა გამოხატავს სახელმწიფოს (და საზოგადოების) პასუხისმგებლობას ახალგაზრდების ჩამოყალიბების პროცესში. შესაბამისად, ბავშვების თუ არასრულწლოვნების პრობლემების განხილვისას, ოჯახის (მშობლების) პასუხისმგებლობასთან ერთად, ყოველთვის დადგება საკითხი, თუ რა გააკეთა აღნიშნულმა სამსახურმა პრობლემის პრევენციის ან პრობლემის მოგვარებისთვის, თუნდაც მედიაციის მეშვეობით. სამსახური მორალურ, კონსულტაციურ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა სახის თანადგომას გაუწევს მშობლებს ან მეურვე პირებს, ბავშვზე მზრუნველობისა და განათლების მიღების პერიოდში; აღნიშნული სამსახურების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

უფროსი ასაკის სკოლის მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად. აღსანიშნავია, რომ 16–18 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ოჯახში აღზრდას და სასკოლო პროგრამის მეშვეობით ცნობიერების ჩამოყალიბებას, უნდა ჩაუტარდეთ სპეციალური სწავლება, თუ როგორ ინტეგრირდნენ საზოგადოებაში, როგორ გაუმკლავდნენ კონფლიქტების მაპროვოცირებელ გარემოებებს. ამასთან, ძალადობის პრევენციის ასპექტებთან ერთად, ამ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებს უნდა მიეწოდოს პრაქტიკული რჩევები, რომლებიც უკავშირდება სკოლის შემდგომ ცხოვრებას, სწავლის გაგრძელებას და შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებას სათანადო სამსახურის მოძიების მიზნით.

საზოგადოების როლი ძალადობის პრევენციისა და მართვის კუთხით ძალზე მაღალი უნდა იყოს. ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციაც საჭიროებს ინტენსიურ მხარდაჭერას საზოგადოების ყველა სექტორიდან, რათა საზოგადოებამ და სახელმწიფომ ერთობლივად უზრუნველყონ არსებული პრობლემების ეფექტიანი გადაჭრა; უნდა განისაზღვროს შესაბამისი პირები და ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოსთან თანამშრომლობით მონაწილეობას მიიღებენ ქუჩასა თუ უბანში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.

ძალადობის პრევენციის ძირითადი მექანიზმები

ძალადობის პრევენცია სამოქალაქო განათლების გზით მოქალაქეთა სოციალიზაცია და თანამონაწილეობა ის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც უშუალო კავშირშია ქვეყანაში შექმნილი ძალადობის პრობლემის მოგვარებასთან. **აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორებით განპირობებული ინდივიდის სოციალური იზოლაცია შეიცვალოს საზოგადოების ინტერესებში საკუთარი თანამონაწილეობის დანახვისა და “ჩვენ” შეგნების ჩამოყალიბებით.** სოციალიზაციის ამ იდეას ემსახურება სამოქალაქო განათლების მეშვეობით დემოკრატიული ღირებულებების სწავლება. ამ გზით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვეყნის ცხოვრებაში საზოგადოების წევრთა აქტიური მონაწილეობა და კანონმორჩილი მოქალაქის შეგნების ფორმირება. ეს იდეა ჩაანაცვლებს იმედგაცრუებული, უპასუხისმგებლო, სხვის იმედზე მყოფი და აგრესიულად განწყობილი მოქალაქის უარყოფით მაგალითს, რომელიც ადვილად ავლენს ძალადობრივ ქმედებებს.

სამოქალაქო განათლების მიზნებია: იყოს ძალადობის, ჰომოფობიის, რასიზმის, აგრესიული ნაციონალიზმის და არატოლერანტულობის წინააღმდეგ პრევენციული ბრძოლის საშუალება; მოამზადოს ბავშვები და მოზრდილები დემოკრატიულ საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და ამ გზით გააძლიეროს დემოკრატიის კულტურა ქვეყანაში; ხელი შეუწყოს საზოგადოების ერთიანობის ურღვევობას, სოციალური სამართლიანობის არსებობას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას; გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება ინფორმირებული და დემოკრატიული უნარ-ჩვევების მქონე მოქალაქეთა ჩამოყალიბების მეშვეობით; გაითვალისწინოს ეროვნული, კულტურული, რელიგიური, ისტორიული

მოვლენების თავისებურებები და წარსული გამოცდილება. მხოლოდ ასე მიიღწევა მოქალაქის შინაგანი მისწრაფებებისა და ქმედებების რეალური შესაბამისობა დემოკრატიულ ღირებულებებთან.

პრევენცია და რეაბილიტაცია

ძალადობის პრევენციისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მოქალაქეთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია წარმოადგენს პიროვნების საჭიროებებზე მორგებულ გრძელვადიან კურსს, რაც დაკავშირებულია შესაბამის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან. მოქალაქეთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კუთხით, ერთ-ერთი მთავარი როლი ეკისრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (სოციალური მუშაკების და ექიმების სახით) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (მანდატურებისა და პედაგოგების სახით). თუმცა, სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია პრობლემაზე რეაგირების დროს უზრუნველყოფილი იყოს ყველა შესაბამისი უწყების კოორდინირებული მოქმედება. ძალადობის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მაქსიმალური მდგრადობისთვის, მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო კურსის ეფექტიანი ჩატარება; არანაკლებ მნიშვნელოვანია დევიაციური ქცევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის საკითხი. მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. პირველ რიგში, აუცილებელია საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა ამ კატეგორიის ბავშვების მიმართ; ზოგადად, მნიშვნელოვანია მოსახლეობაში შესაბამისი უწყებებთან თანამშრომლობის სურვილის გაჩენა; დევიაციური ქცევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისთვის საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა: გამოვლენა, შესწავლა და რეაბილიტაცია. თითოეულ ეტაპზე სასურველია თანაბრად მონაწილეობდეს ყველა ის სახელმწიფო უწყება, რომელიც უშუალო კავშირშია ბავშვთან; ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოზარდების, 6-დან 18 წლამდე რისკ ჯგუფებისა და მათი ოჯახებისთვის კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევა.

მნიშვნელოვანია მსხვერპლ და მოძალადე პირებისთვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ფონზე მოხდეს განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება მათი სოციალური ფუნქციონირების მიზნით.

მიუსაფარი ბავშვები და ძალადობა, ძალადობის ნიშნები, მათი ამოცნობა და პრევენცია

ძირითადი მიზეზი ბავშვების ქუჩაში გასვლისა არის ოჯახური მდგომარეობა და ძალადობა. სწორედ ოჯახში განცდილი ძალადობა, ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სექსუალური უბიძგებს ბავშვს ქუჩას შეაფაროს თავი. პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით ისეთ ბავშვებს და მოზარდებს, რომლებიც ინტერესის დასაკმაყოფილებლად ცხოვრობენ და/ან მუშაობენ ქუჩაში. ქუჩაში გატარებული თითოეული დღე ბავშვებს და მოზარდებს მძიმე შრომის,

მრავალმხრივი წნეხის და ჭიდილის ფასად უჯდებათ. ისინი ყოველდღიურად ეჯახებიან და ებრძვიან დამცირებას, შეურაცხყოფას (ფიზიკურს, მორალურს), ძალადობას, სხვადასხვა მავნე ნივთიერებებს (სიგარეტი, ალკოჰოლი, წებო, ნარკოტიკი) და კრიმინალს. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები მძიმე კვალს ტოვებენ ბავშვებსა და მოზარდებზე, მათ განვითარებაზე, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

სამწუხაროდ ბავშვთა მიმართ ძალადობას ყველა კულტურაში და საზოგადოებაში ვხვდებით. ეს არ არის თანამედროვე პრობლემა, მას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. საქართველოში ბავშვზე ძალადობა აღზრდის შემადგენელი ნაწილი იყო და ჯერ კიდევ არის. ბავშვს, რომელიც მშობელს არ ემორჩილება, არ უჯერებს, ან საკუთარ აზრს და/ან სურვილს გამოთქვამს არა ერთხელ მოხვედრია მშობლის ხელი, გალანძულა და დასჯილა კიდევ.

მნიშვნელოვანია რეაგირების გარეშე არ დავტოვოთ ბავშვზე ძალადობის შემთხვევები. მაგრამ როგორ უნდა მივხედეთ არის თუ არა ბავშვი ძალადობის მსხვერპლი?

ბავშვზე ძალადობის შესაძლო ნიშნებია:

- ჩალურჯებები სხეულზე, სახეზე
- ნაკაწრები
- ჭრილობები
- დამწვრობები
- სისხლჩაქცევები
- შეშუპებები
- გადახეხილი კანი
- ნაღრმოხი კიდური, მოტეხილობა
- სხვადასხვა დროის იარა, „შრამები“
- შეფერხებული მოძრაობა, გადაადგილება
- ცვალებადი განწყობა
- უფროსი ადამიანის უცაბედ მოძრაობაზე ბავშვის რეაქცია (ბავშვი სახეზე ან თავზე რომ იფარებს ხელს)
- ფიზიკური ტრამვების სიხშირე

ჩალურჯების შეფერილობის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ თუ როდის იქნა ტრამვა მიყენებული. მოგეხსენებათ ჩალურჯება ყოველდღიურად იცვლის ფერს და დროთა განმავლობაში სრულიად ქრება. იმ შემთხვევაში თუ ბავშვის სხეულზე, ხელეზე, კისერზე, სახეზე გამუდმებით ჩნდება ახალი ჩალურჯებები ან იარები, საქმე ძალადობასთან გვაქვს. ჩალურჯების და იარის მოყვანილობით შეგვიძლია აგრეთვე დავადგინოთ თუ რითი, ხელით თუ რაიმე საგნით იქნა ჭრილობა მიყენებული. დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა: შესაძლოა თუ არა, ამგვარი სახის ტრამვა ბავშვს შემთხვევით, თამაშის დროს მიეღო? მნიშვნელოვანია ამ საკითხის თემატიზირება ბავშვთან და მოზარდთან. თუ ისინი გაურბიან ამ თემაზე საუბარს, თავს არიდებენ ან ვერ იხსენებენ თუ როგორ დაშავდნენ, მაშინ შესაძლოა ტრამვირებულ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან გვქონდეს საქმე, რაზეც სოციალურმა მუშაკმა შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს. დაფიქრდით, შეესაბამება თუ არა ბავშვის მონათხრობი რეალობას? არის თუ არა ფაქტები სანდო თუ საჭიროებს გადამოწმებას?

გადატანილი ტრამვები სხვადასხვაგვარად აისახება ბავშვის ქცევაზე. სასწრაფოდ რეაგირება გვმართებს თუ ბავშვი:

- ფრთხება სხვის ტირილზე
- ფრთხება სხვის უცაბედ მოძრაობაზე
- ფრთხება მოულოდნელ ხმაზე
- ავლენს აგრესიულ ქცევას
- ვერ მართავს ემოციებს
- აღზნებულ-გალიზიანებულია
- მიმართავს თვითდაზიანებას
- საეჭვოდ მორჩილი და დამჯერია
- ინდიფერენტულია
- პასიურია და უინიციატივო
- ავლენს უნდობლობას
- ეშინია სახლში წასვლის
- ეშინია მშობლის
- სეზონის შეუფერებლად იმოსება, რათა დამალოს იარები ან ჩალურჯებები
- არ აქვს არაფრის სურვილი, იმედი, ვერ ხედავს მომავალს.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ამოცნობა

მიუსაფარი ბავშვები ხშირად განიცდიან სექსუალურ ძალადობას. მოძალადეები შეიძლება იყვნენ მათი თანატოლები, თუნდაც უშუალოდ მეგობრები და ასევე ზრდასრული ადამიანები. მიუსაფარი ბავშვები ადრეულ ასაკშივე იღებენ ასაკისათვის შეუსაბამო ინფორმაციას და სექსუალურ გამოცდილებას, რომელიც როგორც სექსუალურ აქტში ასევე სასქესო ორგანოების

შეხებით დაკმაყოფილებას უკავშირდება. როგორც წესი ბავშვები და მოზარდები ერიდებიან ამ თემაზე გულახდილად საუბარს.

რადგან სექსუალური ძალადობა უშუალოდ "სხეულის საზღვრებს" არღვევს, მისი შედეგებიც "სხეულის ქცევაში" ვლინდება. ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სხეულს ზედმიწევნით მალავს და ნებისმიერ კონტაქტს გაურბის; ზოგი კი პირიქით, საკუთარი სხეულის დემონსტრირებას ცდილობს და სხეულს ყველას "სთავაზობს". ვინაიდან იგი სხეულის ნორმალურ საზღვრებს კარგავს და შესაბამისად ფიზიკური სიახლოვისა და დისტანციის სოციალურად მიღებული ნორმების ათვისება და დამორჩილება აღარ შეუძლია.

ყველა ქცევითი გამოვლინება სასტიკი ტრავმის "შეტყობინების" საშუალებაა.

მოზრდილებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვის ქცევაში გამოვლენილ საფრთხის შემცველ სხვადასხვა „სიგნალებს“ და იზრუნონ მის პროფესიონალურ დახმარებაზე იმ შემთხვევაში თუ ბავშვი:

- ხშირად იკიდებს ხელს სასქესო ორგანოებზე
- აგრესიულად, გაღიზიანებულად ან ძალიან სევდიანად თამაშობს მამაკაცის/ქალის როლს;
- ვერ იტანს საპირისპირო სქესს;
- ხშირად აღნიშნავს, რომ მისი სხეული უშნო ან ბინძურია; არ უყვარს თავისი სხეული;
- დაჟინებულ ინტერესს იჩენს სექსუალური ცხოვრების მიმართ, ძალუღდად ცდილობს შეეხოს სასქესო ორგანოს, ინტიმურ ადგილებს; მოითხოვს სხვების შეხებას. "უცნაურად სექსუალურად" იქცევა - ცდილობს ცდუნებაში შეიყვანოს მოზრდილი ადამიანი;
- ითხოვს, რომ სხვებმა სამოსი გაიხადონ და გატიტვლდნენ, ძალდატანებით ხდის მათ;
- ასაკისათვის შეუფერებელი სექსუალური ცოდნა აქვს; უცნობ ადამიანებს პირდაპირ უსვამს სექსუალური შინაარსის შეკითხვებს;
- ჩაცმაზე უარს ამბობს. ძალუღდად იხდის და ტიტვლდება; უარს ამბობს მარტო დატოვოს ადამიანი აბაზანაში ან ტუალეტში;
- სხვა ადამიანების თანდასწრებით არ იხდის (ექიმის, თანატოლების, ფიზკულტურის გაკვეთილზე და ა.შ.) ემინია;
- საჯაროდ, გამომწვევად ეწევა მასტურბაციას და ცდილობს აიყოლიოს სხვა ბავშვები;
- სხვა ბავშვებთან, ცხოველებთან ან სათამაშოებთან სქესობრივი აქტის და/ან ორალური სექსის იმიტაციას ახდენს;

- ემინია გარკვეული სპეციფიკური ადგილების, როგორცაა აბაზანა ან საწოლი;
- ძილის პრობლემები - ემინია დაძინების, სიზმარში კომმარებს ხედავს, ძილში ვერ ისვენებს წრიალებს, ტირის;
- პასიურია და ამავე დროულად შებოჭილი. არ გამოირჩევა სპონტანურობით. მაგ., ფიზიკულტურის გაკვეთილზე ზის დაძაბული, ფეხებზეტყუპებული, როცა სხვა ბავშვები დაქრიან, ყვირიან და ხალისობენ. უცნაურად მოძრაობს, თითქოს ცდილობს ფეხები ერთმანეთს არ დააშოროს;
- განსაკუთრებულად ფორიაქობს და აშკარად ემინია, როცა სთხოვენ ზურგზე დაწოლას;
- ემინია, გაურბის შეხებას, განსაკუთრებით მოზრდილი ადამიანებისაგან. შეხებისას თითქოს ქვავდება. გადაადგილებისას მთელი ტანით დაძაბულ-დაჭიმულია. კალთაში ჩაჯდომისას თავს უხერხულად გრძნობს; როცა ეძახიან, მოდის და ჯდება, თუმცა დაძაბულია.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური საკითხებისადმი ბავშვების ინტერესი არაერთმნიშვნელოვანი მოვლენაა და განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ როგორც ამგვარი ქცევის შეფასებისას, ისე ბავშვთან ამ საკითხზე საუბრისას. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ყველას როდი ახასიათებს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები; ზოგიერთ ბავშვს ქცევის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ნიშანი შეიძლება შევატყოთ. ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა სექსუალურ ძალადობაზე.

ემოციური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ამოცნობა

ემოციური ძალადობა ძალადობის ყველაზე ძნელად ამოსაცნობი ფორმაა, რადგან ის სხეულზე ფიზიკურ კვალს არ ტოვებს. მისი უარყოფითი შედეგები შეიძლება მხოლოდ ბავშვის ქცევასა და ემოციურ რეაქციებში გამოვლინდეს.

ემოციური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფიზიკური და ქცევითი გამოვლინებაა:

- მეტყველების დარღვევა - ბავშვს ენა ებმის, ძნელად ლაპარაკობს;
- ფსიქოსომატური ჩივილები - თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხვევა, გულის წასვლა.
- შარდის და დეფეკაციის შეუკავებლობა;
- დეპრესიული მდგომარეობა;
- ბავშვის დესტრუქციული და ავტოდესტრუქციული ქცევა;
- თავდაჯერებულობის ნაკლებობა, ძალზე დაბალი თვითშეფასება, თვითიზოლაციისაკენ მიდრეკილება;

- მოზრდილზე ზედმეტად დამოკიდებულება;
- პასიურობა, ინიციატივის არქონა;
- ხშირი ტყუილები;
- ბავშვი ასაკისათვის შეუფერებლად "დიდია" ან პირიქით, ინფანტილურია.

აღსანიშნავია, რომ თუ ბავშვი ემოციურ ძალადობას მშობლისგან განიცდის, მისი ამოცნობა მშობლებზე დაკვირვებითაც შეიძლება. მშობლები, რომლებიც ემოციურად ძალადობენ ბავშვზე, პრობლემას უარყოფენ, ყველაფერში ბავშვს ადანაშაულებენ, შეთავაზებულ დახმარებაზე უარს ამბობენ, ბავშვის მიღწევებით არ ინტერესდებიან. მათ ბავშვის კეთილდღეობა არ აწუხებთ.

უგულებელყოფილი ბავშვის ამოცნობა

მშობლის/აღმზრდელის მხრიდან ბავშვის უგულებელყოფა არის ბავშვზე ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. რთულია იმის განსაზღვრა თუ კონკრეტულად რა უნდა ჩაითვალოს უგულებელყოფად და რა არა, მაგრამ არსებითია ის, რომ ამ დროს არ კმაყოფილდება ბავშვის ისეთი ბაზისური მოთხოვნილებები, როგორიცაა ფიზიკური, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, ემოციური, უსაფრთხოებისა და სწავლის მოთხოვნილებები. უგულებელყოფად განიხილება ასევე ბავშვის დატოვება მეთვალყურეობის გარეშე. იმისათვის რომ მშობლის მოპყრობა განვიხილოთ უგულებელყოფად, აუცილებელია მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა იყოს ისეთი დონის, რომ ის ნეგატიურად აისახებოდეს ბავშვის ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე ან უქმნიდეს მას გარკვეულ ფიზიკურ საფრთხეს (მაგ. უყურადღებოდ დატოვების შემთხვევაში).

ქცევითი და ფიზიკური ნიშნები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს უგულებელყოფაზე:

- ბავშვი ფიზიკურად სუსტად განვითარებულია - დაბალია, ცოტას იწონის, სუსტია.
- მოუწესრიგებელი გარეგნული იერსახე - უსუფთაო სახე და სხეული, ჭუჭყიანი და შეუფერებელი ტანსაცმელი, აუცილებელი მოხმარების საგნების არ ქონა;
- კბილებისა და პირის ღრუს დაავადებები;
- დაღლილი და აპათიურია, ყურადღების კონცენტრირება უჭირს, ეძინება;
- მუდმივად მშვიერია;
- ბაღში/სკოლაში არარეგულარულად დადის, დროულად არ მოჰყავთ ან არ მიჰყავთ, ბაღიდან წაყვანა ავიწყდებათ;

- მოზრდილები, რომლებიც, ბავშვს აკითხავენ ხშირად იცვლებიან, ბავშვი მოჰყავთ /მიჰყავთ არაფხიზელ, არააკურატულ, მისთვის უცნობ ან მხოლოდ გარეგნულად ნაცნობ ადამიანებს;
- შეიმჩნევა წვრილმან ქურდობებში;
- არ აქვს ჰიგიენის და თვითმოვლის ელემენტარული უნარ-ჩვევები.

უგულებელყოფის შეფასებისას გვმართებს ყურადღება მივაქციოთ ოჯახის ცხოვრების რეალურ პირობებს - შესაძლოა მეზობლად სახიფათო გარემო იყოს და ამიტომაც არ უშვებდნენ ბავშვს ქუჩაში. ზოგჯერ სამუშაო პირობების გამო მშობლები იძულებულნი ხდებიან მარტოდ დატოვონ ბავშვები სახლში.

ზოგიერთ შემთხვევაში, ძალადობის ნიშნები არ არის მკაფიოდ გამოხატული და შეიძლება სხვა სომატურ სიმპტომებში აგვერიოს.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ როგორ ჩავუტაროთ ინტერვიუ მიუსაფარ ბავშვებს, რომელთაც ზრდასრულებთან არაჯანსაღი ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ და შესაბამისად მძაფრ უნდობლობას იჩენენ მათ მიმართ.

პრევენციული ღონისძიებები

მუშაობა მშობლებთან, აღმზრდელთან, ბავშვზე პასუხისმგებელ პირთან

მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ძალადობის თემაზე. თუ რა გავლენას ახდენს ინდივიდზე, მის ჯანსაღ განვითარებაზე და სოციალურ ფუნქციონირებაზე ძალადობა.

მშობლებმა/აღმზრდელმა, ბავშვზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემისა და გავლენის შესახებ, ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში ბავშვების ძალადობისგან დაცვის გზებისა და პოტენციური ძალადობისა თუ უკვე განხორციელებული ძალადობის ნიშნების ამოცნობის შესახებ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, ისევე როგორც ოჯახში ძალადობის შემსწრე ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ როგორც ქცევითი, ასევე ფიზიკური, ემოციური და სოციალური პრობლემები.

ძალადობა შესაძლოა უგულებელყოფაში გამოიხატოს. უგულებელყოფის გამომწვევი მიზეზები საქართველოში ხშირად სიღარიბე და ალკოჰოლზე დამოკიდებულებაა რაც ხშირად გვხვდება მიუსაფარ ბავშვთა ოჯახებში. სამწუხაროდ მშობლებს უბრალოდ არ აქვთ ხოლმე საკმარისი ფინანსური რესურსი ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა მშობლების ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულება მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

მენტალურმა პრობლემებმა (განსაკუთრებით დეპრესიამ) შესაძლოა მშობლის უუნარობა გამოიწვიოს და მისი ყურადღება შვილის საჭიროებების მიმართ დააბლაგვოს.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ბავშვის ემოციური მხარდაჭერის დეფიციტი დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაზე, თუ მშობელი არ გამოხატავს ბავშვის მიმართ სითბოს, არ ეფერება მას, არ ინტერესდება მისი მიღწევებითა და პრობლემებით, ბავშვს არ აქვს ჯანსაღი პიროვნული და ემოციური განვითარების შესაძლებლობა. ადრეულ ასაკში ემოციური უგულებელყოფა აფერხებს მშობლის მიმართ მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას, ხოლო სასკოლო ასაკში ხელს უწყობს დაბალი თვითშეფასების ფორმირებას. ასეთ ბავშვებს ხშირად აქვთ არასრულფასოვნების განცდა, გამოირჩევიან დაბალი აკადემიური მოსწრებით, უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა.

დასკვნა:

ძალადობას დამანგრეველი გავლენა აქვს ბავშვის კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე. თუკი ძალადობა ადრეულ ასაკში ხორციელდება, ფერხდება ისეთი უნარების განვითარება, როგორიცაა მეტყველება, ყურადღება, კონცენტრაცია, მეხსიერება. ბავშვს აღენიშნება შფოთვის მაღალი დონე, უჩნდება უნდობლობა გარშემომყოფთა მიმართ.

შედარებით გვიან ასაკში, ბავშვი შეიძლება იყოს აგრესიული თანატოლთა მიმართ, გამოავლინოს ანტისოციალური ქცევა, მიმართოს როგორც დამაზიანებელ ასევე თვითდამაზიანებელ ქცევას.

ძალადობის მსხვერპლ/შემსწრე მოზარდებში ნარკო- და ალკოჰოლდამოკიდებულების რისკი მაღალია. ისინი საკმაოდ ხშირად შედიან კანონთან კონფლიქტში (ქურდობა, ძარცვა, „ხულიგნობა“, ცივი იარაღის ტარება, ყაჩაღობა, ფიზიკური შეურაცხყოფა, ავტომობილის უკანონოდ მართვა და ა.შ).

მშობელმა, აღმზრდელმა, პასუხისმგებელმა პირმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ მსხვერპლის ამოცნობის ნიშნები და მოსალოდნელი შედეგები, არამედ გააცნობიეროს მისი წვლილი პრევენციის ასპექტში და დროულად მიმართოს სპეციალისტის დახმარებას.

თავი V

მიგრაცია და ბავშვის შრომითი ექსპლუატაცია

წინამდებარე თავი აღწერს ბავშვის შრომით და ეკონომიკურ ექსპლუატაციას, ტრეფიკინგის პრობლემას და ამ ყველაფერზე მიგრაციის როლის გავლენას; ასევე, განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ამ კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება. აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას

მოგცემთ, კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ და გაანალიზოთ, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ბავშვის მიგრაციას მის განვითარებაზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის¹ უკანასკნელი მონაცემების თანახმად, მთელ მსოფლიოში ყოველი 8 ადამიანიდან 1 მიგრანტია; აქედან 214 მლნ საერთაშორისო, ხოლო 740 მლნ. ადგილობრივი მიგრანტია. განვითარებული ქვეყნებიდან მიგრანტების დაახლოებით მესამედი 12-24 წლის ახალგაზრდაა, რომელთაგანაც მილიონობით ბავშვი 18 წელს ქვემოთ იმყოფება. ბავშვების მიგრაცია აღინიშნება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, მშობლებთან ერთად ან მათ გარეშე.

მიგრაციას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს ბავშვის განვითარებაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობასა თუ სოციალურ კეთილდღეობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ადგილის შეცვლა ხშირად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს არასრულწლოვანს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ბავშვების მიგრაცია შესაბამისი დოკუმენტაციის და/ან ოჯახის გარეშე აღინიშნება; ბავშვების უფლებების დაცვა განსაკუთრებით რთულდება იმ ქვეყანაში მიგრაციის დროს, სადაც არ არსებობს ბავშვთა სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის სერვისები. ასეთ სიტუაციებში მიგრანტი ბავშვი ექსპლუატაციისა და ბავშვთა შრომის განსაკუთრებულად მაღალი რისკის ქვეშ დგება. იზრდება შანსი, რომ არასრულწლოვანი ტრეფიკინგში ჩართონ ან მძიმე სასოფლო/საოჯახო სამუშაო დააკისრონ.

მიგრანტი ბავშვები ხშირად ხდებიან არასათანადო მოპყრობის, იზოლაციისა და ძალადობის, მსხვერპლნი. ხშირად მათ სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ამუშავებენ, ან საერთოდ არ უნაზღაურებენ შრომას. საერთაშორისო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიგრანტ ბავშვებს ადგილობრივ ბავშვებთან ერთად ნაკლები ანაზღაურება აქვთ. ისინი უფრო იშვიათად დადიან სკოლაში და სიკვდილიანობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ უამრავი ბავშვი ხდება ლეგალური თუ არალეგალური მიგრაციის მსხვერპლი, რაც შესაბამისი ორგანოების ყურადღების მიღმა რჩება. მიუხედავად იმისა, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად“. ამ პუნქტის თანახმად, უფლებები თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ადგილობრივი, ასევე მიგრანტი ბავშვისთვის.

2010 წლის ჰააგის ბავშვთა შრომის გლობალურ კონფერენციაზე მიღებულ იქნა შეთანხმება 2016 წლისათვის ბავშვთა უკიდურესი შრომის ელიმინაციის მიღწევის შესახებ. მეხუთე მუხლის თანახმად, „მთავრობებმა უნდა მიმართონ ყველა გზას, რათა მოახდინონ ბავშვთა

ყველა პოტენციური საშიშროებისა და მათ შორის უკიდურესი შრომისაგან დაცვა, მიგრაციის კონტექსტში განხილვით“.

ბავშვთა შრომით ექსპლუატაციასა და ტრეფიკინგში მიგრაციის როლის მნიშვნელობაზე საუბრობს ევროპის საბჭოც². ბავშვთა უფლებების შესახებ ევროპის საბჭოს 2016-2021 წლების სტრატეგიის თანახმად, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებულ ჯგუფს მუდმივად მიგრაციაში მყოფი ან მიგრაციის შედეგად სხვა გზით დაზარალებული ბავშვები წარმოადგენენ. ზოგიერთ ქვეყანაში მათ ხელი არ მიუწვდებათ მართლმსაჯულებაზე, განათლებაზე, სოციალურ და ჯანდაცვის მომსახურებაზე. განსაკუთრებით საშიშ სიტუაციაში არიან მიუსაფარი ბავშვები. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტი არასრულწლოვნები შესაძლოა მშობლებთან ერთად იყვნენ, მათი უფლებები ხშირად ირღვევა. ასევე ხშირად უგულებელყოფილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების პრინციპი თავშესაფარსა და მიგრაციის პროცედურებში. ბავშვის სოციალური დაცვის საპირისპიროდ - დაკავება, ეფექტური მეურვის დანიშვნის შეუძლებლობა, ოჯახის გაყოფა და ასაკის განსაზღვრის დამამცირებელი პროცედურები მიგრანტი ბავშვების უფლებების შელახვის ტრადიციული მაგალითებია. ისინი ასევე მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციისთვის.

არსებული მდგომარეობა საქართველოში

ეკონომიკური ექსპლუატაცია, ბავშვის შრომის ჩათვლით

სახალხო დამცველის ანგარიშიდან გამომდინარე გასული წლების მსგავსად, ქვეყანაში კვლავაც პრობლემურია მიუსაფარ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა. ომბუდსმენის ანგარიშში ნათლად არის აღწერილი, ბავშვთა შრომის სფეროში საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები და ის სახელმწიფოსგან ეფექტიან რეაგირებას მოითხოვს. ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი, რომელზეც ანგარიშშია საუბარი, არის ის, რომ ხშირად ბავშვებს მუშაობის გამო სკოლის დატოვება უწევთ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წელს, სხვადასხვა საფუძვლით, საბაზო საფეხურის (9 კლასის) დასრულებამდე სწავლა შეწყვიტა 3 556 არასრულწლოვანმა, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ – 6 449 არასრულწლოვანმა. რაც შეეხება მუშაობის დაწყების მიზნით სწავლის შეწყვეტას, ანგარიშის მიხედვით ირკვევა რომ ამ მიზეზით სულ 1165-მა ბავშვმა დატოვა სკოლა.

2015–2016 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებულ ბავშვთა სავარაუდო შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები. კერძოდ, ბავშვებს უხდებოდათ თავიანთ ასაკთან შეუსაბამო შრომითი სამუშაოების შესრულება სხვადასხვა კერძო სამუშაოებზე, რაც საფრთხეს უქმნიდა ბავშვების განათლებისა და ჯანდაცვის უფლების ეფექტიან აღსრულებას. წამყვანი ფაქტორი,

რის გამოც ბავშვებს უზღებთ თავიანთ ასაკთან და ფსიქო-ფიზიკური განვითარების დონესთან შეუსაბამო სამუშაოს შესრულება, სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონეა. ხშირ შემთხვევებში დროულად არ ვლინდება ბავშვთა შრომისა თუ შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები. ასევე, განსაკუთრებით აქტუალურია საკურორტო ადგილებში, ზღვის სანაპიროზე ბავშვთა შრომის საკითხი. არასრულწლოვნებს, სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, სეზონურად საკმაოდ მძიმე სამუშაოს შესრულება უზღებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირია ბავშვთა შრომის საფუძველზე სკოლის მიტოვების შემთხვევები და ოჯახებში სეზონური სამუშაოების შესრულების მიზეზით სკოლის გაცდენის ფაქტები.

საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია 138-ის (“კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ”) შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს არასრულწლოვანთა შრომითი კონტრაქტის გაფორმებას, თუკი ეს კონტრაქტი გულისხმობს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს შესრულებას და, შესაბამისად, გამორიცხავს ბავშვთა შრომის გამოყენებას “მალაროებში და კარიერებში, დამმუშავებელ მრეწველობაში, მშენებლობაში, ელექტრო, აირ- და წყალმომარაგების სამსახურებში, სანიტარულ-ტექნიკურ სამსახურში, ტრანსპორტში, საწყობებში და კავშირგაბმულობის სამსახურებში. აგრეთვე, პლანტაციებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ძირითადად კომერციული მიზნისათვის” (კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი). გარდა ამისა, კანონმდებლობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (2007 წლის 3 მაისის N1476) დადგენილების საფუძველზე, განისაზღვრა “მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი” და “შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემოს ფაქტორების, შრომის პროცესების მავნეობისა და საშიშროების მიხედვით”. კონვენციის მე-7 მუხლისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იკრძალება მოზარდთა ღამის საათებში მუშაობა (22:00 საათიდან 06:00 საათამდე). გარდა ამისა, კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფისა და მე-3 მუხლის “ბ” და “დ” ქვეპუნქტების შესაბამისად, აკრძალულია მოზარდთა დასაქმება აზარტული თამაშების ბიზნესში; ღამის გასართობ დაწესებულებებში; ეროტიკულ და პორნოგრაფიულ ინდუსტრიაში; ფარმაცევტული ან ტოქსიკური ნივთიერებების წარმოებაში, ტრანსპორტირებასა და რეალიზებაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის თანახმად, ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან

სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე, ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებით, ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ან/და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადექვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმი) უზრუნველყოფს ბავშვთა შრომითი თუ სხვა ფორმით ექსპლუატაციისგან დაცვას და ქმნის დროული გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს. ძალადობისა და ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენისას მსხვერპლი ბავშვები იგზავნიან სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თავმესაფრებში, სადაც მათ ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციის სათანადო კურსი უტარდებათ. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულები პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

2012 წლის აპრილში, ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 68-ე პარაგრაფზე დაყრდნობით, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” 2006 წლის კანონში და დაამატა ახალი თავი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბავშვთა მსხვერპლთა შესახებ, რომელიც შეიცავს ინდივიდუალური რისკების შეფასებას ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს და, აგრეთვე, იმ ბავშვებს, რომლებიც ახლდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლ მშობლებს, აქვთ კანონით მინიჭებული უფლებები და აუცილებლობის შემთხვევაში, იღებენ საცხოვრებელს, ასაკის შესაფერის განათლებასა და ბავშვის საჭიროებების შესაბამის დახმარებას. ამ ცვლილების წყალობით ქართული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სრულად არეგულირებს ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებს. ადამიანით ვაჭრობის კრიმინალიზებას “ადამიანით

ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კანონის გარდა, სისხლის სამართლის კოდექსიც ახდენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის თანახმად იკრძალება -ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა ან გადამალვა ექსპლუატაციის მიზნით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის 1432 მუხლით იკრძალება არასრულწლოვნის ტრეფიკინგი - მისი ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან/და მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ასეთი ქმედების ჩადენისთვის კანონი სასჯელის სახით, 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იმავე ქმედებების დამამძიმებელ გარემოში ჩადენის შემთხვევაში სასჯელის ვადა 17 წლამდე იზრდება; ხოლო ქმედება, რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 17-დან 20 წლამდე.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ შექმნილი მობილური ჯგუფები შედგება იურისტებისა და ფსიქოლოგებისაგან. როდესაც არსებობს ვარაუდი რომ პირი მსხვერპლია ან თავად ახდენს თვით იდენტიფიცირებას, იწვევენ მობილურ ჯგუფს, რომელიც მსხვერპლთან ინტერვიუს ატარებს, ხოლო შევსებულ კითხვარს მუდმივმოქმედ ჯგუფს გადასცემს. მობილურმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მუდმივმოქმედი ჯგუფი შედგება 5 წევრისგან, რომელსაც ამტკიცებს უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, ის გადაწყვეტილებას იღებს 4/5 ხმით. მუდმივმოქმედი ჯგუფი შედგება ერთი საერთაშორისო და ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, თუმცა წარსულში ეს იყო სახელმწიფო და არა სახელმწიფო პირი. სურვილის შემთხვევაში მსხვერპლს შესაძლოა ინტერვიუ ჩაუტაროს მუდმივმოქმედმა ჯგუფმა. თუ პირს ენიჭება მსხვერპლის სტატუსი, გაცივმა სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი მსხვერპლისა და სახელმწიფო ფონდისათვის და მსხვერპლს წერილობით ეწოდება ინფორმაცია. თუ პირს უარი ეთქვა მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე, ინფორმაცია გადაეცემა სახელმწიფო ფონდს. სამართალდამცავების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი გათანაბრებულია მუდმივმოქმედი ჯგუფის მინიჭებულ მსხვერპლის სტატუსთან. სხვა ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან სხვა ქვეყანაში არსებული ორგანიზაციის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის აღიარება ავტომატურად არ ხდება; ამ პირებს სტატუსის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ მუდმივმოქმედ ჯგუფს და მიიღონ დახმარება, მხოლოდ მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემდეგ. მუდმივმოქმედი ჯგუფი გადაწყვეტილებას მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან მასზედ უარის თქმის შესახებ წარუდგენს სახელმწიფო ფონდს. მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მისი გამჟღავნების შემთხვევაში მათ დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისგებლობა. მსხვერპლის იდენტიფიცირების

შემდეგ, ის შესაძლოა განთავსდეს თავშესაფარში და მიიღოს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მომსახურებები და დაცვა და მხარდაჭერა. მუდმივმოქმედი ჯგუფი იკრიბება მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის შესაძლო მსხვერპლის იდენტიფიცირების შემთხვევაში.

ტრეფიკინგის გამო დაზარალებულად ცნობილ პირებს უფლება აქვთ მიიღონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მომსახურება. სახელმწიფო ფონდი დაფუძნდა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მეცხრე მუხლის თანახმად, და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა წყაროებიდან. მას შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო აკონტროლებს, მართავს დირექტორი (რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი) და კოორდინაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით. ფონდის მიზანია კომპენსაციის გაცემა, დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციის ზომების დაფინანსება. სახელმწიფო ფონდი უზრუნველყოფს იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას (მათ შორის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამები), სამედიცინო მომსახურებებს, თავშესაფრის მომსახურებებს, კომპენსაციას 1000 ლარის ოდენობით, იურიდიულ მომსახურებას და ცხელი ხაზის მომსახურებებს დაზარალებულთათვის. დღეისათვის, თბილისში არსებულ თავშესაფარში შესაძლებელია 10-მდე ბენეფიციარის განთავსება, ხოლო ბათუმის თავშესაფარს ათი უფროსი და მათზე დამოკიდებული პირების მომსახურება შეუძლია.

სტატუსის მიღებამდე მსხვერპლები დროებით ძალადობის საწინააღმდეგო ქსელის თავშესაფარში რჩებიან და ვერ იყენებენ სახელმწიფო ფონდებს. პრაქტიკაში, იდენტიფიცირების პროცესი შესაძლოა 48 საათზე მეტ ხანს გაგრძელდეს. თუ 48 საათიანი იდენტიფიცირების პერიოდი გაგრძელდება, და თუ მეტი მსხვერპლის იდენტიფიცირება მოხდება (მაგალითად შრომის ინსპექციის შესაძლებლობების გაუმჯობესების გამო) ამ შემთხვევაში ძალადობის საწინააღმდეგო ქსელის რესურსებით ძალიან გართულდება სიტუაციის მართვა. GRETA-ს რეკომენდაციების შესაბამისად, 2012 წელს საქართველომ შეასწორა კანონი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და დაუმატა 4-ე თავი ბავშვი მსხვერპლების შესახებ, სადაც გათვალისწინებულია რისკის ინდივიდუალური შეფასება მათი საუკეთესო ინტერესების საფუძველზე (მუხლი 18 (6)), და აღნიშნულია რომ პირს უნდა მოექცე როგორც არასრულწლოვანს როდესაც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ ის მართლაც არასრულწლოვანია (მუხლი 18 (7)). უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, მიუსაფარი ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლისათვის დოკუმენტაციის და კანონმდებლობის მომზადების მიზნით.

სხვა ქვეყნების მაგალითი ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა იდენტიფიცირების შესახებ

იდენტიფიცირება

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა ფიზიკური და გონებრივი ძალადობის, უყურადღებობის, ცუდად მოპყრობის ან ექსპლואტაციის, მათ შორის სექსუალური შეურაცხყოფის ნებისმიერი ფორმის (მუხლი 19, CRC) და ექსპლואტაციის სხვა ფორმის ან უკანონო პრეპარატების გამოყენების (მუხლები 33, 34, 35, 36, CRC) წინააღმდეგ. ეს ეხება ორივეს – დაკავებისა და არდაკავების შემთხვევას. ყველა სათანადო ზომა უნდა იყოს გამოყენებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოჯანმრთელებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის (მუხლი 39, CRC).

ნიდერლანდები

ნიდერლანდებში ჩამოსვლისას 13 წელს ზემოთ მყოფი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები პირდაპირ იგზავნებიან ტერ აპელის (Ter Apel) თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადის ცენტრში; 13 წელს ქვევით მყოფი და მოწყვლადი ბავშვები თავსდებათ მიმღებ ოჯახში. ნიდოსი (Nidos) ტერ აპელში განთავსებული დამოუკიდებელი მზრუნველობითი ორგანოა, რომელიც ჩამოსვლისთანავე აწარმოებს მისაღებ გასაუბრებას თითოეულ ბავშვთან, რათა: (I) შეაგროვოს პერსონალური დეტალები (დროებითი) მზრუნველობის მოთხოვნისათვის; (II) გამოიკვლიოს სათანადო ტიპის მიმღები დაწესებულება ბავშვისთვის - დაცული მიმღები ცენტრი, მიმღები ოჯახი, კამპუსი, ან საცხოვრებელი ადგილი სხვა არასრულწლოვნებთან ერთად; და (III) შეაფასოს, რამდენად არის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვი ადამიანთა ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი. თუ დასტურდება, რომ ბავშვი ტრეფიკინგის მსხვერპლია, ან საშიშროების წინაშე დგას, ნიდოსი უკავშირდება მიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურს და უცხოელთა პოლიციას, რათა განიხილოს სამმხრივი ინფორმაცია და შეაფასოს რისკები. რისკების არსებობის შემთხვევაში, ნიდოსი, მიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური და უცხოელთა პოლიცია განიხილავენ ბავშვის განთავსებას უსაფრთხო სახლში, დაცულ მიმღებ დაწესებულებაში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. ბავშვის მეურვეს ნებისმიერი კრიმინალური გამოძიებისას შეუძლია განაცხადი შეიტანოს ბინადრობის ნებართვის მისაღებად, რათა ბავშვმა შეძლოს ნიდერლანდებში დარჩენა დროებით, ჰუმანიტარული საფუძვლით.

დოკუმენტაცია

ყველა ბავშვს აქვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ქონის უფლება (მუხლი 7,8, CRC; მუხლი 27, 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია); პატიმრობაში დაბადებული ნებისმიერი ბავშვი უნდა იყოს რეგისტრირებული დაბადებისთანავე (მუხლი 7, CRC; აღმასრულებელი საბჭოს დასკვნა No. 111 (LXIV), 2013). სახელმწიფოებმა უნდა გასცენ თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ბავშვებზე ინდივიდუალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს თავშესაფრის მაძიებლის ან ლტოლვილის სპეციალურ სტატუსს (მუხლი 27, 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია).

კოსტა რიკა

კოსტა-რიკაში კანონმდებლობა ღიად კრძალავს მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის საზღვრის გადმოკვეთაზე უარის თქმას; ეს ასევე ეხებათ იმ პირებს, რომელთა ასაკიც დაუდგენელია. საზღვარზე მყოფმა მიგრაციის უწყებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ასეთი პირების შესახებ ბავშვთა დაცვის ინსტიტუტს (Child Protection Institute), კომპეტენტურ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია მშობლებისა და კანონიერი მეურვის გარეშე მყოფ ბავშვებზე, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე. ბავშვთა დაცვის ინსტიტუტს მოეთხოვება ბავშვის უახლოეს სათანადო დაწესებულებაში განთავსება და მიგრაციის უწყების ლტოლვილთა სამსახურთან კავშირის ქონა მათი თავშესაფრის განაცხადის რეგისტრაციისა და

შეფასებისთვის. რეგისტრაციისას გაიცემა დროებითი დოკუმენტი. კოსტა-რიკას კანონმდებლობის მიხედვით, 18 წელს ქვემოთ მყოფ ყველა ბავშვს, მათ შორის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ მიგრანტს, თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ბავშვს, აქვს უნივერსალური წვდომა განათლებაზე და ჯანდაცვაზე.

კითხვები დისკუსიისათვის:

- როგორ ფიქრობთ, რა საერთო პრობლემებს აწყდებიან მიგრანტი და მიუსაფარი ბავშვები? რა განსხვავებები შეიძლება არსებობდეს?
- თქვენ, როგორც სოციალურ მუშაკს, რისი გაკეთება შეგიძლიათ ბავშვის შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევაში? აღწერეთ პროცედურები თანმიმდევრულად.

ტერმინთა განმარტება:

¹ **შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია** - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დაარსდა 1919 წელს. 1946 წელს იგი გაეროს პირველი სპეციალიზებული სააგენტო გახდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აყალიბებს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს კონვენციების და რეკომენდაციების სახით და ამით ადგენს ძირითადი შრომითი უფლებების მინიმალურ სტანდარტებს. ორგანიზაცია ძირითადად ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს დასაქმების პოლიტიკის, შრომის ადმინისტრაციის, შრომის კანონმდებლობის და სამრეწველო ურთიერთობების, სამუშაო პირობების, კოოპერატივების, სოციალური უსაფრთხოების, შრომითი სტატისტიკის და შრომის დაცვის, მიგრაციის, იძულებითი შრომისა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში.

² **ევროპის საბჭო** - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შედგება ევროპის 47 სახელმწიფოსგან. მისი მიზნებია: 1) ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა; 2) ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება; 3) ევროპული საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვა).

თავი VI

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

ისტორია და მუხლების მიმოხილვა

სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილში მოცემულია ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს¹ კონვენციის განმარტება და მისი შექმნის ისტორია, ასევე - გაეროს ბავშვის უფლებათა ძირითადი იდეები და პრინციპები.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ თქვენი, როგორც სოციალური მუშაკის, ვალდებულებათა უკეთ გააზრებაში, იმის გაგებაში, თუ ბავშვებთან მუშაობის პროცესში როდის და რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება, რათა თქვენი საქმიანობით საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი სათანადოდ დაიცვათ.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ბავშვის ღირსების დასაცავად - ჩვენ, ყველანი თანასწორები ვართ. აუცილებელია, ერთმანეთს პატივისცემით ვექცეოდეთ“;

- სოციალური მუშაკი, ხორვატია.

ისტორია

ბავშვის უფლებათა კონვენცია ერთ-ერთია იმ საერთაშორისო სავალდებულო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს და იცავს ბავშვთა უფლებებს. დოკუმენტი, მთელს მსოფლიოში ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, 1989 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ იქნა მიღებული, ხოლო 1990 წლის 2 სექტემბერს ოფიციალურად შევიდა ძალაში. 2017 წლის აპრილის მონაცემებით, კონვენციას მიერთებულია 196 სახელმწიფო, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებს აღებული აქვთ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა. კონვენცია თითოეულ წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს, დაიცვას ბავშვის სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რასაც ჯანდაცვის, განათლების, იურიდიულ, სამოქალაქო და სოციალურ სერვისებში სტანდარტების დანერგვით უზრუნველყოფს. ბავშვთა უფლებათა კონვენციას საქართველო 1994 წლის 21 აპრილს შეუერთდა.

ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია პირველი საერთაშორისო სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ბავშვის უფლებებს იცავს.

1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 34-ე ყრილობაზე, გადაწყვიტა, შეექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციაზე იმუშავებდა. ზუსტად ათი წლის შემდეგ, 1989 წლის 20 ნოემბერს, ბავშვის უფლებათა დეკლარაციის² 30-ე საიუბილეო თარიღზე, ასამბლეამ ბავშვის უფლებათა კონვენცია ოფიციალურად მიიღო. აღნიშნული დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ დამტკიცდა კონვენციის სამი ფაკულტატური ოქმი:

- კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ; მიღებულ იქნა 2000 წლის 25 მაისს და ძალაში შევიდა 2002 წლის 18 იანვარს.
- კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ; მიღებულ იქნა 2000 წლის 25 მაისს და ძალაში შევიდა 2002 წლის 12 თებერვალს.
- კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ; მიღებულ იქნა 2011 წლის 19 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2014 წელს.

ფაკულტატური ოქმი წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც, ოქმით გათვალისწინებულ საკითხებზე კონვენციაში შედის ცვლილებები (ემატება ახალი პროცედურები ან დებულებები). „ფაკულტატური“ ეწოდება იმიტომ, რომ მთავრობას, რომელმაც უკვე განახორციელა კონვენციის რატიფიცირება, შეუძლია, გადაწყვიტოს, განახორციელებს თუ არა ოქმის რატიფიცირებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას კონვენციის სამივე ფაკულტატური ოქმი რატიფიცირებული აქვს.

წევრი სახელმწიფოების მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგისთვის, 1991 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნა ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან. კომიტეტი, ჩვეულებრივ, წელიწადში სამჯერ, სამი კვირის განმავლობაში იკრიბება ჟენევაში. წევრი სახელმწიფოები კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით აქვეყნებენ ანგარიშებს: პირველი ანგარიში ქვეყნდება კონვენციის რატიფიცირებიდან ორი წლის შემდეგ, ხოლო შემდგომი ანგარიშები კი - ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. კომიტეტი ახორციელებს თითოეული ანგარიშის შემოწმებას, გამოაქვს დასკვნა და გასცემს რეკომენდაციებს. კომიტეტი ახდენს სახელმწიფოების მიერ ფაკულტატური ოქმების იმპლემენტაციის მონიტორინგსაც. მას წევრი სახელმწიფოებიდან ინდივიდუალური საჩივრების განხილვაც შეუძლია.

კონვენციის ზოგადი პრინციპები

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია შედგება 54 მუხლისგან, რომელთაგან პირველი 42 მუხლი ეხება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს: ბავშვის უფლებებს, სახელმწიფოს ვალდებულებებსა და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ მოვალეობებს. 43-54 მუხლებში კი საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და ზრდასრულმა მოქალაქეებმა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ზოგადი პრინციპების განმარტებაა; ეს პრინციპები ბავშვის უფლებებისადმი მიდგომას აყალიბებს და ამავდროულად, იმპლემენტაციის ეროვნული პროგრამების სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ბავშვის უფლებათა კონვენციის ამოსავალი წერტილი გახლავთ ბავშვებისადმი მოპყრობის ძირითადი ღირებულებები, მათი დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენცია ხელმძღვანელობს შემდეგი ოთხი პრინციპით (აღნიშნული მუხლები, კონვენციის დანარჩენ მუხლებთან ერთად, განხილულია ქვემოთ):

- დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 2)
- ბავშვის ძირითადი ინტერესები (მუხლი 3)
- სიცოცხლის, გადარჩენის და განვითარების უფლება (მუხლი 6)
- ბავშვის უფლება, მოუსმინონ (მუხლი 12)

კონვენციის მუხლების განხილვა

მუხლი 1 (განმარტება): კონვენციის პირველი მუხლი განმარტავს „ბავშვის“ ცნებას, რომლის თანახმადაც, „ბავშვი“ არის 18 წლამდე ასაკის პირი, თუ რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანების ასაკს. ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, გადახედონ სრულწლოვანების ასაკს, თუ ის განისაზღვრება 18 წელს ქვემოთ და გააძლიერონ თითოეული ბავშვის დაცულობის დონე.

მუხლი 2 (დისკრიმინაციის აკრძალვა): კონვენციის ამ მუხლის თანახმად, ბავშვის უფლებები უნდა გავრცელდეს ყველა ბავშვზე, განურჩევლად მათი მდგომარეობისა. კონვენციაში საუბარია იმაზე, რომ ყველა უფლება მინიჭებულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად ბავშვის ან მისი მშობლის, ან მისი კანონიერი მეურვის რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, დაბადების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ან სხვა სტატუსისა.

მუხლი 3 (ბავშვის ძირითადი ინტერესები): აღნიშნული მუხლი ეხება გაეროს კონვენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს - ბავშვის ძირითადი ინტერესების გათვალისწინებას, რაც გულისხმობს, რომ ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის ძირითადი ინტერესები უნდა იყოს დაცული და ამოსავალი წერტილი გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის. თითოეულმა ზრდასრულმა უნდა იმოქმედოს ისე, როგორც ბავშვისთვის არის საუკეთესო და იფიქროს იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს მისი ქმედება ბავშვზე. აღნიშნული უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დაგეგმვის, პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

მუხლი 4 (უფლებათა დაცვა): კონვენციის მეოთხე მუხლის მიხედვით, მთავრობა ვალდებულია, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა უზრუნველყოს ბავშვის უფლებების პატივისცემა, მისი დაცვა და შესრულება. ქვეყნების მიერ კონვენციის რატიფიცირებისას, ისინი თანხმდებიან ბავშვებთან დაკავშირებული არსებული კანონმდებლობის გადახედვაზე,

რაც სახელმწიფოების მიერ სოციალური სერვისების, სამართლებრივი, ჯანდაცვისა და განათლების სისტემებისა და მათი დაფინანსების დონის შეფასებას გულისხმობს. მთავრობა ვალდებულია, განახორციელოს ის ძირითადი ქმედებები, რომლებიც კონვენციით განსაზღვრული მინიმალური სტანდარტების დასაკმაყოფილებლადაა აუცილებელი. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ოჯახებს ბავშვთა უფლებების დაცვაში და შექმნას გარემო, რომელიც ბავშვებს განვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას მიცემს. განხორციელებული ღონისძიებები შეიძლება გულისხმობდეს არსებული კანონმდებლობის ცვლილებას, ან ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. 41-ე მუხლის თანახმად, როდესაც ქვეყანას კონვენციით გათვალისწინებულზე უფრო მაღალი დონის სამართლებრივი სტანდარტები აქვს, უპირატესობა სწორედ ამ სტანდარტებს ენიჭება.

მუხლი 5 (მშობლები): მეხუთე მუხლი ბავშვის აღზრდის საქმეში მშობლების მნიშვნელობასა და მათ პასუხისმგებლობაზე საუბრობს; ასევე, ითვალისწინებს, რომ მთავრობა მხარს უნდა უჭერდეს ოჯახების უფლებებსა და პასუხისმგებლობებს - უხელმძღვანელონ შვილების აღზრდას და განათლების მიღებას, ისე, რომ მათ თავად შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა; დაეხმარონ ბავშვებს იმის გათავისებაში, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა არ ნიშნავს, მათ მიერ ისეთი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, რომლისთვისაც ჯერ ძალიან პატარები არიან. მე-5 მუხლი ავალდებულებს მშობლებს, განიხილონ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები „ბავშვის უნარების განვითარებასთან შესაბამისობაში“. კონვენცია მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებიც მშობლებისგან მოშორებით იზრდებიან;

მუხლი 6 (სიცოცხლე, გადარჩენა და განვითარება): ბავშვებს აქვთ სიცოცხლის უფლება. მთავრობამ უნდა დაიცვას ბავშვების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

მუხლი 7 (რეგისტრაცია, სახელი, ეროვნება, ზრუნვა): ყველა ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს იურიდიულად დარეგისტრირებული სახელი და ოფიციალურად არსებობდეს სახელმწიფოსთვის. ბავშვებს აქვთ უფლება, იყვნენ რომელიმე ქვეყნის მოქალაქეები, იცოდნენ საკუთარი მშობლების ვინაობა, და შესაძლებლობის ფარგლებში, იღებდნენ მათგან მზრუნველობას.

მუხლი 8 (ინდივიდუალობის შენარჩუნება): ამ მუხლის თანახმად, ბავშვებს აქვთ ინდივიდუალობის უფლება - ოფიციალური ჩანაწერი იმის შესახებ, თუ ვინ არიან ისინი. მთავრობამ პატივი უნდა სცეს ბავშვის უფლებას, ჰქონდეს სახელი, ეროვნება და ოჯახური კავშირები.

მუხლი 9 (მშობლებისგან განცალკევება): მეცხრე მუხლის თანახმად, ბავშვებს აქვთ უფლება, ცხოვრობდნენ მშობლებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საზიანოა თავად ბავშვისთვის. ბავშვებს, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან ერთად, აქვთ უფლება, შეინარჩუნონ კონტაქტი ორივე მშობელთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საფრთხის შემცველია ბავშვისთვის.

მუხლი 10 (ოჯახის გამთლიანება): კონვენციის თანახმად, ოჯახის წევრებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, უნდა ჰქონდეთ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლის უფლება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მშობლებისა და ბავშვების კავშირის, ან მათი ერთ ოჯახად შენარჩუნება.

მუხლი 11 (მოტაცება): აღნიშნულ მუხლში საუბარია ბავშვის უფლებაზე, არ იქნას ქვეყნიდან არალეგალური გზით გაყვანილი; სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას იმისთვის, რომ აღკვეთოს მსგავსი ქმედებები. ეს ძირითადად ეხება ბავშვების გაყვანას მშობლების მიერ, ხოლო კონვენციის ფაკულტატური ოქმი - ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ, აქცენტს აკეთებს, ფინანსური დაინტერესების მიზნით, ბავშვთა გატაცების პრობლემაზე.

მუხლი 12 (ბავშვის უფლება, მოუსმინონ): კონვენციის მე-12 მუხლი უფლებას, მოსმენილ იქნას ბავშვის აზრი, შემდეგნაირად განმარტავს: როდესაც ზრდასრულები იღებენ ბავშვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, ბავშვებს აქვთ უფლება, გამოთქვან საკუთარი აზრი და ეს აზრი გათვალისწინებულ უნდა იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ მათ აქვთ უფლება, უკარნახონ მშობლებს, როგორ მოიქცნენ. კონვენცია უფროსებს ავალდებულებს, მოუსმინონ ბავშვებს და გაითვალისწინონ მათი სურვილები, თუმცა არ მიანიჭონ მათ ზრდასრულებზე მეტი ძალაუფლება. მე-12 მუხლი არ ზღუდავს მშობლების უფლებას და პასუხისმგებლობას, გამოხატონ საკუთარი შეხედულება შვილებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კონვენცია აღიარებს ბავშვის გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობას, მისი განვითარების შესაბამისად. ბავშვების უნარი, ჩამოაყალიბონ და გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, ვითარდება ასაკთან ერთად; ზრდასრულთა უმეტესობა თინეიჯერების აზრს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან შედარებით, იქნება ეს საოჯახო, საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღება.

მუხლი 13 (გამოხატვის თავისუფლება): კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, ბავშვებს აქვთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია, თუ ამ ინფორმაციის გაგება საზიანო არ არის მათთვის, ან სხვებისთვის. გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად, ბავშვებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, პატივი სცენ სხვების უფლებებს, თავისუფლებასა და რეპუტაციას. გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს, ინფორმაციის გაზიარებას ნებისმიერი გზით, რომელსაც ბავშვები თავად აირჩევენ, იქნება ეს საუბარი, წერილობითი ფორმა, თუ ხატვა.

მუხლი 14 (აზრის, სინდისის და რწმენის თავისუფლება): კონვენციის მე-14 მუხლში საუბარია ბავშვის უფლებაზე, ჰქონდეს საკუთარი აზრი და რწმენა, და იყოს რომელიმე რელიგიის მიმდევარი, თუ ეს არ ზღუდავს სხვის უფლებებს. მშობლებმა უნდა წარმართონ ბავშვთა ქმედებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კონვენცია პატივს სცემს მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ საკუთარი შვილების რელიგიური და მორალური შეხედულებების ჩამოყალიბებას. ამავე დროს, კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს, განვითარებასთან ერთად, შეიძლება გაუჩნდეთ გარკვეული კითხვები რელიგიასა და

კულტურულ ტრადიციებთან დაკავშირებით. კონვენცია მხარს უჭერს ბავშვების უფლებას, ჰქონდეთ საკუთარი რწმენა და ამავდროულად, პატივი სცენ სხვათა უფლებებსა და თავისუფლებას.

მუხლი 15 (ასოციაციების შექმნის თავისუფლება): ბავშვებს აქვთ ერთად შეკრების, ასევე ჯგუფებისა და ორგანიზაციებთან შეერთების უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არღვევს სხვათა უფლებებს. ამასთან, ბავშვებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, პატივი სცენ სხვების უფლებებს, თავისუფლებასა და რეპუტაციას.

მუხლი 16 (ხელშეუხებლობის უფლება): აღნიშნული მუხლი აყალიბებს ბავშვის უფლებას, იყოს ხელშეუხებელი, კანონით იყოს დაცული მისი ცხოვრება, სახელი და რეპუტაცია; დაუშვებელია, ბავშვები გახდნენ ოჯახისა და საცხოვრებელი ბინის უკანონოდ ხელყოფის ობიექტები.

მუხლი 17 (ინფორმაციის მიღების თავისუფლება, მასობრივი ინფორმაცია): ამ მუხლით კონვენცია განსაზღვრავს ბავშვების უფლებას, მიიღონ ის ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს მასობრივ მედიას (რადიო, ტელევიზია, გაზეთები და ინტერნეტ რესურსები), უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება ბავშვებისთვის გასაგები და მათთვის უსაფრთხო ფორმით. მასობრივი მედია განსაკუთრებით წახალისებული უნდა იყოს ინფორმაციის იმ ენაზე გავრცელებისთვის, რომელიც გასაგებია, როგორც მკვიდრი მოსახლეობისთვის, ასევე ენობრივი უმცირესობებისთვისაც. ბავშვებს აქვთ უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ საბავშვო წიგნებს.

მუხლი 18 (მშობლის პასუხისმგებლობა; სახელმწიფო დახმარება): ორივე მშობელს თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრია ბავშვების აღზრდის საქმეში. მთავრობამ პატივი უნდა სცეს მშობლების პასუხისმგებლობას, უზრუნველყონ ბავშვი შესაბამისი აღზრდის მეთოდებით. კონვენცია მთავრობას პასუხისმგებლობას უხსნის იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც ოჯახიდან მოშორებით იზრდებიან და მას სახელმწიფოებს აკისრებს. სახელმწიფოები ხელს უნდა უწყობდნენ მშობლების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მშობელი დასაქმებულია.

მუხლი 19 (ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვა): ამ მუხლში განსაზღვრულია ბავშვების უფლება, დაცული იყვნენ ნებისმიერი სახის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ზიანის მიყენებისა და არასასურველი მოპყრობისგან. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ბავშვების სათანადო წესით დაცვა მშობლების, ან ნებისმიერი სხვა მომვლელის მხრიდან წამოსული ძალადობის, უარყოფისა და შევიწროებისგან. რაც შეეხება დისციპლინას, კონვენცია არ განსაზღვრავს დასჯის იმ ფორმებს, რომელთა გამოყენებაც მშობლებს ბავშვების მიმართ შეუძლიათ. თუმცა, კონვენცია უარყოფს წესრიგის დაცვის ნებისმიერ იმ ფორმას, რომელიც ძალადობას გულისხმობს. არსებობს დისციპლინის დამყარების გზები, რომელიც ეხმარება მშობლებს, აღზარდონ ბავშვები ყოველგვარი ძალადობის გარეშე, მათი ძირითადი

ინტერესების გათვალისწინებით და თანაც ისე, რომ ჩამოუყალიბონ ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობა და მიუთითონ მათი ქცევის სოციალურ შედეგებზე. ქვეყნების უმრავლესობას კანონმდებლობით უკვე განსაზღვრული აქვს დასჯის ის მეთოდები, რომელიც გადაჭარბებულად, ან შეურაცხმყოფელადაა მიჩნეული. მსგავსი კანონების გადახედვა, კონვენციის შესაბამისობასთან მიმართებით, მთლიანად მთავრობაზეა დამოკიდებული.

მუხლი 20 (ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვები): მე-20 მუხლში საუბარია ბავშვებზე, რომლებიც არ იზრდებიან საკუთარ ოჯახებში; განსაზღვრულია მათი უფლება, ისარგებლონ მოვლის სპეციალური სერვისით, მიიღონ დახმარება ადამიანებისგან, რომლებიც პატივს სცემენ მათ ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიას, კულტურასა და ენას.

მუხლი 21 (შვილად აყვანა): ბავშვებს აქვთ უფლება, იყვნენ დაცულნი, თუ ისინი არიან შვილად აყვანილები, ან ცხოვრობენ მინდობით ოჯახში. ამ შემთხვევაშიც ამოსავალი წერტილი ბავშვის ძირითადი ინტერესების დაცვაა. მსგავსი წესები ვრცელდება ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ბავშვი აყვანილია იმავე ქვეყანაში, სადაც დაიბადა, თუ სხვა ქვეყანაში.

მუხლი 22 (დევნილი ბავშვები): დევნილ ბავშვებს (თავისივე ქვეყანაში, ან სხვა ქვეყანაში) აქვთ უფლება, კონვენციით განსაზღვრული თითოეული უფლების გარდა, მიიღონ სპეციალური მზრუნველობა და დახმარება.

მუხლი 23 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები): ბავშვებს, ნებისმიერი ტიპის შეზღუდული შესაძლებლობით, აქვთ უფლება, მიიღონ სპეციალური დახმარება და მხარდაჭერა. ასევე, ისარგებლონ კონვენციით განსაზღვრული თითოეული უფლებით ისე, რომ შეძლონ სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრება.

მუხლი 24 (ჯანდაცვა და ჯანმრთელობის დაცვის სერვისები): ბავშვებს აქვთ უფლება, ისარგებლონ მაღალი ხარისხის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით, მიიღონ უსაფრთხო სასმელი წყალი, საკვები, სუფთა და უსაფრთხო გარემო და ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე, რომელიც დაეხმარება მათ, იყვნენ ჯანმრთელები. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს ამ მიზნის მიღწევაში.

მუხლი 25 (მკურნალობის პირობების შეფასება მზრუნველობის სისტემაში): სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს აქვთ უფლება, რეგულარულად მოწმდებოდეს მათი საცხოვრებელი პირობები, სტანდარტებთან შესაბამისობაში. მათზე ზრუნვა და მკურნალობა ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს „ბავშვის ძირითადი ინტერესების დაცვას“.

მუხლი 26 (სოციალური დაცვა): ბავშვებს აქვთ უფლება, დაცულნი იყვნენ სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი გზით, ან მეურვეების მეშვეობით, თუ ისინი არიან ღარიბები, ან სპეციალური საჭიროების მქონე პირები.

მუხლი 27 (ცხოვრების შესაბამისი სტანდარტი): ბავშვებს აქვთ უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ ცხოვრების ისეთ სტანდარტებზე, როგორიც აუცილებელია მათი ფიზიკური და მენტალური

საჭიროებებისათვის. მთავრობა უნდა ეხმარებოდეს იმ ოჯახებსა და მეურვეებს, რომელთაც არ შეუძლიათ მსგავსი საცხოვრებელი პირობებით ბავშვების უზრუნველყოფა; ეს განსაკუთრებით ეხება ბავშვების უზრუნველყოფას საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით.

მუხლი 28 (განათლების მიღების უფლება): ბავშვებს აქვთ უფლება, მიიღონ დაწყებითი განათლება უფასოდ. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს ამ უფლების დაცვაში. სკოლაში არსებული დისციპლინა პატივს უნდა სცემდეს ბავშვების ღირსებას, იმისათვის, რომ ბავშვებმა მიიღონ სარგებელი. სკოლები უნდა მუშაობდნენ წესრიგის დაცვით - ყოველგვარი ძალადობის გარეშე. სკოლის დისციპლინის ნებისმიერი ფორმა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ღირსების დაცვას. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სკოლის ადმინისტრაციამ გადახედოს საკუთარ პოლიტიკას და აღმოფხვრას პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ბავშვზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, მის უგულვებელყოფასა და შეურაცხყოფას. კონვენცია განსაზღვრავს განათლების მაღალ ღირებულებას. ახალგაზრდები უნდა იყვნენ წახალისებულნი, რომ მიიღონ საკუთარი შესაძლებლობის შესაბამისი განათლების მაქსიმალური დონე.

მუხლი 29 (განათლების მიღების მიზნები): კონვენციაში აღიარებულია ბავშვის მიერ განათლების მიღების აუცილებლობა და აღნიშნულია, რომ განათლებამ მაქსიმალურად უნდა განავითაროს თითოეული ბავშვის პიროვნება, ტალანტი და შესაძლებლობები. მან ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების მიერ სხვათა უფლებების, საკუთარი და სხვისი კულტურის პატივისცემას. ის ასევე უნდა დაეხმაროს მათ, იცხოვრონ მშვიდობიანად, დაიცვან გარემო და პატივი სცენ სხვა ადამიანებს. ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, პატივი სცენ მშობლებს. ამიტომ განათლების მიღების ერთ-ერთ მიზნად, კონვენციას განსაზღვრული აქვს ბავშვების მიერ პატივისცემის განმტკიცება მშობლების ღირებულებებისა და კულტურისადმი. კონვენცია არ ითვალისწინებს სკოლასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფორმები, ჩაცმის წესები, ეროვნული ჰიმნის შესრულება, ან ლოცვა სკოლებში. საზოგადოებისა და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, თითოეული მთავრობა და სკოლის ადმინისტრაცია თავად განსაზღვრავს, შეუქმნის თუ არა საფრთხეს მსგავსი ქცევა კონვენციით მინიჭებული სხვათა უფლებებს.

მუხლი 30 (უმცირესობების/მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვები): უმცირესობის წარმომადგენლებსა და მკვიდრ მოსახლეობას აქვთ უფლება, იცნობდნენ და იცავდნენ საკუთარ კულტურას, ენასა და რელიგიას; იცხოვრონ საკუთარი კულტურის შესაბამისად. კონვენცია ამ მუხლში აღნიშნულ უფლებებს გამოყოფს იმ შემთხვევებში, როდესაც უმცირესობათა წეს-ჩვეულებები განსხვავებულია დომინანტი კულტურისგან.

მუხლი 31 (დასვენება, თამაში და კულტურა): ბავშვებს აქვთ დასვენების და თამაშის უფლება; ასევე, უფლება, მონაწილეობდნენ სხვადასხვა კულტურულ, ხელოვნებისა და რეკრეაციულ აქტივობებში.

მუხლი 32 (ბავშვის მუშაობა): მთავრობამ უნდა დაიცვას ბავშვები ისეთი შრომისგან, რომელიც საშიში ან საზიანოა მათი ჯანმრთელობისთვის და ხელს უშლის განათლების მიღებას. კონვენცია იცავს ბავშვებს საზიანო და ექსპლუატაციური შრომისგან, მაგრამ არ უკრძალავს მშობლებს, დაიხმარონ ბავშვები სახლის იმ საქმეებში, რომლებიც უსაფრთხოა და მათი ასაკისთვის შესაფერისი. თუ ბავშვები მონაწილეობენ საოჯახო ფერმისა და ბიზნესის საქმიანობაში, სამუშაო, რომელსაც ისინი ახორციელებენ, უნდა იყოს უსაფრთხო, შეესაბამებოდეს მათი განვითარების დონეს და თანხმდებოდეს შრომის ეროვნულ კანონმდებლობასთან. ბავშვების მუშაობა რისკის ქვეშ არ უნდა აყენებდეს სხვა დანარჩენ უფლებებს, მათ შორის განათლების მიღების, დასვენებისა და თამაშის უფლებას.

მუხლი 33 (წამლის უკანონო მოხმარება): მთავრობამ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა დაიცვას ბავშვები წამლის უკანონოდ გამოყენებისა და კანონსაწინააღმდეგო ვაჭრობის პროცესში ჩართვისგან.

მუხლი 34 (სექსუალური ექსპლუატაცია): მთავრობამ უნდა დაიცვას ბავშვები ნებისმიერი სახის სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან. ეს მდგომარეობა გამყარებულია კონვენციის ფაკულტატური ოქმით ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ.

მუხლი 35 (გატაცება, ვაჭრობა და ტრეფიკინგი): მთავრობებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა არ მოხდეს ბავშვების გატაცება, მათი გაყიდვა და ტრეფიკინგში ჩართვა. ეს მდგომარეობა გამყარებულია ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმით.

მუხლი 36 (ექსპლუატაციის სხვა ფორმები): ბავშვები დაცულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რომელიც გულისხმობს მათ გამოყენებას, ან ზიანს აყენებს მათ კეთილდღეობასა და განვითარებას.

მუხლი 37 (დაკავება და სასჯელი): არავის აქვს უფლება, დასაჯოს ბავშვი სასტიკი, ან საშიში გზით. ბავშვები, რომლებმაც დაარღვიეს კანონი, არ უნდა დაისაჯონ სასტიკი მეთოდებით. ისინი არ უნდა იმყოფებოდნენ პატიმრობაში ზრდასრულებთან ერთად. მათ აქვთ უფლება, შეინარჩუნონ კონტაქტი ოჯახთან. არ შეიძლება მათი სიკვდილით დასჯა, ან სამუდამო პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს გათავისუფლების შესაძლებლობას.

მუხლი 38 (ომი და შეიარაღებული კონფლიქტები): მთავრობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ დაიცვან და იზრუნონ ომით დაზარალებულ ბავშვებზე. არ შეიძლება, 15 წლამდე ასაკის ბავშვებს დაევალოთ ომში მონაწილეობის მიღება, ან სამხედრო ძალებთან შეერთება. ეს მდგომარეობა გამყარებულია კონვენციის ფაკულტატური ოქმით ბავშვთა შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ, რომლის თანახმადაც, სამარ მოქმედებებში ბავშვების პირდაპირი მონაწილეობა და სავალდებულო გაწვევა იკრძალება 18 წლამდე.

მუხლი 39 (ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაცია): აუცილებელია, უზულებელყოფის, ექსპლუატაციისა და ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებული ბავშვების სრული ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, საზოგადოებაში რეინტეგრაცია. ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების შენარჩუნებაზე.

მუხლი 40 (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება): ბავშვებს, რომლებიც ბრალდებულნი არიან კანონის დარღვევაში, აქვთ უფლება, მოითხოვონ იურიდიული დახმარება და სათანადო მკურნალობა მართლმსაჯულების სისტემაში, რომელიც პატივს სცემს მათ უფლებებს. მთავრობებს მოეთხოვებათ, დააწესონ მინიმალური ასაკობრივი ზღვარი, რის ქვემოთაც ბავშვებს არ ეკისრებათ კრიმინალური პასუხისმგებლობა; ასევე, მათ უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სწრაფი გადაწყვეტილების, ან ალტერნატიული პროცედურების მიღების მინიმალური გარანტია.

მუხლი 41 (უმაღლესი ეროვნული სტანდარტების მხარდაჭერა): ქვეყანაში მოწონებულ უნდა იქნას ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ამ კონვენციასთან შედარებით ბავშვთა უფლებების დაცვის უკეთეს პირობებს უზრუნველყოფს.

მუხლი 42 (უფლებების ცოდნა): მთავრობამ კონვენცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ზრდასრულებისა და ბავშვებისთვის. ასევე, ზრდასრულები უნდა დაეხმარონ ბავშვებს, გაიგონ მეტი საკუთარი უფლებების შესახებ (იხილე მუხლი 4).

მუხლი 43-54 (განხორციელების საშუალებები): აღნიშნული მუხლები განიხილავს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის გზებს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის ზემოთ განხილული მუხლები, ძირითადად, გაეროს ბავშვთა ფონდისა³ და ბავშვთა უფლებების ალიანსის⁴ განმარტებების მიხედვით არის მოყვანილი. განმარტებებში ნათლადაა გამოკვეთილი სახელმწიფოს როლი ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში. კონვენცია აქცენტს ზოგად ღონისძიებებზე აკეთებს, მათ შორის პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებზე, რაც კონვენციის პრინციპებისა და დებულებების რეალური განხორციელების საფუძველს ქმნის. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა კონვენციის მე-4 მუხლი:

„მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ ყველა სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს, ამ კონვენციაში აღიარებული უფლებების იმპლემენტაციისთვის. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებს ახორციელებენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, ხოლო საჭიროებების შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით“.

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროფესიონალებს, განსაკუთრებით - სოციალურ მუშაკებს, რომელთაც მთელი რიგი მითითებები, პოლიტიკური

დოკუმენტები და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები უნდა შეასრულონ, რათა შეძლონ ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებაზე დაფუძნებული სოციალური სერვისების განხორციელება. ბუნებრივია, ბავშვის უფლებების სრულყოფილად დაცვა შეუძლებელია. კონვენციის მიხედვით, ამ სფეროში პოლიტიკა და სერვისები უნდა პასუხობდეს გარკვეულ მინიმალურ სტანდარტებს, რაზეც პასუხისმგებლობა მთავრობასა და მის წარმომადგენლებს ეკისრებათ. გარდა ამისა, კონვენცია აღნიშნავს საერთაშორისო ორგანიზაციების როლს ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დონორი ქვეყნებიც, რომელთაც უნდა გადაწყვიტონ ბავშვთან დაკავშირებული პროგრამების პრიორიტეტული მიმართულებები და გამოკვეთონ შედარებით ღარიბი ქვეყნების საჭიროებები. საერთო ჯამში, კონვენცია და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ბავშვის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვასა და მისი განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

კითხვები დიკუსიისთვის:

- როგორ ფიქრობთ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რამდენად არის დაცული კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები?
- რომელი უფლების დარღვევას ხვდებით ყოველდღიურ პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად?
- იმსჯელეთ, როგორია სოციალური მუშაკის როლი ბავშვის უფლებების დაცვის საკითხში (მოვალეობები, პასუხისმგებლობები)?

ტერმინთა განმარტება:

¹ გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (The United Nations); საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1945 წელს დაარსდა და დღეისათვის 193 წევრი სახელმწიფოსგან შედგება. ორგანიზაციის მისია და მუშაობის სფერო განისაზღვრება ორგანიზაციის ქარტიის მიზნებითა და პრინციპებით. გაეროს მუშაობის სფეროებია მშვიდობა და უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები, ტერორიზმი, ჰუმანიტარული დახმარება, ჯანდაცვა, გენდერული თანასწორობა, სახელმწიფო მმართველობა და სხვა.

² ბავშვის უფლებათა დეკლარაცია - ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა 1959 წელს, ხოლო 30 წლის შემდეგ საფუძვლად დაედო ბავშვის უფლებათა კონვენციის შექმნას.

³ გაეროს ბავშვთა ფონდი (United Nations Children's Fund, UNICEF) - გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წელს შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც აღჭურვილია მანდატით,

დაიცვას ბავშვის უფლებები, დაეხმაროს ბავშვებს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და შესაძლებლობების სრულად რეალიზებაში.

⁴ ბავშვთა უფლებების ალიანსი - ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ირლანდიური ორგანიზაცია.

თავი VII

საკანონმდებლო რეგულაციები

წინამდებარე თავი ეძღვნება მიუსაფარ ბავშვთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და იურიდიულ ტერმინებს. განხილულია თემები, რომლებიც საშუალებას მოგცემთ, კიდევ ერთხელ გადახედოთ და გააანალიზოთ სოციალური მუშაკის როლი ბავშვთა დაცვის სფეროში, განსაკუთრებით მიუსაფარ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებით.

„ვერ შეძლებ, ასწავლო ბავშვებს, მოიქცნენ კარგად, თუ მათ თავს ცუდად აგრძნობინებ. ბავშვების ქცევა მაშინ ხდება უკეთესი, როდესაც თავს კარგად გრძნობენ“, - პამ ლოო
(„Connection Parenting“)

საქართველომ ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირებით გარკვეული პასუხისმგებლობა აიღო ბავშვთა ზრუნვის და მათ შორის მიუსაფარ ბავშვთა უფლებების დაცვაზე. ამის გამო, ბუნებრივია, შეიქმნა მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციები და სერვისები, რომლებიც არასრულად, მაგრამ მაინც პასუხობს ბავშვების ამ ჯგუფის საჭიროებებს.

მიუხედავად სოციალურ სფეროში გატარებული რეფორმებისა, წლების განმავლობაში მიუსაფარი ბავშვების პრობლემები სახელმწიფოს ყურადღების მიღმა რჩებოდა. საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა მხოლოდ 2014 წლიდან დაიწყო და ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნვა გამოაცხადა. მიუსაფარი ბავშვების უფლებების რეალიზაციისა და მათი სხვადასხვა სოციალურ თუ სამედიცინო სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის მიზნით, იმავე წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა და უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2015 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 15 იანვარს დაამტკიცა. საკანონმდებლო ცვლილებები უზრუნველყოფს მიუსაფარი ბავშვებისათვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის მოწესრიგებას, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობას, უფლებების დაცვასა და მათ მიმართ განხორციელებული ნებისმიერი სახის ძალადობის პრევენციის ხელშეწყობას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური მუშაკის როლი.

გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია უახლესი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ყველა ბავშვის, მათ შორის მიუსაფარი ბავშვების უფლებების დაცვის გარანტიებსაც იძლევა. ქვემოთ მოყვანილია მუხლები, რომლებიც ბავშვების ცხოვრებაში ყველაზე ხშირად დარღვეული და შელახული უფლებების დაცვას ითვალისწინებს.

მუხლი 19 - სექსუალური და ფიზიკური ძალადობა

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი სხვა პირის მხრიდან ნებისმიერი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისგან, იმისგან, რომ ბავშვი მოკლებულ იყოს ზრუნვას ან ექცეოდნენ დაუდევრად, ეპყრობოდნენ უხეშად, უწყვედნენ ექსპლუატაციას, ან მიმართავენ სექსუალურ ძალადობას.
2. დაცვის ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად, რათა მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს. აგრეთვე, განახორციელონ გაფრთხილებისა და გამოვლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის სხვა ფორმები და შემდგომი ღონისძიებები ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის ზემოთ ნახსენებ შემთხვევებთან დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი, სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის.

მუხლი 20 - ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვის დაცვა

1. ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოს, ან რომელსაც საკუთარი ძირითადი ინტერესებისთვის არ შეუძლია, დარჩეს აღნიშნულ გარემოცვაში, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლების მქონეა.
2. მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული კანონების შესაბამისად, უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვის მოვლას.

3. მსგავსი მოვლა შეიძლება გულისხმობდეს აღსაზრდელად გადაცემას, ისლამური სამართლით „კაფალას“, შვილად აყვანას, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვთა მოვლის შესაბამის დაწესებულებაში მოთავსებას. შეცვლის ვარიანტების განხილვისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის აღზრდის მემკვიდრეობითობა და მისი ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და მშობლიური ენა.

მუხლი 24 - ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სერვისები

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით, ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით და ისწრაფვიან, უზრუნველყონ მათი ხელმისაწვდომობა.
2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, სრულად განახორციელონ ეს უფლება და მიმართავენ საჭირო ღონისძიებებს, რათა:
 - ა) შეამცირონ ახლამოხილთა სიკვდილიანობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები;
 - ბ) ყველა ბავშვი უზრუნველყონ საჭირო სამედიცინო დახმარებით და ჯანმრთელობის დაცვით, ყურადღება დაუთმონ პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების განვითარებას;
 - გ) ებრძოლონ დაავადებებსა და საკვების ნაკლებობას, მათ შორის პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების ფარგლებში. გამოიყენონ ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და უზრუნველყონ საკმარისი სურსათითა და სუფთა სასმელი წყლით, გარემოს დაბინძურების საფრთხისა და რისკის გათვალისწინებით;
 - დ) სათანადო მომსახურება გაუწიონ დედებს ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვაში მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში;
 - ე) უზრუნველყონ საზოგადოების ყველა ფენა, კერძოდ მშობლებისა და ბავშვების ინფორმირებულობა ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების, ძუძუთი კვების უპირატესობის, ბავშვის საცხოვრებელ გარემოში ჰიგიენის, სანიტარიისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ. ხელმისაწვდომი გახადონ განათლება და დახმარება გაუწიონ ბავშვებს ცოდნის გამოყენებაში;
 - ვ) განავითარონ საგანმანათლებლო მუშაობა და მომსახურება პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებისა და ოჯახის სიდიდის დაგეგმვის სფეროში.
3. მონაწილე სახელმწიფოები საჭირო ზომას მიმართავენ, რათა აღმოფხვრან ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც უარყოფითად აისახება ბავშვების ჯანმრთელობაზე.
4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობას და განავითარონ იგი, რათა თანდათან მიაღწიონ ამ მუხლით აღიარებული უფლების სრულად განხორციელებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 28 - განათლება

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე, ამ უფლების განხორციელების თანდათანობით მიღწევის მიზნით:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ საშუალო განათლების, როგორც ზოგადის, ისე პროფესიულის, სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ მის ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის და აგრეთვე, მიმართავენ ისეთ საჭირო ღონისძიებებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური დახმარების გაწევა;

გ) უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას;

დ) უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის, განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას;

ე) მიმართავენ ხელშეწყობის ღონისძიებებს, რათა ბავშვები რეგულარულად დადიოდნენ სკოლაში და შემცირდეს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებმაც სკოლა მიატოვეს.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაცული იყოს სასკოლო დისციპლინა, ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემის გამოხატველი მეთოდების დახმარებით და წინამდებარე კონვენციის შესაბამისად.

3. მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, მთელს მსოფლიოში უმცერებისა და უწიგნურობის ლიკვიდაციის ხელშეწყობის და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობის გაადვილების მიზნით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ

პროტოკოლი ფოკუსირებულია ბავშვების უფლებების ისეთი სერიოზული დარღვევების კრიმინალიზაციაზე, როგორიცაა ბავშვებით ვაჭრობა, არალეგალური გაშვილება, ბავშვის პროსტიტუცია და პორნოგრაფია. გარდა ამისა, პროტოკოლი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების წარმოებაზე. საქართველოს მთავრობამ პროტოკოლი 2005 წელს მიიღო.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების უპირატეს იურიდიულ ძალას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებით და შესაბამისად, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აქცევს ბავშვთა უფლებების კონვენციას. 36-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას კანონით.

საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ

2006 წელს მიღებულ იქნა სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია, სოციალური დახმარების სისტემის ჩამოყალიბებით, მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტური დახმარებით უზრუნველყოფა. კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ

ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სერვისებსა და დანიშვნის ძირითად პრინციპებს. ბუნებრივია, ეს ყველაფერი, საქართველოს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად, ბავშვების და მათ შორის მიუსაფარი ბავშვების სოციალურ დაცვასაც ითვალისწინებს.

კანონში მოყვანილია სოციალური დახმარების სახეები, რომელთა ნაწილი ბავშვის მიტოვების პრევენციისა და ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებისკენ არის მიმართული. ესენია:

- საარსებო შემწეობა
- რეინტეგრაციის შემწეობა
- მინდობით აღზრდის ანაზღაურება
- სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება
- არაფულადი სოციალური დახმარება
- სოციალური პაკეტი

კანონი ასევე ასახელებს სოციალური პროგრამების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, რომელთა შორის მთავარ როლს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ასრულებს.

მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნვის პროცედურების განხორციელების სხვა სამართლებრივი საფუძვლებია:

- “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონი;
- საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი;

- „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ და სხვა სამართლებრივი აქტები.

2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

მიუსაფარ ბავშვთა საკითხებზე მუშაობისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონა წარმოადგენს. ვინაიდან ბავშვების უმრავლესობა რეგისტრირებული არ არის, მათი სახელმწიფო სერვისებში ჩართვა რთულდება. სწორედ ამ მიზნით, 2016 წელს კანონში შევიდა ცვლილებები, რის საფუძველზეც მიუსაფარ ბავშვებზე პირადობის გაცემის პროცედურები გამარტივდა. კერძოდ, შევიდა ცვლილება კანონში „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“. ასევე, „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, არასრულწლოვანი მსხვერპლის რეგისტრაცია ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან/და მასზე პირადობის (ბინადრობის) მოწმობა გაიცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე (ამ პირის, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე).

„მიუსაფარი ბავშვის ან/და ძალადობის მსხვერპლი ბავშვის სხვა მისამართზე რეგისტრაცია დასაშვებია ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით“.

„პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს სრულწლოვან და ქმედითუნარიან საქართველოს მოქალაქეს. აგრეთვე, არასრულწლოვანის წარმომადგენელს. მიუსაფარ ბავშვზე ან/და ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს“.

ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, მიუსაფარ ბავშვთა პრობლემების აღმოფხვრაში სხვადასხვა უწყებას სხვადასხვა როლი აკისრია. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული სოციალური მომსახურების სააგენტო ყველაზე დაუცველი ბავშვების დასახმარებლად მიმართულ საქმიანობას კოორდინირებენ და მეთვალყურეობენ. სახელმწიფო ხელმძღვანელობს კონცეფციის შემუშავებას, ასაქმებს მობილური ჯგუფების სოციალურ მუშაკებს, გამოყოფს ფინანსურ რესურსებს პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და უზრუნველყოფს ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას.

იუსტიციის სამინისტრო ბავშვთა რეგისტრაციის საკითხებს აწესრიგებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მობილურ ჯგუფებსა და პოლიციას შორის თანამშრომლობას ამყარებს. ასევე, უზრუნველყოფს პოლიციის ინფორმირებას ყველაზე დაუცველი და კანონთან კონფლიქტში

მყოფი ბავშვების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს სტაბილური სახელმწიფო დაფინანსების პასუხისმგებლობა აკისრია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბავშვების ოფიციალურ საგანმანათლებლო სისტემაში ჩარიცხვას უზრუნველყოფს, მუშაობს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებათა მქონე ბავშვებთან, აფასებს მათ უნარებს, ამზადებს მათთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და მონიტორინგს უწევს ბავშვების მიღწევებს სკოლაში.

საქართველოს მასშტაბით, მიუსაფარი ბავშვებისთვის სულ ოთხი მობილური ჯგუფი მუშაობს, მათგან სამი - თბილისში, ხოლო ერთი - ქუთაისში. მობილური ჯგუფის მუშაობის მიზანია, მოახდინოს მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიცირება. ნდობის მოპოვების შემდეგ, ჯგუფის წევრები (მძღოლი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და თანასწორგანმანათლებელი) ახდენენ ბავშვის მდგომარეობის შეფასებას, ბავშვს ადგილზევე უწევენ ყველა შესაძლო მცისიერ დახმარებას და სთავაზობენ ცენტრში არსებულ სხვადასხვა სერვისს. მობილური ჯგუფის ამოცანაა, განარიდონ ბავშვი ქუჩას და ჩართონ დღის ცენტრის აქტივობებში. სხვა შემთხვევაში, მობილური ჯგუფების წევრები აგრძელებენ მუშაობას ბავშვებთან ქუჩაში, ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს: ასწავლიან მათ წერა-კითხვას, ინფორმაციას აწვდიან ჰიგიენის დაცვის აუცილებლობაზე, სხვადასხვა დაავადებებზე და მავნე ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეულ უარყოფით გავლენაზე, ორგანიზებას უწევენ სპორტულ და გასართობ აქტივობებს.

მიუსაფარ ბავშვთა იდენტიფიცირების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხდება ასეთი ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრისა და თავშესაფრების მომსახურებით უზრუნველყოფას გულისხმობს. აღნიშნული სერვისების მიზანია, მოხდეს ოჯახთან რეინტეგრაცია, ან ალტერნატიულ გრძელვადიან სერვისებში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ან მიმღებ ოჯახებში განთავსება.

დღის ცენტრის სერვისი მიზნად ისახავს ბავშვების სასიცოცხლო საჭიროებებით უზრუნველყოფას. არსებული სერვისების მეშვეობით ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა:

- მიიღონ შხაპი, გაირეცხონ სამოსი, მიიღონ სეზონური ტანსაცმელი/ფეხსაცმელი, უზრუნველყოფილნი იყვნენ საკვებით;
- მიიღონ პროფესიონალი ფსიქოლოგის დახმარება;
- ისწავლონ საკუთარი ემოციების მართვა, საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმები და სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას სწორი უნარ-ჩვევების გამოყენება;
- მიიღონ საჭირო სამედიცინო სერვისები და გაეცნონ ინფორმაციას ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის აუცილებლობაზე;
- ისწავლონ წერა-კითხვა, ელემენტარული მათემატიკა, ჩაერთონ ინკლუზიური განათლების სისტემაში;

- მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიებზე და დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს ცენტრში არსებულ სახელოსნოებში.

გარდა დღის ცენტრებისა, მიუსაფარი ბავშვებისათვის არსებობს თავშესაფარები, რომლებიც დღის ცენტრის სერვისების გარდა ბავშვებს 24-საათიან თავშესაფარს სთავაზობს.

დღის ცენტრები და თავშესაფარები განთავსებულია თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში. ქუთაისსა და რუსთავში ერთი დღის ცენტრი და ერთი თავშესაფარი მოქმედებს, ხოლო თბილისში - სამი თავშესაფარი და ექვსი დღის ცენტრია.

მიუსაფარი ბავშვების პრობლემასთან ბრძოლა მულტისექტორულ ჩარევას გულისხმობს, რომელშიც სამი ძირითადი მიმართულებაა გამოყოფილი. ერთ-ერთ მათგანს ბავშვის ქუჩაში მოხვედრის პრევენცია წარმოადგენს. სწორედ ამ კომპონენტის გაძლიერებაზეა მიმართული „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2016 წელს შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირებაში მნიშვნელოვანი როლი სოციალურ მუშაკს ეკისრება. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანის დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება ხელს უშლის ბავშვის ქუჩაში მოხვედრას.

„არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის შემთხვევაში „დამცავი ორდერის“ გაცემის მოთხოვნის უფლება აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.“

„არასრულწლოვანზე ძალადობის დროს, არასრულწლოვანი, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერის საფუძველზე, ხოლო ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში – სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, განცალკევდება მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან ნებისმიერი სხვა მოძალადისაგან“.

„არასრულწლოვანის მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან არასრულწლოვანთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები ნებისმიერი სხვა პირისაგან განცალკევება არის უკიდურესი ზომა“, არასრულწლოვანის ძირითადი ინტერესების გათვალისწინებით. გადაწყვეტილების მიღებისას პოლიციის თანამშრომელი/სოციალური მუშაკი ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას და მსხვერპლისა და იმ პირების გამოკითხვას, რომლებსაც მისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ“.

მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად შევიდა ძალაში, არის საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“. სამართლებრივ ინსტრუმენტში დეტალურად არის გაწერილი ის ღონისძიებები, რომლის შესრულების პასუხისმგებლობაც სხვადასხვა უწყებებს, განსაკუთრებით კი სოციალურ მუშაკს აკისრია - ბავშვთა ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში.

დოკუმენტის თანახმად, არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იდენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის

მიმართვის ვალდებულება აკისრიათ: სამედიცინო დაწესებულებას, სასწავლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის და არასრულწლოვანზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რეფერირების პროცედურების თანახმად, პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მიმართა მას: დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა.

დოკუმენტით გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი: ბავშვის ძირითადი ინტერესების დაცვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ოჯახურ დანაშაულსა და ოჯახში ძალადობაზე სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, დაკითხვისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესები, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით, დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე, დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით; კანონი ასევე კრძალავს სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვას, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში. აგრეთვე, მისთვის (მათთვის) არასრულწლოვანის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობას ან გადაცემას. მსგავს შემთხვევებში, მშობლის უფლებამოსილება, იყოს არასრულწლოვანის წარმომადგენელი სისხლის/ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში, შეჩერებულად ითვლება სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს არასრულწლოვანის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს არასრულწლოვანის ინტერესებს წარმოადგენს (საპროცესო წარმომადგენლობა - არასრულწლოვანთა).

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში არსებულ ტერმინთა განმარტება:

- **ბავშვი** - 18 წლამდე ასაკის პირი (არასრულწლოვანი);
- **მიტოვებული ბავშვი** - არასრულწლოვანი, რომელიც „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასამართლოს მიერ აღიარებულია მიტოვებულად და რომლის მშობელს (მშობლებს) ამ ბავშვის მიმართ ჩამორთმეული აქვს (აქვთ) მშობლის უფლება-მოვალეობები;
- **ნაპოვნი ბავშვი** - 18 წლამდე ასაკის უცნობი პირი, მისი აღმოჩენის მომენტიდან ვინაობის დადგენამდე;
- **მიუსაფარი ბავშვი** - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულწლოვანი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანებით განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, რეფერირების პროცედურების შესაბამისად;
- **ბავშვის ოჯახის წევრი** - დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირი, მიმღები მშობელი (დედობილი, მამობილი), მეურვე, მზრუნველი, და, ძმა, მეუღლე, ყოფილი მეუღლე, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე პირები, რომლებიც ერთობლივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას და მათი ოჯახის წევრები;
- **სხვა პასუხისმგებელი პირი** - პირი (გარდა ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირისა), რომელთანაც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს არასრულწლოვანი, რომლის ზრუნვისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ვალდებულებაც დაკისრებული აქვს მას, ამავე სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე;
- **ძალადობის მსხვერპლი ბავშვი** - არასრულწლოვანი, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა). მსხვერპლად ჩაითვლება აგრეთვე ბავშვი, რომელიც სამართლებრივი აქტის, ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც განახორციელა მისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომელიც მოძალადისგან განცალკევებულ იქნა სოციალური მუშაკის მიერ.
- **ძალადობა** - პირის მიერ ბავშვის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება განხორციელდა/ხორციელდება განზრახვით თუ განზრახვის გარეშე.

ძალადობად მიიჩნევა:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

სექსუალური ძალადობა - ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. ასევე, სრულწლოვანის მიერ, წინასწარი შეცნობით, 16 წლამდე

ბავშვთან ძალადობის გარეშე სექსობრივი კავშირი, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა მოქმედება, მათ შორის, ოჯახის წევრის მიერ/მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლში მითითებული ან/და 1261 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისას ბავშვის მიერ განცდილი ძლიერი ემოციური სტრესი, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას ან დაშინებას; ასევე, ეკონომიური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

იძულება - ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, მათ შორის, იძულებითი ქორწინება, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა ან/და თანამონაწილეობა ნივთიერებათა ავად მოხმარებაში, მოწყალების თხოვნაში. აგრეთვე, ბავშვთა ჩართვა შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას. იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომის შედეგად მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისება;

უზულებელყოფა - მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაზადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე;

- **მომალადე** - ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უზულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. მომალადედ ჩაითვლება აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ახორციელებს მასთან სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები არასრულწლოვნის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უზულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით;

- **სააგენტო** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო;

- **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო** - სააგენტო და მისი ტერიტორიული ორგანოები;

- **რეგიონული საბჭო** - სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება კანონმდებლობით;

- **ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება** - სააღმზრდელო დაწესებულება (მათ შორის, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი), კრიზისული ცენტრი, დღის ცენტრი, ტრანზიტული ცენტრი, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი და დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალი - ბავშვთა სახლი;

- **თავშესაფარი** - სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მომსახურების დაწესებულება, რომელიც სთავაზობს

შესაბამის მომსახურებებს ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, დაზარალებულებსა და მათზე დამოკიდებულ პირებს;

- **სააგენტოს უფლებამოსილი პირი** - სააგენტოს სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ახორციელებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას;
- **სოციალური მუშაკი** - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი;
- **მინდობით აღზრდა** - სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღები ოჯახის მიერ ბავშვის ან 18 წლამდე ასაკის განრიდებას დაქვემდებარებული პირის მოვლა და აღზრდა;
- **საბავშვო ბაღი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება;
- **საგანმანათლებლო დაწესებულება** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით, ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო ან/და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
- **სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება** - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე;
- **გადაუდებელი შემთხვევა** – მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

თემები მსჯელობისთვის:

- თქვენი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, იმსჯელეთ, რა ხარვეზი არსებობს საქართველოს კანონმდებლობაში, მიუსაფარ ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით (რა რეგულაციას დაამატებდით, შეცვლიდით)?
- განმარტეთ ტერმინები: „მიუსაფარი ბავშვი“, „ნაპოვნი ბავშვი“, „მიტოვებული ბავშვი“; რა განსხვავებაა მათ შორის, რა შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ ბავშვს მიუსაფარი? ნაპოვნი? მიტოვებული?
- რა სახის ძალადობის მსხვერპლი ბავშვები გხვდებით პრაქტიკაში (იმსჯელეთ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში მოცემული ძალადობის ფორმების მიხედვით)?

თავი VIII

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული მომსახურებები და ჩართული მხარეების პასუხისმგებლობები/მოვალეობები

წინამდებარე თავი განიხილავს ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმას საქართველოში, ბავშვთა ზრუნვის სტანდარტებს, კეთილდღეობის სფეროში არსებულ მომსახურებებსა და მხარეთა პასუხისმგებლობებს. მასალა საშუალებას მოგცემთ, გააანალიზოთ, ემყარება თუ არა თქვენი მუშაობის პრინციპები საერთაშორისო სახელმძღვანელოებს. თავის ბოლოს დასმული საკითხები კი იძლევა შესაძლებლობას კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებულ ხარვეზებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

„ჩვენი პატივისცემა და მოსმენა მეგობრულ ატმოსფეროს ქმნის ჩვენსა და სოციალურ მუშაკებს შორის“, ახალგაზრდა ბავშვთა ზრუნვის ალტერნატიული სისტემიდან, ალბანეთი.

რა არის ბავშვთა კეთილდღეობა? მეცნიერების მცდელობების მიუხედავად, ამ ტერმინის ერთიანი, სრულყოფილი განმარტება ჯერ კიდევ არ არსებობს. ფართო გაგებით, ეს არის მრავალკომპონენტიანი მდგომარეობა, როდესაც ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური და ქცევითი განვითარება ჯანსაღია; როცა ბავშვებს საშუალება აქვთ, განავითარონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები; იზრდებიან ასაკის შესაბამისად და შეუძლიათ, განახორციელონ დადებითი სოციალური ცვლილებები. ბავშვთა კეთილდღეობისთვის აუცილებელია უსაფრთხო და აღზრდისთვის შესაფერისი საცხოვრებელი პირობები, ადექვატური კვება და სამედიცინო მომსახურება, ზრდასრულების სიყვარული და მხარდაჭერა. სისტემა, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობისკენ არის მიმართული, თავის მხრივ, გულისხმობს პოლიტიკას, პროგრამებს, მომსახურებებს, დახმარებებს და ზოგადად, ისეთ პრაქტიკებს, რომლებიც ამცირებს ბავშვებისა და ოჯახების მოწყვლადობას და პასუხობს ცნობილ რისკ-ფაქტორებს.

მართალია, მსოფლიოში არ არსებობს ბავშვთა კეთილდღეობის ერთიანი სრულყოფილი განმარტება, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ ბავშვთა კეთილდღეობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში. ამიტომ, განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ბავშვთა კეთილდღეობა, მათი უფლებების რეალიზაციისთვის და სრულფასოვან, ზრდასრულ ადამიანებად ჩამოსაყალიბებლად გარემოს შექმნა, ყოველთვის რჩება სახელმწიფო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში.

ზემოთაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ბავშვთა კეთილდღეობა თავისთავად გულისხმობს ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციით განსაზღვრული არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა ჩვენს ქვეყანაში უკავშირდება მოვლენას, რომელიც 1999 წელს დეინსტიტუციონალიზაციის საპილოტე პროგრამით დაიწყო, აქტიურ ფაზაში კი 2004 წლიდან შევიდა, როდესაც მთავრობამ ბავშვთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი უწყებების რესტრუქტურიზაცია განახორციელა: დაინერგა ბავშვზე ზრუნვის რეგიონული საბჭოები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში ბავშვთა ზრუნვის პროგრამები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

მეთვალყურეობის ქვეშ, სოციალური პროგრამებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. 2009 წელს ბავშვთა ზრუნვისა და მეურვეობის პასუხისმგებლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცა. 2008-2011 წლების სამთავრობო გეგმის მიხედვით, დაიხურა ბავშვთა სახლები, რომლებიც მცირე საოჯახო ტიპის სახლებმა და მინდობით აღზრდის კომპონენტმა ჩაანაცვლა. 2012-2015 წლებში სისტემა გაფართოვდა და მისი მიზანი არამხოლოდ დეინსტიტუციონალიზაცია, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვის უფლებების დაცვაზე ზრუნვა გახდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ძირითადი მიზანი, თავდაპირველად, დიდი ზომის ინსტიტუციების ნგრევა - დეინსტიტუციონალიზაცია იყო. დღეისათვის კი სახელმწიფო ბავშვთა კეთილდღეობის ტერმინს მისი ფართო გაგებით იყენებს და მისი მიზანი არამხოლოდ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის მაღალი ხარისხის ალტერნატიული მომსახურებით უზრუნველყოფა, არამედ, ზოგადად, ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენციაა. ასევე, საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულბელყოფისაგან, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებიან ეს ბავშვები, ქუჩაში, ოჯახში, სკოლაში, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ და ა.შ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეიქმნა და შეიცვალა არაერთი საკანონმდებლო აქტი და ჩამოყალიბდა სხვადასხვა უწყებები. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბავშვთა ზრუნვის სისტემა ჯერ კიდევ სუსტი და დაუბალანსებელია. ის კვლავ ბავშვთა ზრუნვის ალტერნატიული სერვისების განვითარებაზეა ორიენტირებული და ფოკუსს მიღმა რჩება ოჯახის გაძლიერებისა და პრევენციის კომპონენტი.

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა მისივე ძირითადი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს, სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით სარგებლობდეს“. ამავე კონვენციის 27-ე მუხლით, დაცულია ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების სათანადო დონით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს სახელმწიფოების ვალდებულებას, „დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში. აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად, საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით“.

მყარი და სტაბილური ოჯახი ბავშვის კეთილდღეობის საფუძველია. დღეს საქართველოში ყველა ოჯახი ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებებს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია, თავად აიღოს ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებლობა და მას განვითარებისთვის საჭირო პირობები შეუქმნას.

ბავშვის გადაყვანა მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ან სხვა ტიპის ალტერნატივით უზრუნველყოფა და ოჯახთან მიახლოებული გარემოს შექმნა, სახელმწიფო ზრუნვის ერთ-

ერთი ფორმაა. ბენეფიციარებმა უნდა მიიღონ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება. მომსახურების ინდივიდუალური მიდგომა მნიშვნელოვანია ბავშვთა განვითარებისთვის და ზრდის პერსპექტივას, რომ არასრულწლოვანმა სრულად მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზება.

სწორედ ზემოაღნიშნული პირობების დასაკმაყოფილებლად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის N66 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცდა ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, რომელიც „სავალდებულოა ყველა პირისათვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა), რომელიც ახორციელებს ბავშვთა 24-საათიან მომსახურებას (გარდა მინდობით აღზრდისა, ნებართვის მქონე სტაციონარული დაწესებულებისა, ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებისა, სკოლა-პანსიონისა და ისეთი მომსახურებისა, რომელიც ხორციელდება წელიწადში არაუმეტეს 3 თვისა) და სახელმწიფო პროგრამის მომწოდებლად რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე ბავშვთა დღის ცენტრებისათვის.“

დადგენილებით განსაზღვრულია სულ 16 სტანდარტი, რომელსაც ზემოაღნიშნული დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდეს:

სტანდარტი №1 - ინფორმაცია მომსახურების შესახებ: გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ბავშვზე ზრუნვას ან დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები უნდა შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პირველი მუხლით, განსაზღვრულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა აწარმოოს მომსახურების მიმწოდებელმა და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის.

სტანდარტი №2 - მომსახურების ინკლუზიურობა: უზრუნველყოფს ბენეფიციართათვის მომსახურებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობას, რომელიც აკმაყოფილებს ინდივიდუალურ საჭიროებებს, შეესაბამება მათ შესაძლებლობებს და ხელმისაწვდომს ხდის მათთვის თემში არსებულ სხვადასხვა მომსახურებას; ამავე დროს, იცავს თითოეული ბენეფიციარის უფლებებსა და თავისუფლებებს.

სტანდარტი №3 - კონფიდენციალობის დაცვა: აღნიშნული სტანდარტი უზრუნველყოფს ბენეფიციართა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

სტანდარტი №4 - მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომა: ყურადღებას ამახვილებს ზრუნვის პროცესში ინდივიდუალურ მიდგომებზე, რაც ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ უნარებსა და მოთხოვნებს. ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურება მორგებული უნდა იყოს მის განსაკუთრებულ საჭიროებებზე, რისთვისაც აუცილებელია მიწოდებული აქტივობები ეფუძნებოდეს ბავშვის ძლიერ მხარეებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და რესურსებს (ინდივიდუალური გეგმის შედგენაში მონაწილეობას იღებს სოციალური მუშაკიც).

სტანდარტი №5 - ემოციური და სოციალური განვითარება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მომსახურებაში შექმნილი გარემო უნდა უზრუნველყოფდეს ბენეფიციართა ემოციურ და სოციალურ განვითარებას, ამზადებდეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ხელს უწყობდეს მათ სოციალურ ინტეგრაციას და ოჯახთან კონტაქტების გაძლიერებას.

სტანდარტი №6 - კვება: განსაზღვრავს მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებებს ბენეფიციარების საკვებით უზრუნველყოფის პროცესში. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ოდენობის საკვებით, მისი ასაკის გათვალისწინებით.

სტანდარტი №7 - დასვენებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობები: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 31-ე მუხლით, დაცულია ბავშვის დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება. აღნიშნული სტანდარტი ეხება, დასვენებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობების კუთხით, მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებებს.

სტანდარტი №8 - განათლება: განათლების უფლება განსაზღვრულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით. ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება და თანაბარი შესაძლებლობები, ამიტომ, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამ უფლების განხორციელებას. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, მათ შორის, აწესებს ზოგადი განათლების ღიაობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს, ინკლუზიური განათლების დანერგვას და სხვა. აღნიშნული ვალდებულებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებთან მიმართებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვთა ზრუნვის მე-8 სტანდარტი განსაზღვრავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მომსახურების მიმწოდებელს ბავშვის მიმართ გააჩნია, განათლების უფლების სრულყოფილი რეალიზაციის თვალსაზრისით.

სტანდარტი №9 - ჯანმრთელობის დაცვა: უზრუნველყოფს ბენეფიციარებისთვის ისეთ გარემოს, სადაც წახალისებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი და სათანადო ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის მდგომარეობას. ეს ხორციელდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 135-ე მუხლის შესაბამისად, რომელშიც მითითებულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას ობოლი და მშობლების ზრუნვას მოკლებული, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში. სტანდარტი ავალდებულებს მიმწოდებელს, უზრუნველყოს ბენეფიციართა იმუნიზაციისა და სამედიცინო-პროფილაქტიკური შემოწმებების პროცესების ხელმისაწვდომობა.

სტანდარტი №10 - უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები: სტანდარტის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელმა, ბავშვისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის, მომსახურების მიწოდების ფორმისა და ხარისხის შესახებ უნდა შექმნას უკუკავშირისა და პროტესტის გამოხატვის მარტივი და ნათელი პროცედურა.

სტანდარტი №11 - ძალადობისაგან დაცვა: განსაზღვრავს ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ძალადობისგან. „ყველა ბენეფიციარი დაცულია ნებისმიერი სახის ძალადობისგან (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, იძულება), როგორც მომსახურებაში, ისე მის ფარგლებს გარეთ“ და მომსახურების მიმწოდებელს ავალდებულებს, „იცნობდეს და იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით“, „საჭიროების შემთხვევებში, უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური დახმარების მიზნით“ და „ძალადობის ყველა ფაქტი თუ განცხადება, ასევე, მის საპასუხოდ გატარებული ღონისძიება, წერილობით აღრიცხოს სპეციალურ ჟურნალში“.

სტანდარტი №12 - ზრუნვა და მეთვალყურეობა: განსაზღვრავს მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებებს, დაიცვას ბავშვის უფლება, იმყოფებოდეს სათანადო მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ.

სტანდარტი №13 - დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება და მომსახურების დატოვება: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, დაწესებულების დატოვების შემდეგ, მოზარდის ოჯახთან და საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით და მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იგი მხარდაჭერითა და ადეკვატური დახმარებით. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 2008 წლის დასკვნაში, მოუწოდებს საქართველოს, შემოიღოს ზომები მზრუნველობის ცენტრებიდან წასული ახალგაზრდების შემდგომი დახმარებისა და ზრუნვის უზრუნველსაყოფად. მომსახურების მიმწოდებელმა უნდა მოამზადოს ბავშვი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და დაეხმაროს მას მომსახურების დატოვებაში.

სტანდარტი №14 - ბენეფიციარზე ორიენტირებული გარემო: ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად, „ყველა ბავშვს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, როგორც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისთვის“. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ ვალდებულების განსახორციელებლად. ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭიროა ნორმალური, ოჯახის გარემოსთან გათანაბრებული გარემო. მე-14 სტანდარტის თანახმად, მომსახურების მიწოდება სწორედ ისეთ გარემოში უნდა ხორციელდებოდეს, როგორც შეესაბამება კონვენციით ნაკისრ ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს.

სტანდარტი №15 - უსაფრთხოება და სანიტარიული მდგომარეობა: აღნიშნული სტანდარტი განსაზღვრავს ბენეფიციარების მიერ მომსახურების მიღებას უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია სანიტარიული წესები; მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია

მომსახურებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე შეინარჩუნოს სისუფთავე, ნაგავი შეინახოს დახურულ კონტეინერში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

სტანდარტი №16 - მოთხოვნები პერსონალის მიმართ: აუცილებელია მომსახურებაში ბენეფიციართა აღზრდა-განვითარებას ახორციელებდნენ საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაფართოვდა და მოწყვლად ბავშვთა უფრო მეტი კატეგორია მოიცვა. დღესდღეობით, ბავშვთა ზრუნვის სისტემის ფუნქციონირების ძირითადი საკანონმდებლო საფუძველია:

- საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები;
- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ;
- „ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილება N66;
- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის დადგენილება N121;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N758;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ და სხვა სამართლებრივი აქტები.

ბავშვთა ზრუნვის სისტემაში მოქმედი პროგრამების ძირითადი ნაწილი სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამებით განისაზღვრება, რომელსაც საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს. დღესდღეობით, სფეროში არსებულ პროგრამებსა და მომსახურებებს განსაზღვრავს „სოციალური რეაბილიტაციისა და

ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის დადგენილება №121, რომლის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება“.

ბავშვზე ზრუნვის კომპონენტის შემცველი ქვეპროგრამებია:

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა: გულისხმობს კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ერთჯერად დახმარებას, ბავშვის ოჯახთან დაშორების პრევენციისა და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას.

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა: გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით, რათა მოხდეს ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახების გაძლიერება და მიტოვების პრევენცია.

ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა: ხელს უწყობს ბავშვთა სპეციფიკური რეაბილიტაციის სერვისების მიწოდებას დროულად, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისა და მიტოვების პრევენციის მიზნით.

დღის ცენტრების ქვეპროგრამა: გულისხმობს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერასა და მიტოვების პრევენციას.

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა: „ქვეპროგრამის ამოცანაა ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება“.

მინდობით აღზრდის და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამები: ითვალისწინებს რა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით განსაზღვრულ უფლებას, ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს შესაბამისი სერვისის მიწოდებას სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის.

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა: გულისხმობს მობილური ჯგუფის მომსახურებას, დღის ცენტრისა და სადღეღამისო თავშესაფრით მომსახურების სრულ სერვისს იმისათვის, რომ მოხდეს მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია.

მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა: „ქვეპროგრამის ამოცანაა მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების


მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ბინაზე მოვლის მომსახურების მიწოდებით“.

მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა: ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის მსგავსად, მიზნად მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების მქონე ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს, იმ განსხვავებით, რომ სერვისის სპეციალიზებულ საოჯახო ტიპის სახლებში ხორციელდება მაშინ, როდესაც ამ სერვისის მიწოდება სხვადასხვა მიზეზების გამო ბინაზე ვერ ხორციელდება.

***„ერთად მუშაობისას ჩვენ საუკეთესო შედეგს ვიღებთ! ჩვენ ვხედავთ ჩვენი მუშაობის შედეგს!
- სოციალური მუშაკი, ხორვატია.***

გახსოვდეთ!

წინა თავებში არაერთხელ იქნა აღნიშნული და განხილული ბავშვთა ზრუნვის სფეროში მომუშავე სხვადასხვა უწყების როლი და ცხადია, ცენტრალურ რგოლს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი სოციალური მომსახურების სააგენტო ასრულებს. მთავარი როლი კი, ბავშვის კეთილდღეობის საქმეში, სოციალურ მუშაკს აკისრია. მან კარგად უნდა იცოდეს საკუთარი მოვალეობები, ზედმიწევნით იცნობდეს ბავშვის უფლებებს და ითვალისწინებდეს მათ.





თუ გსურთ, გადაამოწმოთ, ბავშვებთან მუშაობის პროცესში იცავთ თუ არა ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის ოთხ ძირითად პრინციპს, შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული, მარტივი კითხვარი:

პრინციპი 1: მონაწილეობა	
გაქვთ თუ არა შესწავლილი ბავშვის სურვილები? ითვალისწინებთ მის შეხედულებებსა და სურვილებს?	დიახ!
პრინციპი 2: არა დისკრიმინაციას	
ბავშვთან მუშაობისას, ოდესმე გაგიმახვილებიათ თუ არა ყურადღება ისეთ არარელევანტურ ფაქტორებზე, როგორიცაა გენდერი, რელიგიური რწმენა, ეთნიკური კუთვნილება და სხვა?	არა!
გაგითვალისწინებიათ თუ არა კონკრეტული საჭიროება ბავშვის სქესიდან, რელიგიური რწმენიდან, ეთნიკური წარმომავლობიდან და ა.შ. გამომდინარე?	დიახ!
პრინციპი 3: სიცოცხლის, უსაფრთხოების და განვითარების უფლება	
შესაძლოა თუ არა თქვენმა ქმედებებმა საფრთხე შეუქმნას ბავშვის სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, ან განვითარებას?	არა!
თუ თქვენი ქმედება მარცხით მთავრდება, ამით ბავშვის სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, ან განვითარებას საფრთხე ექმნება?	არა!
პრინციპი 4: ბავშვის ძირითადი ინტერესები	

საბოლოო გადაწყვეტილება ბავშვის ძირითადი ინტერესებიდან გამომდინარეობს?	დიახ!
თუ ბავშვი არ გეთანხმებათ, გიცდიათ თუ არა ახსნა, თუ რატომ არის კონკრეტული ქმედება მისთვის აუცილებელი?	დიახ!

კითხვები დისკუსიისთვის:

- რა სჭირდება სოციალურ მუშაკს დღეს, რომ უკეთ უზრუნველყოს ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამაში ჩართულობა, უკეთესი შედეგების მისაღწევად?
- რა ხარვეზებია საქართველოში ბავშვთა ზრუნვის სფეროში?

თავი IX

ბავშვის რთული ქცევა და მისი მართვის ტექნიკები

წინამდებარე თავში განხილული იქნება ბავშვთა რთული ქცევა, მისი მიზეზები, გამოვლინება და მართვა; ასევე, ეფექტური კომუნიკაციის პრინციპები. აღნიშნული, თითოეულ სოციალურ მუშაკს დაეხმარება უკეთ დაამყაროს კომუნიკაცია ბავშვთან და მისი ოჯახის წევრებთან, მოიპოვოს მათი ნდობა; ყველაფერი ეს, მათ სოციალური მუშაობის უკეთ წარმართვაში დაეხმარებათ.

ქცევა - არის გარემო სიტუაციაზე ინდივიდის მიზანშეწონილ რეაქციათა სისტემა. ქცევის ანალიზისას განასხვავებენ ქცევის სუბიექტს (რომელსაც აქვს განსაზღვრული ორგანიზაცია), ქცევის ობიექტს (რომლისკენაც მიმართულია ქცევა), ქცევის გარკვეულ პროგრამასა და მისი შესრულების ეფექტურობის შეფასების მექანიზმს.

ინდივიდის ნებისმიერი ქცევა ერთ ზოგად მიზანს ემსახურება – იპოვოს საკუთარი ადგილი სამყაროში, იგრძნოს მონაწილეობა, საკუთარი მნიშვნელოვნება და საჭიროება. ეს ნებისმიერი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ვინაიდან ადამიანი სოციალური არსებაა. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, უ. გლასერი წერს: „თუ ბავშვის პიროვნული მოთხოვნილებები სახლში არ რეალიზდება, მისი რეალიზება სხვა სოციალურ უნდა მოხდეს.“ წარმატებისკენ მიმავალი გზა გულისხმობს მათთვის იმის მიცემას, რაც აკლიათ თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში. ალტერნატიულმა გარემომ (სკოლა, მეგობართა წრე, სხვა სოციალური კავშირები) უნდა მისცეს მას რეალიზების საშუალება, რათა გააცნობიეროს საკუთარი თავი, როგორც სრულფასოვანმა პიროვნებამ.

ბოლო პერიოდში სულ უფრო იმატა ბავშვებში განსხვავებული ქცევის მახასიათებლებმა. ფსიქოლოგები ბავშვის ქცევის დარღვევების სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ: ბავშვის ფსიქიკური სამყაროს სენსიტიურობა, არაცნობიერი მოტივები, მემკვიდრეობა, გარემო, აღზრდის დეფიციტი და სხვა.

კითხვაზე, თუ რატომ იქცევია მოზარდები ცუდად და რა განაპირობებს ამგვარ ქცევას, ზოგადი პასუხი ასეთია: ისინი იმ ქცევას ირჩევენ, რომელიც კონკრეტულ სიტუაციას “შეეფერება”.

არასწორი ქცევის შემთხვევაში, ბავშვი შესაძლოა, ხვდებოდეს, რომ არასწორად იქცევა, მაგრამ ვერ აცნობიერებდეს, რა განაპირობებს მის ამგვარ ქცევას: **ყურადღების მიპყრობის, ძალაუფლების, შურისძიების თუ წარუმატებლობისგან გაქცევის სურვილი.** ეს მოტივები ამერიკელმა პედაგოგმა, რუდოლფ დრეიკურსმა გამოყო. დრეიკურსი მიიჩნევს, რომ ქცევითი დარღვევის ათიდან ცხრა შემთხვევაში მიზეზი აღნიშნული მოტივებიდან ერთი-ერთია. მისი განსაზღვრა კი ეფექტური მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა, რადგან ზუსტ განსაზღვრაზე დამოკიდებული ჩარევის ხერხების სწორად შერჩევა, არასასურველი ქცევის აღკვეთა და პროსოციალური ქცევების ფორმირება.

როგორ უნდა მოვახდინოთ ბავშვის „ცუდი“ ქცევის მოტივის იდენტიფიცირება? ეს არც ისე იოლია, ვინაიდან თითოეული ბავშვის ქცევის უკან მიზეზებისა და მოტივების უნიკალური კომბინაცია დგას. რა შემთხვევასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, აუცილებელია რამდენიმე საკითხის გათვალისწინება: არ არსებობს ქცევის გამოსწორების უნივერსალური ხერხი, ამიტომ, დისციპლინის გასაუმჯობესებლად მუშაობა უნდა ეყრდნობოდეს ინდივიდუალურ მიდგომას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მივაგნოთ მოზარდის ქცევის მიზეზებს, ვიმოქმედოთ არა სპონტანურად, არამედ გააზრებულად, სტრუქტურულად, მიზანმიმართულად და მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტური მეთოდებით.

ნაბიჯი 1. სწორად აღვწეროთ კონკრეტული ფაქტები, მოვერიდოთ სუბიექტურ შეფასებას: სად, როდის, რა? არ გამოვიყენოთ სიტყვები: “არასდროს”, “ყოველთვის”, “არაფერი” და ა.შ. ვიყოთ ზედმიწევნით ობიექტურები და აკურატულები.

ნაბიჯი 2. ზუსტად განვსაზღვროთ ქცევის დარღვევის მიზეზი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიზეზი შეიძლება იყოს: ყურადღების მიპყრობის, ძალაუფლების, დაბალი თვითშეფასების, შურისძიების ან წარუმატებლობისგან თავის დაღწევის სურვილი. ქცევის მოტივის ცოდნა საჭიროა არა მხოლოდ იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ საპასუხო ქცევა, არამედ იმისთვისაც, რომ გამოვიცნოთ ბავშვის რეაქცია ჩვენს შემდგომ მოქმედებაზე.

ნაბიჯი 3. ავირჩიოთ ქცევის დარღვევის მომენტში გადაუდებელი ჩარევის ხერხები. გვახსოვდეს, ჩარევა არ გულისხმობს დასჯას ან ფიზიკურ გასწორებას; მას ორი მიზანი აქვს: შეაჩეროს არასასურველი ქცევა და იმოქმედოს ბავშვზე იმგვარად, რომ მისი შემდგომი ქცევა უფრო მისაღები გახდეს.

იმისათვის, რომ ჩარევა ეფექტური იყოს, საჭიროა, მოხდეს დაუყოვნებლივ (“აქ და აშუამად”) და სწორად. სისწრაფე არ გულისხმობს იმპულსურობას, სპონტანურობას, აგრესიულობას. სისწორე კი ეფუძნება ტექნიკის სწორად შერჩევას (მაგ., ძალაუფლებისმოყვარე და წარუმატებლობის მოშიში ბავშვები სხვადასხვანაირ რეაგირებას მოითხოვენ).

ნაბიჯი 4. ეფექტურად ვიმუშაოთ მშობლებთან: მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი მუშაობის შესახებ, მოვამზადოთ მათთვის ბავშვთან მუშაობის პროგრამის მოკლე ვარიანტი, ვაქციოთ ისინი ამ პროცესის თანამონაწილედ და ხელშემწყობად.

ყურადღების მოთხოვნილება საბაზისო ფსიქოლოგიური მოთხოვნილებაა.

1. როგორ ისწავლა ბავშვმა ცუდი ქცევით უფროსის ყურადღების მიპყრობა? ჯერ კიდევ პატარაობისას ბავშვები ხვდებიან, რომ ცუდი ქცევის ჩადენით გაცილებით უფრო სწრაფად იქცევენ ზრდასრული ადამიანის ყურადღებას, ვიდრე კარგად მოქცევისას. მაგ: როდესაც ბავშვი რამეს ტეხავს, მშობელი მაშინვე რეაგირებს, რითაც ბავშვი ყურადღების ცენტრში ექცევა. ყურადღების მიქცევის ეს მოდელი ბავშვს თანდათან სხვა გარემოშიც გადააქვს.

2. არავინ ასწავლის ბავშვს, როგორ მოითხოვოს ყურადღება მისაღები ფორმით. ყურადღების მოთხოვნილება საბაზისო ფსიქოლოგიური მოთხოვნილებაა, ისეთივე, როგორიც მაგ: კვების. ხოლო თუ ბავშვს ასწავლიან, როგორ მოითხოვოს საჭმელი მისაღები ფორმით, მაშ, რა დააშავა “ფსიქოლოგიურმა შიმშილმა?”

3. რაც უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვს სახლში, მით მეტია ალბათობა, ყურადღება მოითხოვოს სკოლასა თუ სხვა გარემოში. ტელევიზორთან გატარებული საათები, მშობელთა ფორმალური შეკითხვები: “რა ხდება სკოლაში?”, “ჭამე?”, “რა ნიშანი მიიღე?”, ურთიერთობის ვიწრო წრე, მარტოობა და შედეგიც სახეზეა – პრობლემები თითქმის გარანტირებულია.

როგორ მოვიქცეთ, რომ ქცევითი დარღვევები არ განმეორდეს?

მეცნიერები გვთავაზობენ გადაუდებელი პედაგოგიური ზემოქმედების სტრატეგიებს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ყურადღების მინიმალიზაცია. უგულებელყავით ბავშვის არასასურველი ქცევა. დაუსვით შეკითხვა საკუთარ თავს: “რა მოხდება, თუ არაფერს შევიმჩნევ?” და თუ თქვენი პასუხია, რომ არაფერიც არ მოხდება (გარდა იმისა, რომ ბავშვი ყურადღებას ვერ მიიღებს), თამამად მოახდინეთ მისი ქცევის იგნორირება. შესაძლოა, რამდენიმე მცდელობის შემდეგ ბავშვმა აღარ გაიმეოროს არასასურველი ქცევა.

თვალთ კონტაქტი. შეაჩერეთ მზერა მასზე – ამას გამოცდილი სპეციალისტები გვირჩევენ. ბავშვებმა იციან, რას აკეთებენ. მათ ისიც იციან, რომ ეს ჩვენც ვიცით. მათ იციან, რომ ეს მზერა ნიშნავს: “საკმარისია!” დაჟინებული მზერა არის ის, რაც ამ მომენტში ჩვენგან მიიღეს, გამოგვტყუეს. არავითარი სიტყვები, მხოლოდ მზერა.

ფიზიკური მიახლოება კიდევ ერთი ხერხია, რითაც ყურადღების მინიმალიზაციას მოვახდენთ, უსიტყვოდ, თვალთ კონტაქტის გარეშე.

გაგზავნეთ **“საიდუმლო სიგნალი”**. შეიძლება გამოიყენოთ რაიმე ჟესტი, რომლის მნიშვნელობაც ბავშვმა იცის. მაგ: თითის ტუჩზე მიდებით ანიშნით, შეწყვიტოს საუბარი.

ჩამოაყალიბეთ **“მე-შეტყობინება”**. ეს ხერხი გამოგადგებათ მაშინ, როცა გრძნობთ, რომ ნერვებმა გიმტყუნათ და ერთი სული გაქვთ, როდის უყვირებთ: „სასწრაფოდ შეწყვიტე!“ ფსიქოლოგები გვირჩევენ, ასეთ დროს **“მე-შეტყობინება”** გამოვიყენოთ. ამ სპეციფიკური ფორმით მოსწავლეს ვაძლევთ ინფორმაციას ქცევითი დარღვევისა და ჩვენი შთაბეჭდილებების შესახებ.

მე-შეტყობინება ოთხი ნაწილისგან შედგება:

პირველი – ობიექტური აღწერა ცუდი ქცევისა, რომელიც „აქ და ამჟამად“ ხდება: „როდესაც შენ ნივთებს აზიანებ....“

მეორე – თქვენი გრძნობის გამოთქმა: “ვგრძნობ, რომ ძალიან ვღიზიანდები...”

მესამე – ცუდი ქცევის შედეგის აღწერა: “რადგან ეს ნივთები აღარ გექნება...”

მეოთხე – თხოვნა: “თუ შეიძლება, შეწყვიტე მათი დაზიანება”.

ამ ფორმით მიწოდებული ინფორმაცია ცუდი ქცევის განმტკიცების საშიშროებას არ ქმნის. საჭიროა, ინტონაციაშიც იგრძნობოდეს კეთილგანწყობა.

2. ჩაიდინეთ მოულოდნელი საქციელი. ბავშვის არასასურველი ქცევის შეწყვეტა ხშირად უფროსის მოულოდნელ საქციელსაც შეუძლია. ამ გზით ჩვენ ვამბობთ: “ყველაფერს ვხედავ, ვიცი, რასაც აკეთებ, მაგრამ არ ვაპირებ, შენი თამაშის წესები მივიღო”. გახსოვდეთ, რომ თამაშს ორი მონაწილე მაინც უნდა ჰყავდეს, რათა ის შედგეს. მოულოდნელი ქცევა შეიძლება უჩვეულო ხერხით გამოხატოთ, მაგალითად, იუმორით – გემრიელად გაიცინეთ. ასევე, სხვა ხერხებია: აანთეთ (ან ჩააქრეთ) სინათლე და გაჩუმდით; ილაპარაკეთ ხმადაბლა, მონოტონურად.

3. ბავშვის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანეთ. ორი საქმის ერთდროულად კეთება დიდხანს შეუძლებელია. მაგალითად, როცა ბავშვი წესრიგს არღვევს, წესრიგის დარღვევის მომენტში თქვენ უსვამთ პირდაპირ შეკითხვას: “ზურა, რას ფიქრობ ამ საკითხზე?” ეს ხერხი კარგად ჭრის, ყურადღების მინიმალიზაციის სტრატეგიებთან ერთად.

4. ბავშვების ყურადღება მიაპყარით კარგი ქცევის მაგალითებს. სასარგებლო იქნება თუ ყურადღებას გავამახვილებთ მათზე, ვინც კარგი ქცევით გამოირჩევა. (ამ შემთხვევაში სიფრთხილეა საჭირო, რათა ბავშვმა გაღიზიანება და აგრესია არ გამოიწვიოს თანატოლებში და დაცინვა არ დაუწყონ იმის გამო, რომ სამაგალითოა. პროფესიონალმა არ უნდა გადააჭარბოს სხვისი ქება და საგმირო საქმეების ხაზგასმა. თუმცა, კარგი ქცევა უნდა

გაჟღერდეს, განმტკიცდეს და წახალისდეს. ბავშვი უნდა მიხვდეს, რომ კარგი ქცევა იმსახურებს ყურადღებას. ერიდეთ ბავშვების ქცევის ერთმანეთთან შედარებას.

თავი X

პრობლემური/არასასურველი ქცევის იდენტიფიცირება

წინამდებარე თავში აღწერილია პრობლემური/არასასურველი ქცევის იდენტიფიცირების მეთოდები; არასასურველი ქცევის წინაპირობა, გამოვლინება და შედეგები. ასევე, მოცემულია ინფორმაცია პოზიტიური ქცევის განმტკიცების სტრატეგიებსა და მეთოდებზე.

ქცევა მაშინ არის პრობლემური/ არასასურველი, თუ ის:

- ხელს უშლის ბავშვს სოციალურ ურთიერთობებში;
- სახიფათოა თავად ბავშვისთვის ან სხვებისთვის;
- ხელის შეშლელია ბავშვის განვითარებისთვის;
- ხდება არასწორ ადგილასა თუ დროს;

ქცევათა უმეტესობა დასწავლილია და ემსახურება გარკვეულ მიზანს ან კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

თუ ბავშვი კონკრეტული ქცევით ვერ აღწევს მიზანს, ის წყვეტს ამ ქცევას.

როგორც სასურველი, ასევე არასასურველი ქცევა ხორციელდება გარკვეულ კონტექსტში. ნებისმიერ ქცევას გააჩნია თავისი წინაპირობა და შედეგი, რის მისაღწევადც ბავშვი იქცევა ასე და არა სხვაგვარად.

ქცევა იცვლება სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ამ ფაქტორების შესწავლით და მათი მანიპულირებით შესაძლებელია ქცევაზე ზემოქმედების მოხდენა;

როგორ განვმარტოთ პრობლემური ქცევა?

ქცევის განმარტება არის პრობლემური ქცევის აღწერა მარტივი სიტყვებით, რომლებიც არ შეიცავს შეფასებით სიტყვებს, ისეთს, როგორიცაა: „ცუდი“, „კარგი“, „აგრესიული“ და სხვა.

ქცევის აღწერა უნდა იყოს რაც შეიძლება ზუსტი. ბუნდოვანი აღწერა ან ზოგადი იარლიყი, როგორიცაა „აგრესიული ქცევა“, არ წარმოადგენს ქცევის განმარტებას.

ყველა ქცევას აქვს: სიხშირე, ხანგრძლივობა და ინტენსივობა

- ქცევის სიხშირის დასადგენად ჩვენ ვითვლით, თუ რამდენჯერ ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა.
- ქცევის ხანგრძლივობის დასადგენად ჩვენ ვითვლით, თუ რამდენ ხანს გრძელდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა.
- ქცევის ინტენსივობის დასადგენად ჩვენ ვითვლით, თუ რამდენად ძლიერ (როგორი ძალით) ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა;

ქცევის კონტექსტი

1. რა პირობებში იქცევა ბავშვი ნეგატიურად და რა პირობებში - პოზიტიურად?
2. როდის, რა პირობებში არ ვლინდება არასასურველი ქცევა?
3. დღის რა მონაკვეთში ვლინდება ქცევა და უშუალოდ რა მოვლენები უსწრებს მას წინ?
4. ხომ არ ვლინდება არასასურველი ქცევა კონკრეტულ ადამიანებთან მიმართებაში?
5. ვლინდება თუ არა არასასურველი ქცევა იგივე პირობებში, მაგრამ სხვა გარემოებებში? (მაგ: სახლში, სკოლისკენ მიმავალ გზაზე ან სადილის დროს?)
6. დაკავშირებულია თუ არა ქცევა კომუნიკაციაში, სოციალურ ან აკადემიურ მიღწევებში არსებულ პრობლემებთან?

ქცევა არ ხორციელდება ვაკუუმში. ყველა ქცევას აქვს: წინაპირობა, ქცევის განხორციელება, შედეგი.

ქცევის წინაპირობა – ეს არის სტიმული (ნებისმიერი საგანი ან მოვლენა), რომელიც წინ უსწრებს კონკრეტულ ქცევას და რომლის საპასუხოდაც აღმოცენდება ეს ქცევა;

ქცევის შედეგი: მოვლენა/საგანი, რომლის მისაღწევადაც ადამიანი ახორციელებს კონკრეტულ ქცევას და რომელსაც შეუძლია შეამციროს ან გაზარდოს მომავალში ამ ქცევის ხელმეორედ გამოვლენის ალბათობა.

არასასურველი ქცევის მიზანი:

- გაქცევა ან თავის არიდება;
- ყურადღების მიღება;
- მატერიალური ჯილდო;
- თვითდაჯილდოება;

- შესაძლებელია, ერთი და იგივე ქცევა სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდეს.

ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები

ანალიზი:

- იმ პრობლემური ქცევის დიფერენცირება, რომელიც საჭიროებს ცვლილებას;
- პრობლემური ქცევის ზუსტი აღწერა/ფორმულირება;
- მისი ხანგრძლივობის, გამოვლენის სიხშირისა და ინტენსივობის განსაზღვრა, დაფიქსირება;
- განსაზღვრა, თუ სად, როდის და ვისთან ვლინდება პრობლემური ქცევა;
- წინმსწრები მოვლენის განსაზღვრა;
- მიღებული შედეგის განსაზღვრა (ქცევის სავარაუდო მიზნის/ფუნქციის განსაზღვრა);
- იმ სასურველი, ალტერნატიული ქცევის განსაზღვრა, რომლითაც შესაძლებელია მიუღებელი ქცევის ჩანაცვლება.
- პრობლემური ქცევის მართვა, მისი წინმსწრები მოვლენის შეცვლით ან ქცევის შედეგში ცვლილების შეტანით.

ქცევის განმტკიცება:

განმტკიცება არის პროცესი, რომლის დროსაც ქცევა ძლიერდება მისი თანმდევი შედეგების წყალობით. ეს შედეგი უშუალოდ ახლავს თან ქცევას და ქცევის გაძლიერებას უწყობს ხელს.

არსებობს ორი სახის განმტკიცება:

- დადებითი - ვერბალური წახალისება, შექება, მოტივაციის ამაღლება, სასიამოვნო სტიმულის დამატება (ექსკურსია, სტიკერები, არჩევანის შესაძლებლობა).
- უარყოფითი - დამსჯელი ან უსიამოვნო სტიმულის მოშორება (უკიდურეს შემთხვევაში, ტაიმ-აუტი, სოციალური სანქცია - ოთახის დალაგება და ა.შ. ყოველივე ამას, შესაძლოა, ბავშვის მხრიდან აგრესიული ქცევა მოჰყვეს).

განმტკიცების სახეები:

- კვებითი - ბავშვისათვის საყვარელი ნებისმიერი საკვები;
- მატერიალური - საჩუქრები, სათამაშო ან მისთვის სასურველი ნივთი (მაგ: ველოსიპედი);
- აქტივობითი - ექსკურსიაზე ან თეატრში წაყვანა;

- გადაცვლადი - ნიშანი, სტიკერები, ჟეტონები და ა.შ.
- სოციალური - შექება, ღიმილი, თავზე ხელის გადასმა და ა.შ.

რჩევები:

- არ შეპირდეთ ბავშვს ჯილდოს, რომლის მიცემაც არ შეგიძლიათ ან რომელსაც მისცემთ დავალების წარუმატებლად შესრულების შემთხვევაშიც.
- დააჯილდოვეთ ბავშვი მაშინვე, როგორც კი შეასრულებს დავალებას. არ გადადოთ დანაპირები, რადგან მათთვის თქვენ ხართ ავტორიტეტი და სამაგალითო ადამიანი. მიცემულ პირობას დროულად შესრულება ჭირდება;
- შეახსენეთ არსებული ჯილდოს შესახებ. მიეცით უფლება, აირჩიოს ორი ალტერნატივიდან, შეცვალოს არასასურველი ქცევა სასურველით და მიიღოს ჯილდო, ან წინააღმდეგ შემთხვევაში - დარჩეს ჯილდოს გარეშე;
- იყავით თანმიმდევრულნი და არ შეცვალოთ მიღებული გადაწყვეტილება;
- როცა პრობლემური ქცევის გამოვლენისთვის იძულებული ხართ, ბავშვი ჯილდოს გარეშე დატოვოთ, ეცადეთ, მისცეთ დამატებითი მარტივი დავალება, რაც ბავშვს საშუალებას მისცემს, გამოასწოროს თავისი მდგომარეობა და დაიბრუნოს შეპირებული ჯილდო.

თავდაპირველად ბავშვები მოტივირებულნი არიან გარეგანი ჯილდოთი - საკვები, სათამაშო; შემდეგ ემოციური ჯილდო სურთ - შექება, წახალისება, ბოლოს კი შინაგანი აღიარება - სიამაყის განცდა, თვითდაჯერებულობა, კმაყოფილება.

კითხვები დისკუსიისთვის:

- რა ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორები იწვევს მიუღებელ ქცევას?
- ქცევის სწორი ფორმირებისათვის რა განმამტკიცებლებია თქვენთვის ცნობილი?
- რა ეტაპებს გადის ინდივიდი, სანამ ესა თუ ის ქცევა ჩამოყალიბდება?
- დაასახელეთ ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიის რამდენიმე პირობა.

თავი XI

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება მიუსაფარი ბავშვების მიერ

წინამდებარე თავში მოცემულია ინფორმაცია მიუსაფარ ბავშვთა მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიზეზებზე, მისი იდენტიფიცირებისა და პრევენციის გზებზე და რეაბილიტაციის მეთოდებზე. აგრეთვე ყურადღებას გავამახვილებთ საზოგადოების

გავლენაზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებელ და დამოკიდებულ ბავშვებთან მიმართებაში.

მიუსაფარი ბავშვები ყოველდღიურად სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგანან. მათ შორისაა როგორც უგულვებელყოფა, ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე ექსპლუატაცია, რომლის საფუძველიც ელემენტარულ რესურსთა ნაკლებობაა. მიუსაფარ ბავშვთა მხარდამჭერი სისტემა თუ პროგრამა ძალიან ცოტაა. ასეთი ბავშვები ხშირად განიცდიან დაბალანსებული სოციალური ურთიერთობების ნაკლებობას. არ აქვთ ადექვატური ურთიერთობა უფროს ადამიანებთან, მშობლებთან, რის გამოც, უმეტესწილად, დაუცველნი რჩებიან ფიზიკური, გონებრივი თუ სოციალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის წინაშე. აქედან და კიდევ სხვა ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე, ე.წ. „გარიყული ბავშვები“ იწყებენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას, რათა არსებული გარემოებები შედარებით მარტივად აღიქვან, გადაამუშაონ და თვითგადარჩენისთვის იბრძოლონ.

მიუსაფარ ბავშვთა დამოკიდებულება, ნარკოტიკების მოხმარების აღქმა ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების ინფორმირებულობა, დამოკიდებულების ხარისხი და თავის დანებების სურვილი მრავალი კვლევითაა შესწავლილი. კვლევის შედეგები ცხადჰყოფს, რომ მიუსაფარ ბავშვებს მცირე ინფორმაცია აქვთ ნივთიერებების მოხმარების უარყოფითი შედეგების შესახებ და კვლავაც აგრძელებენ მათ გამოყენებას. თუმცა, ასევე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის მიწოდებაზე უფრო მნიშვნელოვანი მსგავს ნივთიერებებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და სარეაბილიტაციო პროგრამებზე მუშაობა გახლავთ.

არაერთი კვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ სოციალურ მუშაობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მიუსაფარი ბავშვების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების კუთხით. მისი ხუთ ეტაპად დაყოფა შეიძლება: 1) *შემთხვევის აღმოჩენა*; 2) *ბავშვის სამოტივაციო სამუშაოები*; 3) *მდგომარეობის შეფასება*; 4) *სამოქმედო გეგმის შემუშავება*; 5) *შემდგომი დაკვირვება*.

შემთხვევის აღმოჩენა. მიუსაფარი ბავშვებისათვის შეზღუდულია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების არსებობის შემთხვევაშიც, რაც ძირითადად სოციო-ეკონომიკური სტატუსითა და ოჯახური მხარდაჭერის არარსებობითაა გამოწვეული. ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შემთხვევების დაფიქსირება რთულია. შესაბამისად, აუცილებელია ინფორმაციის მოძიება როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში, რათა იდენტიფიცირებულ იქნან მიუსაფარი ბავშვები.

სამუშაოს პირველი ეტაპი მათი ნდობის მოპოვებას გულისხმობს. შემდგომი ეტაპი ბავშვებთან ინტერვიუებასა და მათ შორის ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლთა იდენტიფიცირებას მოიცავს. მომხმარებლის აღმოჩენის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მისი

მოტივირება, დარწმუნება, რომ მკურნალობის შესაძლებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და სასწრაფოდ გამოსაყენებელია. მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიცირება რეკომენდებულია აქტიური მეთოდით, რადგან ე.წ. „პასიურ შემთხვევებში“ ძირითადად მონაწილეობენ მომხმარებელთა მშობლები, ან მზრუნველები, რომელთაც, როგორც წესი, საკმარისი კვალიფიკაცია არ გააჩნიათ. ძალზედ მნიშვნელოვანია, ჩატარდეს სამუშაო ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების წესებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვის თაობაზე, რათა არ მოხდეს სხვადასხვა დაავადების გადატანა - ინფიცირება.

სამოტივაციო სამუშაოები: ნარკოტიკულ ნივთიერებებზე გრძელვადიანი დამოკიდებულებისა და საზოგადოების მხრიდან გარიყვის მიზეზით, შესაძლოა მიუსაფარმა ბავშვებმა სამკურნალო პროგრამების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინონ. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია განსაკუთრებულ გარემოებებში შეხვედრის ორგანიზება. კონკრეტული ბავშვის მდგომარეობის შესაბამისად, შესაძლოა ალტერნატივა შეიძლება იყოს სახლი, დროებითი თავშესაფარი, მისი სამუშაო ან მეგობრებთან შეხვედრის ადგილი. ბავშვთან მუშაობის პროცესში ოჯახს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ოჯახის ან მზრუნველი პირის ჩართულობა მნიშვნელოვანია საერთო საქმისთვის - როგორც ოჯახისა და ბავშვისთვის, ასევე სოციალური მუშაკისთვის. სოციალურ მუშაკს ბავშვის მზრუნველ პირთან ურთიერთობაში დიდი პროფესიონალიზმი მართებს, რათა მისი სიმპათია, ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვოს. მათ ერთად უნდა იზრუნონ ბავშვის მოტივაციაზე აუცილებელი მკურნალობის ჩასატარებლად. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელ ბავშვთა უმეტესობა სკოლაში სიარულსა და სწავლას თავს ანებებს.

თუ ბავშვისთვის მიზანშეწონილია სამკურნალო დაწესებულებაში დროებით განთავსება, მაშინ მისთვის უცხო და „საშიში“ გარემო საინტერესოდ და უსაფრთხოდ უნდა წარმოვაჩინოთ, რადგან ბავშვებს სჭირდებათ დაცული გარემო, სადაც არავის და არაფრის შეეშინდებათ.

ბავშვის მოტივირება შესაძლებელია კონკრეტული „ჯილდოების“ მეშვეობით: საკვებით, საინტერესო აქტივობების შეთავაზებით, გასართობ ღონისძიებებზე წაყვანით. პარალელურ რეჟიმში კი აუცილებელია მის ოჯახთან კონტაქტი და საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის წევრთა მუშაობის პროცესში ჩართულობა. თუ ბავშვებზე პასუხისმგებელი პირები ან მშობლები ხელს უშლიან მკურნალობის პროცესს, მაშინ აუცილებელია იურიდიული ზომების მიღება და უკიდურეს შემთხვევაში - მზრუნველობის ჩამორთმევა და ბავშვის მეურვეობის მინდობილი პირისათვის გადაცემა.

მდგომარეობის შეფასება: ბავშვის შეფასებისას საჭირო ინფორმაციის მოძიება ხდება ინდივიდუალური გასაუბრებების გზით - როგორც ბავშვებთან, ასევე მათზე პასუხისმგებელ პირებთან. მნიშვნელოვანია გასაუბრება ადგილობრივ პერსონალთანაც, რომლებიც კარგად იცნობენ ბავშვების ინდივიდუალურ მდგომარეობასა და გარემოებებს. მდგომარეობის შეფასების ძირითადი ასპექტები გახლავთ: ასაკობრივი, სქესობრივი და კულტურული ფონი, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ისტორია: უკანასკნელი გამოყენება, ზემოქმედებიდან გამოსვლის სიმპტომები და ა.შ., სექსუალური ჯანმრთელობის, ფიზიკური

და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინფორმაცია არალეგალური საქმიანობების შესახებ.

სამოქმედო გეგმის შემუშავება: პროფესიონალთა გუნდმა თითოეული ბავშვისათვის უნდა შეიმუშავოს ინდივიდუალური მკურნალობის გეგმა.

მიუსაფარ ბავშვთა მიერ ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებას სხვადასხვა პრობლემა უდევს საფუძვლად. WHO-ის რეკომენდაციით, სწორი მეთოდებით მუშაობისთვის საჭიროა სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირება
- მისი კრიზისული სიტუაციის აღმოჩენა
- საჭიროებების საპასუხო რეაგირება
- დროულად აღქმა/გადაწყვეტა პროფესიული დახმარების შეწყვეტაზე

Gadley et al. მიხედვით (1994), მოზარდების მკურნალობა მოიცავს სამ ეტაპს: სკრინინგს, საცხოვრებელ პირობებში მკურნალობას და უწყვეტ ზრუნვას. კრიზისულ სიტუაციაში ჩარევის აუცილებლობა განპირობებულია საცხოვრებელი პირობების შეუსაბამობით, სხვადასხვა საფრთხით, რომლის წინაშეც მიუსაფარი ბავშვები დგანან, ხოლო მოგვიანებით თავად ქმნიან სახიფათო სიტუაციებს.

უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვის დასახმარებლად, პირველ რიგში, საჭიროა მისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორი არ განსაზღვრავს მის ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებას. შემდგომი ეტაპი ბავშვების საკვებით უზრუნველყოფაა, რადგან ხშირ შემთხვევაში ნარკოტიკულ ნივთიერებებს მიუსაფარი ბავშვები შიმშილის შეგრძნების დასაქვეითებლად იყენებენ. ცენტრებში სამკურნალოდ განთავსებული ბავშვებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია დღეში ერთხელ მაინც ცხელი და ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფა. რაც შეეხება ბავშვთა სამედიცინო ცენტრების მდგომარეობას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, არსებობს მეტად სავალალო ფაქტორები, რომლებიც მათთვის სამედიცინო დახმარების გაწევას ხელს უშლის. შესაძლებელია, პრობლემა დაწესებულების ფინანსური მდგომარეობა იყოს, ან გავრცელებული სოციალური სტიგმა. ზოგჯერ კი, სამედიცინო ცენტრი უარს ამბობს მიუსაფარი ბავშვებისათვის მომსახურების გაწევაზე.

მკურნალობის პროცესში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას თავად ბავშვთა ნეგატიური დამოკიდებულება წარმოადგენს. უიმედობისა და სასოწარკვეთის განცდამ კი შესაძლოა ხელი შეუშალოს სამედიცინო ცენტრს ეფექტურად მუშაობაში. მიიჩნევა, რომ აღნიშნული ბარიერების გადალახვისას მნიშვნელოვან როლს სოციალური მუშაკის აქტიური ჩართულობა ასრულებს. აუცილებელია ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა და ზოგჯერ - მკურნალობაც, რადგან ზემოთ ხსენებული პრობლემების მქონე ბავშვებს ხშირად ახასიათებთ ქრონიკული

დეპრესია, თვითმკვლელობის მცდელობები და სუიციდზე ფიქრი. ისინი მიდრეკილნი არიან ძალადობისკენ, აღენიშნებათ პარანოია ან სხვადასხვაგვარი ილუზიები. მათთან მუშაობისას დადებით გავლენას ახდენს ინდივიდუალური საუბრები. ეს ხელს უწყობს პირადი და მტკივნეული გამოცდილების გადამუშავებას. რეაბილიტაციის პროცესში მნიშვნელოვანია თამაშის ფორმით გაწეული თერაპია, ბავშვების სპორტულ და გასართობ აქტივობებში ჩართვა.

ზოგიერთ ოჯახში ნარკოტიკულ ნივთიერებებს მშობლებიც მოიხმარენ. ასეთ შემთხვევებში მათი მკურნალობაც აუცილებელია, რათა ბავშვის სახლში დაბრუნებისას პრევენდენტის განმეორება თავიდან ავიცილოთ.

გამომდინარე იქიდან, რომ მიუსაფარი ბავშვები ხშირად ხდებიან სამართალდამრღვევები, მათ იურიდიული კონსულტაციაც უნდა გაიარონ. ხოლო მკურნალობის ბოლო ეტაპზე მნიშვნელოვანია ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაცია, რადგან მათი უმეტესობა არ, ან აღარ დადის სკოლაში. შესაბამისად, არ აქვთ გამომუშავებული წერა-კითხვის უნარი. მკურნალობის დასრულების შემდეგ სოციალურმა მუშაკმა ბავშვის სკოლაში დაბრუნებაზე უნდა იზრუნოს. განათლების გზით ბავშვები მიიღებენ მათთვის სასიცოცხლო ინფორმაციას, დაკავდებიან სასარგებლო საქმიანობით და ჩაერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შედეგად, დარჩებათ ნაკლები დრო არალეგალური და კრიმინალური საქმიანობებისთვის, რაც თავისთავად შეამცირებს კანონდარღვევისა და ნარკოდამოკიდებულების რისკს.

თავი XII

სარისკო სექსუალური ქცევა

წინამდებარე თავში განმარტებულია მიუსაფარ ბავშვთა სარისკო სექსუალური ქცევა, მისი გამოძწევები მიზეზები, განმსაზღვრელი ფაქტორები, შესაძლო ფორმები, და შედეგები; აგრეთვე სარისკო სექსუალური ქცევის პრევენციის საშუალებები.

სექსუალური ჯანმრთელობა სექსუალურ დაავადებებსა და ინფექციებს უკავშირდება. ნორმალური სექსუალური და რეპროდუქციული უნარის მქონე პირებს აქვთ სასიამოვნო, ჯანსაღი, უსაფრთხო სექსუალური ცხოვრება. ასეთ შემთხვევაში ადამიანებს შეუძლიათ ჰყავდეთ შვილები და თავად იღებენ გადაწყვეტილებას, როდის და რამდენ შვილს გააჩენენ.

სამწუხაროდ, ახალგაზრდები, სხვა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, სწორედ სარისკო სექსუალური ქცევის გამო, სექსუალური დაავადებების შედარებით მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, ხოლო მიუსაფარი ბავშვები კი - კიდევ უფრო მაღალი რისკის ქვეშ. სარისკო სექსუალური ქცევა ვნებს სექსუალურ და რეპროდუქციულ უნარებს. ეს შეიძლება იყოს: არასასურველი ორსულობა, საფრთხის შემცველი აბორტი, HIV/AIDS და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი).

სქესობრივი კავშირის დამყარება სარისკოა:

- ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ
- ნარკოტიკების მომხმარებელთან
- დამცავი საშუალებების გარეშე
- კომერციული მიზნით
- იგივე სქესის წარმომადგენელთან, დამცავი საშუალებების გარეშე.

სექსუალური კავშირის დამყარება ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებამ შეიძლება გავლენა იქონიოს სექსუალურ ქცევაზე და გაზარდოს HIV და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების წარმოშობისა და განვითარების რისკი. მიუსაფარი ბავშვების გადაწყვეტილება სექსუალური კავშირის დამყარებაზე, პარტნიორთან მოლაპარაკების თუ ძალის გამოყენების გზით, დამოკიდებულია მისი ინტოქსიკაციის დონეზე. ამ ფაქტორზეა მიბმული უსაფრთხო სექსის კომპონენტიც - გამოიყენებენ თუ არა მოზარდები და ახალგაზრდები სექსის დროს თავდაცვის საშუალებებს. როგორც წესი, ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება დაკავშირებულია სქესობრივი ცხოვრების ადრეულ ასაკში დაწყებასთან, განსაკუთრებით ბიჭებში.

სქესობრივი კავშირის დამყარება ნარკოტიკების მომხმარებელთან. ნარკოტიკების მომხმარებელთან დაუცველი სქესობრივი კავშირის დამყარებით იზრდება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემების საფრთხე, რადგან ასეთი პირები სარისკო სექსუალური ქცევისკენ არიან მიდრეკილნი. ასეთი სახის სქესობრივი კავშირების დროს განსაკუთრებით მაღალია პარტნიორზე აივ ინფექციის გადადების რისკი.

დაუცველი სქესობრივი კავშირი. დაუცველი სქესობრივი კავშირი ფართოდაა გავრცელებული მიუსაფარ ბავშვებს შორის, რაც სხვადასხვა სახის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს. ამ შემთხვევაში გაცილებით მაღალია ისეთი ინფექციური დაავადებების გადადების რისკი, როგორიცაა აივ ინფექცია, სიფილისი, ჰეპატიტი და ა.შ. მიუსაფარი ბავშვები ხშირად სქესობრივ კავშირს ამყარებენ სხვა, მაღალი რისკის მქონე პირებთან, რომელთაც მრავალი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ, ან ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებლები არიან.

კომერციული სექსი/პროსტიტუცია. მიუსაფარი ბავშვები ზოგჯერ კომერციული სექს-მუშაკები ხდებიან, რადგან ხშირად გადაუდებელი ფინანსური დახმარება ესაჭიროებათ, მაგ: თავშესაფარი, ღამის გასათევია ადგილი, საკვები, ოჯახის რჩენა და ა.შ.

სქესობრივი კავშირი იგივე სქესის წარმომადგენელთან. მიუსაფარ ბავშვებს შორის ხშირია სქესობრივი კავშირი იმავე სქესის თანატოლებთან, განსაკუთრებით მამრობითი სქესის წარმომადგენლებში. გარდა ამისა, მიუსაფარი ბავშვები ხშირად ხდებიან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი უფროსი ასაკის მამაკაცთა მხრიდან.

სექსუალური ძალადობა. სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება, სასქესო ორგანოებზე ხელის მოსმა/ხახუნი და ა.შ. საკმაოდ გავრცელებულია ქუჩაში. ამ შემთხვევაში თანაბრად მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან ბიჭებიც და გოგონებიც. სექსუალური ძალადობა შეიძლება აღინიშნოს ოჯახის წევრებს შორისაც, მაგალითად, ძალადობა მამინაცვალის მხრიდან. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი სახის სქესობრივი კავშირი იშვიათად არის დაცული, დიდია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვა სახის პრობლემების განვითარების საფრთხე.

სარისკო სექსუალური ქცევის შედეგები:

ადრეული და არასასურველი ორსულობა. დაუცველი სქესობრივი კავშირის შედეგად, მიუსაფარი გოგონები შესაძლოა დაორსულდნენ. ვინაიდან მათი რეპროდუქციული სისტემა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, ხშირად უჩნდებათ ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული პრობლემები. ნაადრევმა მშობიარობამ შესაძლოა ბავშვისა და დედის ჯანმრთელობის საფრთხე შეუქმნას, დააზიანოს ან სიკვდილი გამოიწვიოს. ქუჩაში მცხოვრები მშობლების შვილები ხშირად მცირე წონითა და სხვადასხვა ინფექციური თუ არაინფექციური დაავადებით იზადებიან. ჩანასახისა და ჩვილის საჭიროებებზე ორიენტირება და კონცენტრირება სირთულეს წარმოადგენს მიუსაფარი გოგონებისთვის.

საფრთხის შემცველი აბორტი.

მიუსაფარი გოგონები ხშირად მიმართავენ ხელოვნური ჩარევის საშუალებით ორსულობის შეწყვეტას. სამწუხაროდ, მათ არ ჰყავთ მხარდამჭერი და მრჩეველი, რომელიც გვერდში დაუდგება და გაამხნევებს. მიუსაფარ გოგონებს არ მიუწვდებათ ხელი ორსულობის უსაფრთხო გზით შეწყვეტის სერვისებზე. ისინი ხშირად დაბალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ, ან თვითნებურად იცილებენ ნაყოფს, რაც მათ ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის. აბორტის შედეგად ვითარდება ინფექციური დაავადებები, სისხლდენა, რამაც შესაძლოა სიკვდილიც კი გამოიწვიოს. რეპროდუქციული სისტემის დაზიანება ხშირად უშვილობის მიზეზი ხდება. გადატანილი სტრესი კი მათ ფსიქიკაზე ტოვებს კვალს, თავს იჩენს ფსიქოლოგიური პრობლემები.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, აივ/შიდსი. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და აივ ინფექცია დაინფიცირებულ პირთან დაუცველი სქესობრივი კავშირის შედეგად ვითარდება. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით ინფიცირების რისკი მრავალი პარტნიორის არსებობის შემთხვევაში კიდევ უფრო იზრდება.

სექსუალური და რეპროდუქციული საჭიროებები მიუსაფარ ბავშვებში

დეტალური ინფორმაციის მიწოდება

საჭირო უნარებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად, აუცილებელია მიუსაფარი ბავშვების ინფორმირება. ისინი უნდა ფლობდნენ ცოდნას ზრდისა და განვითარების, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, წამალდამოკიდებულების, დაავადების პრევენციის,

ჯანმრთელობისა და სხვა რიგი საკითხების შესახებ. მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობისას რთულია, იპოვო ადგილი და დრო ინფორმაციის სისტემატურად მისაწოდებლად. ამიტომ, მათთან მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად და ნდობის მოსაპოვებლად, ყველა შესაძლო სიტუაციის გამოყენებაა საჭირო.

ცხოვრების უნარის სწავლება

„ცხოვრების უნარი“ შეიძლება ეწოდოს პოზიტიურ ქცევას, რომელიც ადამიანებს ადაპტირებისა და ცხოვრებისეული გამოწვევების ეფექტურად დაძლევის საშუალებას აძლევს. ამ უნარის წინა პლანზე წამოწევა და გამომუშავება მიუსაფარ ბავშვებს დაეხმარება, გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები და თავი დააღწიონ ქუჩას. სწორედ ამ უნარების წარმოჩენასა და სამოქმედო სტრატეგიების შემუშავებაში სჭირდებათ მათ სოციალური მუშაკის დახმარება, რათა შეძლონ არსებული პრობლემების დაძლევა.

მომდევნო ეტაპი ეხება ბავშვის ცხოვრების პოლიტიკურ, საკანონმდებლო, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტს, მათ შორის, განათლების მიღებისა და საარსებო საშუალებების მოპოვების შესაძლებლობებს, ასევე, სხვა ადამიანებთან პოზიტიური ურთიერთობების გამოცდილების გაზიარებას. შედეგად კი, ვიღებთ ბავშვთა სწორად ჩამოყალიბებისათვის საჭირო უსაფრთხო და ხელშემწყობ გარემოს.

უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო

როდესაც მიუსაფარ ბავშვთა პრობლემების პრევენცია არ ხდება და დამცავი ზომები არ მოქმედებს, ირღვევა ბავშვთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებული მათი ფუნდამენტური უფლებები, საფრთხე ექმნება მიუსაფარი ბავშვების არსებობას და იზღუდება განვითარების საშუალებები. პრობლემების მოგვარებისა და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია როგორც შიდა ფაქტორებზე (რესურსებზე), ასევე გარე რესურსებზე მუშაობა. შიდა ფაქტორებში (რესურსებში) იგულისხმება, მაგალითად, მიუსაფარ ბავშვთა გონებრივი შესაძლებლობები, მუშაობის შესაძლებლობა და ა.შ., გარე რესურსებში კი მოიაზრება ის გარემო, რომელშიც ბავშვს დროის გატარება უწევს. მაგალითად, სკოლა, ჯანდაცვის მომსახურება, სხვადასხვა ორგანიზაცია და პირი, ვინც დადებით გავლენას მოახდენს მათ ჩამოყალიბებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

სოციალური მუშაკის მოვალეობაა, აქტიურად ჩაერთოს კონკრეტულ შემთხვევებში, მოახდინოს არსებული პრობლემების ზუსტი იდენტიფიცირება და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რაც შიდა თუ გარე რესურსში არსებული პრობლემების აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

შიდა რესურსებში არსებული პრობლემა, ძირითადად, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური მუშაობის ჩატარებას საჭიროებს, გარე ფაქტორები კი უფრო ფართო სპექტრს მოიცავს. სოციალურ მუშაკს, მუშაობის პროცესში, გარკვეულწილად, მედიატორის როლი აკისრია.

რაც შეეხება სექსუალური რეპროდუქციისა და ზოგადად, სექსუალური ხასიათის პრობლემებს, ეს როგორც შიდა, ასევე გარე რესურსების პრობლემებს უკავშირდება.

შიდა რესურსებში პრობლემას შესაბამისი განათლების არქონა წარმოადგენს: როდესაც ბავშვებმა არ იციან, თუ რა საფრთხის წინაშე დგანან, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ საფრთხეს, როგორ დაიცვან თავი და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბავშვებისა და მოზარდების დროული, სწორი ფორმით და გასაგები ენით ინფორმირება.

გარე ფაქტორებში კი მოიაზრება ჯანდაცვის ორგანიზაციებისა და სამკურნალო დაწესებულებების მზაობა, იმუშაონ მიუსაფარ ბავშვებთან და მჭიდროდ, კომპლექსურად ითანამშრომლონ სოციალურ მუშაკებთან. ეს მზაობა როგორც ფინანსურ, ასევე ინტელექტუალურ მხარდაჭერას უკავშირდება. ფინანსურ მზაობაში იგულისხმება სახელმწიფო რეგულაციები მაგ: რამდენად ითვალისწინებს ბიუჯეტი მიუსაფარი ბავშვების რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვას. ინტელექტუალურ მზაობაში კი იგულისხმებიან პროფესიონალები, რომლებიც, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამის სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას გაუწევენ მიუსაფარ ბავშვებს.

პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, სოციალურ მუშაკს ასეთ შემთხვევაში ესაჭიროება როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უნარი, რადგან ერთობლივი მუშაობა გაცილებით უფრო ნაყოფიერია.

თავი XIII

სუიციდი

წინამდებარე თავში განმარტებულია სუიციდი, როგორც გლობალური პრობლემა, მისი განმაპირობებელი ფაქტორები; განხილულია სუიციდის მიზეზები სხვადასხვა კონტექსტში და სუიციდისკენ მიდრეკილ ბავშვთა ქცევა.

სუიციდი გახლავთ კაცობრიობის გლობალური პრობლემა, რომლის სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებას, გამომწვევ მიზეზებსა და სამართალთან მიმართების პრობლემატიკას ჩვენ შემდგომში განვიხილავთ. ეს საკითხი მუდამ აქტუალურია და დეტალურად შესწავლას იმსახურებს. დღესდღეობით სუიციდის რიცხვი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად გაზრდილია გასულ წლებთან შედარებით.

მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რა ძირითადი ფსიქოლოგიური მიზეზები შეიძლება ჰქონდეს სუიციდს და როგორ ამოვიცნოთ ადამიანებში თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება.

„მძულს საკუთარი თავი და სიცოცხლე... არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყოველ ახალ დღეს შიშით ვხვდები. მამაჩემი მუდამ დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე და ყველანაირად ცდილობდა, რომ

ბოლომდე გამომევილინა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი. მე მას იმედები გავუცრუე. მაქვს სამუშაო, მაგრამ ვარ გაკოტრებული. ვირიცხები კოლეჯში, მაგრამ სწავლას ვერ ავუდივარ. მინდა დასრულდეს ჩემი ცხოვრება, დამღალა ამ ყველაფერმა“ - 19 წლის აბრაჰამ ბიგმა სწორედ ამ წერილის დაწერის შემდეგ მოიკლა თავი. ეს ათასობით ადამიანის თვალწინ ერთ-ერთ საიტზე მოხდა.

სიცოცხლის ხელყოფა საკუთარი ნებით - კაცობრიობის თანმდევი ერთ-ერთი უძველესი პრობლემა თანამედროვე მსოფლიოს „შავ ჭირად“ იქცა. სუიციდი თავისი მზარდი მასშტაბებით საერთაშორისო ორგანიზაციების შემოფოთებას იწვევს.

მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონამდე ადამიანი წყვეტს სიცოცხლეს თვითმკვლელობით. დაახლოებით 10-20 მილიონი შემთხვევა კი ფატალურად არ სრულდება. სტატისტიკა საგანგაშოა. სუიციდის მსურველთა და განმახორციელებელთა რიცხვი მატულობს, ასაკი კი მცირდება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, სიკვდილიანობის ყველაზე დიდი წილი მოზარდებსა და 35 წელს ქვემოთ ახალგაზრდებზე მოდის. კვლევებით დადგენილია, რომ სუიციდის მსურველები ქალებში გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე მამაკაცებში, თუმცა, თვითმკვლელი მამაკაცები ქალებს ჭარბობენ.

არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველო კავკასიაში თვითმკვლელობის შემთხვევების სიმრავლით პირველ ადგილზეა. სუიციდის ფაქტები საგრძნობლად მომრავლებულია ახალგაზრდებში. ბოლო ოცი წლის მანძილზე სუიციდის 6000 შემთხვევა გამოვლინდა. თუმცა, სპეციალისტების თქმით, სტატისტიკა რეალურ სურათს ვერ ასახავს, რადგან თვითმკვლელობის ფაქტი სამარცხვინოდ ითვლება და ასეთი ფაქტების გამჟღავნება იშვიათად ხდება.

თვითმკვლელობის სურვილი მრავალი სოციალური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორითაა განპირობებული. ასეთი მიზეზებია: საკუთარი თავის მნიშვნელობის დაკარგვა, გარემოს მტრულად აღქმა, პერსპექტივის ვერდანახვა, სიცოცხლის გაუფასურება, თვითდამკვიდრების პრობლემა, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი ქვეყანაში. სამწუხაროდ, აღნიშნული რისკ-ფაქტორები თანამედროვეობამ მთელი სიმწვავეით წარმოადგინა. ერთი მხრივ, რელიგიისა და ტრადიციის გაუფასურების მცდელობამ და მეორე მხრივ, მიზნების არნახულმა სიმრავლემ, ადამიანური არსებობის ფუნდამენტი - პიროვნული თავისუფლება ფიქციად აქცია. როცა გარემო გაუსაძლისი ხდება და ადამიანი ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე დგება, ის ძალიან ხშირად აკეთებს არჩევანს არყოფნის სასარგებლოდ.

თინეიჯერებში მომრავლებული თვითმკვლელობის ფაქტები

თინეიჯერების შემთხვევაში სუიციდი უმეტესად ფარულია. ასეთი ტიპის სუიციდი გამოიხატება თვითდესტრუქციულ ქცევაში და მიმართულია როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური და სოციალური სიცოცხლის შემოკლებისაკენ. მოზარდებს ახასიათებთ

რეალობიდან გაქცევის ფორმები - ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება, ბიოლოგიური რიტმის დარღვევა და ა.შ. ეს ყველაფერი კი ადამიანს სიცოცხლის სიხარულს ართმევს და თვითგანადგურების იმპულსით მუხტავს. თინეიჯერები, რომლებსაც მწვავე ემოციური ფონი აქვთ, ეწინააღმდეგებიან ყოველივე ღირებულს - გამოხატავენ აგრესიას, ემალებიან დღის შუქს, ცხოვრობენ ღამის ცხოვრებით, უსმენენ უმძიმეს მუსიკას, ისერავენ სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, სოციალურ ქსელებში ავრცელებენ ჭრილობების ფოტოებს და ა.შ. ამგვარი ქცევის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც გადამეტებული კონტროლი, ასევე უკონტროლო აღზრდის სტილი. თანატოლებთან დესტრუქციული იდეების გარშემო გაერთიანებას ხშირად მიჰყავართ თვითმკვლელობის შემთხვევებამდე.

თინეიჯერების შემთხვევაში სუიციდის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ მიზეზად საზოგადოებრივი გულგრილობა სახელდება.

ფართოდ დამკვიდრებული და წახალისებული ნორმები მოზარდის ცნობიერებაში სტიმულის სახით შემოდის. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი **ემილ დიურკჰეიმი** თვითმკვლელობის მაპროვოცირებელ მიზეზთა შორის საზოგადოების მხრიდან ადამიანური ნორმების უგულვებელყოფას ასახელებს. ნათესავური კავშირების, მეგობრობის, თანაგრძნობის და ა.შ. იგნორირება საზოგადოების ღირებულებებს აუფასურებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთელი რიგი საჯარო სამსახურები უგულვებელყოფენ ბავშვთა ასაკობრივ მოთხოვნილებებს. ქალაქის განაშენიანებაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან დანაშაულია მშენებლობების ისეთი დაგეგმარება, სადაც ბავშვებისათვის არ არის გათვალისწინებული ეზოები და სათამაშო მოედნები. ეზოების, ანუ სათამაშო სივრცის შემთხვევაში, მოზარდები თავად ირჩევენ თამაშებს, რაც შემოქმედებით უნარებს ავითარებს. ეს კი თვითშეფასების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პირობაა.

თვითმკვლელობის აზრის მატარებელ ადამიანს მეტი ყურადღება სჭირდება. თუ ვამჩნევთ, რომ ადამიანს დეპრესია აქვს, ეკონომიკური პრობლემების გამო მწვავე შეჭირვებაშია, სიყვარულის გამო იმედგაცრუებას განიცდის ან მწვავედ რეაგირებს საზოგადოებრივ უსამართლობაზე, ნუ დავტოვებთ ყურადღების გარეშე. თუ ადამიანს ერთხელ უკვე უცდია თვითმკვლელობა, განმეორებითი წუხილის, პრობლემის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული ბოლომდე მიიყვანოს ტრაგიკული ჩანაფიქრი.

როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ ადამიანს, რომელიც სუიციდისადმი მიდრეკილია?

დახმარება შეუძლია სპეციალისტს - ფსიქოლოგს ან ფსიქიატრს. სპეციალისტი გადაწყვეტს, რა არის საჭირო - ფსიქოთერაპია, მედიკამენტები თუ ორივე ერთად. მთავარია, იყოს გულისხმიერი და ცხადად განმარტოთ სპეციალისტის ჩართვის აუცილებლობა.

P.S „მე ვაპირებ, რომ გავისეირნო ხიდზე. თუ ამ დროის განმავლობაში ერთი ადამიანი მაინც გამიღიმებს, აღარ გადავხტები“ - ეს თვითმკვლელობამდე დატოვებული წერილია. ყოველ 15 წუთში ერთი ადამიანი სიცოცხლეს სუიციდით ასრულებს. შეიძლება, თქვენმა ერთმა სიტყვამ და ღიმილმა შეცვალოს ყველაფერი. ნუ იქნებით გულგრილნი.

სუიციდის გამომწვევი მიზეზები

ფრანგ სოციოლოგ ემილ დიურკჰემის მოსაზრების თანახმად, არსებობს სუიციდის შემდეგი ტიპები:

- **ეგოისტური თვითმკვლელობა** - დეპრესიის, ადამიანური ურთიერთობებისა და სოციალური ფაქტორების გამო ჩადენილი სუიციდი;
- **ანონიმური თვითმკვლელობა** - ახასიათებს ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეულ სუიციდურ ფაქტებს;
- **ალტრუისტული თვითმკვლელობა** - ამ შემთხვევაში ადამიანი საკუთარ სიცოცხლეს ხელყოფს სხვაზე ორიენტირებულობის გამო. ეს მაშინ ხდება, როდესაც პიროვნება ისე აიგივებს თავს ვინმესთან, რომ მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენლად მიაჩნია. ალტრუისტულ თვითმკვლელობას როგორც წესი სიყვარულით იმედგაცრუებულები მიმართავენ.
- **ფატალისტური თვითმკვლელობა** - ადამიანი სიცოცხლეს ასრულებს საზოგადოებრივი დოგმებისა და სტერეოტიპების გასაპროტესტებლად.
- **ფარული სუიციდი** - ხორციელდება ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებით. ეს თვითდესტრუქციული ქცევაა, რომელიც პირდაპირ მიმართულია სიცოცხლის შემოკლებისკენ. ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება სოციალური პრობლემების პროპორციულად იზრდება. როდესაც ადამიანი ნივთიერებების დახმარებით ცდილობს რეალობიდან გაქცევას, სიცოცხლესაც გაურბის. თვითმკვლელობა ხშირად არის დაკავშირებული მძიმე სოციალურ ფონთან, თუმცა არსებობს სხვა მიზეზებიც, რის გამოც ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს ხელყოფენ.

ესენია:

- **სულიერი აშლილობა**, როდესაც ადამიანი გაუწონასწორებელია და ეს დაავადებიდან გამომდინარეობს.
- **სტრესი** - შესაძლოა, პირმა აფექტის შედეგად მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილება.
- **დეპრესიული მდგომარეობა**, როდესაც პირი თავისი არსებობის აზრს ვერ ხედავს, რამაც, შესაძლებელია, თვითგანადგურების გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს - ეს ერთგვარი აგრესიაა საკუთარი თავის მიმართ.

ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ურთიერთობა საზოგადოებასთან, თვითდამკვიდრების პრობლემა და ოჯახური მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია, თუმცა სუიციდი შეიძლება განპირობებული იყოს გენეტიკური ფაქტორებითაც. თვითმკვლელთა 50%-ს ოჯახის ისტორიაში ჰქონდა სუიციდის შემთხვევა. გერმანიის ერთ - ერთ ფსიქიატრიულ ინსტიტუტში მარტინ კოლი ხელმძღვანელობდა კვლევას, რომლითაც

დადგინდა სუიციდურ ქმედებებთან დაკავშირებული სპეციფიკური გენის არსებობა. ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. სუიციდის ფაქტორებად მოიაზრება ასევე სტრესი და ფანტაზია. ადამიანები თავს იმისთვის იკლავენ, რომ გაექცნენ სტრესს. რაც შეეხება ფანტაზიებს, გამოყოფენ ოთხი სახის ფანტაზიას:

1. შეერთება გარდაცვლილ პიროვნებასთან - სურვილი, რომ გარდაცვლილ პიროვნებას იმქვეყნად გაჰყვე.
2. ხელახლა დაბადება - სუიციდი ასეთ შემთხვევაში ხელახლა დაბადების საშუალებაა, რაც მიმდინარე პრობლემისაგან გაქცევის საშუალებას იძლევა.
3. საკუთარი თავის დასჯა - ადამიანი თვლის, რომ ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც განადგურებას იმსახურებს.
4. შურისძიება - ზოგი ადამიანი სუიციდს ჩადის იმისათვის, რომ სხვებმა თავი დამნაშავედ იგრძნონ.

სუიციდის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია შიზოფრენიით დაავადებულ პიროვნებებში. ამის მიზეზია ცრუ წარმოდგენებია (მაგ: ეშმაკია, არ იმსახურებს ცხოვრებას). რა მიზეზითაც არ უნდა იყოს სუიციდის შემთხვევა გამოწვეული, განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორ პრევენციულ ღონისძიებებს ენიჭება. ამისთვის კი აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება. აუცილებელია, ვისწავლოთ:

1. როგორ აღმოვაჩინოთ სუიციდური ქცევის ნიშნები;
2. რატომ არის მნიშვნელოვანი დახმარების მიღება;
3. სად შეიძლება დახმარების ძიება.

სუიციდისკენ მიდრეკილი ადამიანების დახმარების წარმატებულ გზად მიჩნეულია ფსიქოთერაპია და კოგნიტური თერაპია. ეს გაურკვევლობაში მყოფ პირებს სუიციდური აზრების შემცირებაში ეხმარება. არსებობს ასევე სუიციდის პრევენციის ცენტრები, სადაც ადამიანებს კრიზისული სიტუაციების დაძლევაში ეხმარებიან. საქართველოში არსებული აღნიშნული პროგრამების ძირითადი მიზნებია: ურთიერთობის დამყარება ინდივიდთან, სუიციდის რისკის შეფასება (რამდენად მძიმეა მდგომარეობა), ინდივიდის ძლიერი მხარეების აქტივირება და გეგმის განვითარება პრობლემის დასაძლევად. მართალია, პროგრამები არსებობს, მაგრამ მათ სუიციდისკენ მიდრეკილი ადამიანების მცირე ნაწილი მიმართავს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ადამიანები, რომლებიც თავიანთი პრობლემების მოგვარების გზებზე არიან ორიენტირებულნი, სუიციდზე აქტიურად არ იწყებენ ფიქრს. მიუხედავად ამისა, ასეთი ცენტრების არსებობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

კითხვაზე - შესაძლებელია თუ არა სუიციდის პრევენცია? პასუხი არის კიცი და არა. დასახმარებლად ბევრი გზა არსებობს, თუმცა ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, რის გამოც ზოგადი დასკვნების გაკეთება ჭირს.

10 მითი სუიციდის შესახებ

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) თანახმად, ყოველ 40 წამში მსოფლიოს რომელიმე წერტილში ერთი ინდივიდი მიმართავს სუიციდის მცდელობას. 15-დან 19 წლამდე ასაკის მოზარდებსა და ახალგაზრდებში სწორედ თვითმკვლელობაა სიკვდილიანობის რიგით მესამე ყველაზე გავრცელებული მიზეზი. სუიციდის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სამწუხაროდ, რიგითი მოქალაქეები კვლევის მონაცემებით გამყარებული ცოდნის ნაცვლად მითებით ხელმძღვანელობენ.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ასეთი გავრცელებული მითი და სიმართლე.

მითი #1 ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ თავს მოიკლავს, სინამდვილეში ამას არ გააკეთებს.

ფაქტი: შესაძლოა, ადამიანი მართლაც ყურადღების მიქცევის მიზნით იმუქრებოდეს თავის მოკვლით და სულაც არ ჰქონდეს ასეთი განზრახვა ან სურვილი, მაგრამ ასეთი განცხადებების იგნორირება ძალიან სახიფათოა. თუკი სტატისტიკას გადავხედავთ, 10-დან 8 ადამიანი თვითმკვლელობამდე საკუთარ განზრახვას გარშემომყოფებს აცხობინებს. ამიტომ, ყოველ ასეთ მუქარასა თუ გაფრთხილებას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

მითი #2 სუიციდი გაფრთხილების გარეშე, მოულოდნელად ხდება

ფაქტი: გარშემომყოფები ხშირად აღნიშნავენ, რომ ადამიანმა სრულიად მოულოდნელად მოიკლა თავი და ამ ქცევაზე არაფერი მიუთითებდა. რეალურად, სუიციდს წინ უსწრებს სხვადასხვა სასიგნალო, გამაფრთხილებელი ნიშანი: ადამიანმა შესაძლოა დაკარგოს ინტერესი მისთვის ერთ დროს სასიამოვნო აქტივობების მიმართ, ჩაიკეტოს საკუთარ თავში, გამოემშვიდობოს საყვარელ ადამიანებს, დაარიგოს პირადი ნივთები, მოულოდნელად შეიცვალოს ძილის, კვების რეჟიმი და ა.შ.

მითი #3 თუკი ადამიანი თავის მოკვლას ცდილობს, ე.ი. მას ერთმნიშვნელოვნად აქვს გადაწყვეტილი სიკვდილი

ფაქტი: სუიციდის მსურველი ადამიანი სინამდვილეში დილემის წინაშე დგას: ერთი მხრივ, სიცოცხლის გაგრძელება უნდა, მეორე მხრივ კი, იმ ტკივილისთვის ბოლოს მოღება, რომლის ატანაც აღარ შეუძლია. ასეთი ამბივალენტური განცდები და დამოკიდებულებები შეიძლება ადამიანმა სიტყვიერად გამოხატოს ან მის ქცევაში იკითხებოდეს.

მითი #4 თუკი ადამიანმა ერთხელ სცადა თავის მოკვლა და გადარჩა, იგი მეორედ ამას აღარ გააკეთებს

ფაქტი: წარსულში განხორციელებული სუიციდის მცდელობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორია მომავალში ასეთი ქმედების განმეორებისთვის. სტატისტიკის თანახმად, ფატალურად დასრულებული სუიციდის შემთხვევების უმეტესობას წინ რამდენიმე მცდელობა უსწრებდა.

მითი #5 გაუმჯობესება სუიციდალური კრიზისის შემდგომ სუიციდის რისკის გადალახვას ნიშნავს

ფაქტი: ზოგჯერ ეს მართლაც ასეა, თუმცა ხდება ისეც, რომ ადამიანებს მხოლოდ გარეგნულად ეტყობათ გაუმჯობესება, სინამდვილეში კი თავს უკეთ იმის გამო გრძნობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ თავის მოკვლასთან დაკავშირებით. ის აზრი, რომ ტკივილს მალე მოეღება ბოლო, შვების მომტანია და სწორედ ამით აიხსნება ერთი შეხედვით „გაუმჯობესებული“ მდგომარეობა.

მითი #6 სუიციდს უმეტესად ღარიბი ადამიანები ახორციელებენ

ფაქტი: სუიციდი არ არის კავშირში სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. იგი გავრცელებულია ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის.

მითი #7 სუიციდი მემკვიდრეობითია

ფაქტი: სუიციდი მართლაც გვხვდება ახლო ნათესავური კავშირის მქონე ადამიანთა შორის, თუმცა მკვლევართა ნაწილი ასეთი შემთხვევების ალტერნატიულ ახსნას გვთავაზობს. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ოჯახის ერთი წევრის მიერ განხორციელებული სუიციდი გავლენას ახდენს და ცვლის სხვა წევრების დამოკიდებულებას ამ ფენომენის მიმართ. თავის მოკვლა პრობლემასთან გამკლავების ოპტიმალურ საშუალებად აღიქმება.

მითი #8 თავს მხოლოდ დეპრესიაში მყოფი ადამიანები იკლავენ

ფაქტი: დეპრესიის არსებობა მართლაც ზრდის სუიციდის განხორციელების რისკს, თუმცა იგი არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ ადამიანმა სცადოს ან განახორციელოს თვითმკვლელობა.

მითი #9 თუკი ადამიანს სუიციდის შესახებ ვკითხავთ რამეს, ამით შეიძლება თავის მოკვლის იდეა მივაწოდოთ

ფაქტი: სუიციდის განზრახვის შესახებ პირდაპირ დასმული კითხვა არ ქმნის და არ ზრდის ასეთი ქმედების განხორციელების რისკს. თუკი ადამიანს მართლაც აწუხებს მსგავსი აზრები, ამ თემაზე პირდაპირი საუბარი ოპტიმალურ სტრატეგიადაა მიჩნეული. ასეთი საუბარი ხშირად ეხმარება ადამიანს შფოთვის შემცირებაში და ხელს უწყობს სუიციდის პრევენციას.

მითი #10 სუიციდალური ადამიანის დახმარება მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია

ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტის ჩართულობა მნიშვნელოვანია, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სუიციდის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანის დახმარება და მისი ემოციური მხარდაჭერა ახლობლებსაც შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ ფსიქოთერაპიის წარმატებაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სწორედ ოჯახისა და მეგობრების თანადგომაზე. ზემოთ გავრცელებულმა მითებმა და მცდარმა წარმოდგენებმა, შესაძლოა თითოეული ჩვენგანი შეიყვანოს შეცდომაში. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულ

ჩვენგანს გააჩნდეს ზუსტი ინფორმაცია, რაც სუიციდის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სუიციდის სტატისტიკა საქართველოში 2008-2015

2015 წლის 1 ივლისს IDFI-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია 2011-2015 წლებში საქართველოში დაფიქსირებული სუიციდის ფაქტების შესახებ. როგორც ირკვევა, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი, 382 შემთხვევა 2014 წელს ფიქსირდება. 2013 წელს საქართველოში დაფიქსირებულია თვითმკვლელობის 312 შემთხვევა, 2012 წელს - 315 შემთხვევა, ხოლო 2011 წელს - 293 შემთხვევა.

2011 წელს IDFI-ის თვითმკვლელობის მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ 2008-2010 წლების სტატისტიკური მონაცემები მიღებული აქვს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2008 წელს ფიქსირდება სუიციდის 67 შემთხვევა, 2009 წელს - 188 შემთხვევა, ხოლო 2010 წელს - 113 შემთხვევა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტებით, აღნიშნული მონაცემები ეფუძნება სამედიცინო დაწესებულებებიდან და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან მიღებულ მონაცემებს.

სუიციდი, როგორც სოციალური და სამართლებრივი პრობლემა

თვითმკვლელობის დეფინიცია საკმაოდ პრიმიტიული და ამავე დროს ბევრის მოქმელია. ეს არის ნებაყოფლობით საკუთარ სიცოცხლეზე ხელის აღება. მას გაუაზრებელს ვერაფრით ვუწოდებთ. ადამიანი, რომელიც ჩადის სუიციდს, კონკრეტული მიზნითაა მოტივირებული. ის, რაც ბევრისთვის სიცოცხლის მთავარი მიზეზია, თვითმკვლელებისთვის შეიძლება პირიქით, სიკვდილის კარგი მოტივი იყოს. შეიძლება ითქვას, რომ სუიციდი კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობს. ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობით, თვითმკვლელობის ცნება პირველად 4000 წლის წინ დაწერილ ეგვიპტურ ლექსებში გვხვდება. იქ გამოთქმულია აზრი, თუ როგორ დაღალა ადამიანი ცხოვრებამ და როგორ უნდა მას სიკვდილი. ძველად თვითმკვლელობა სურვილის და ნების გამოხატვის თავისუფლებაზე მეტად, ტრადიციებით ნაკარნახები ვალდებულება იყო. ბევრ პირველყოფილ ტომში თავს იკლავდნენ იმიტომ, რომ კვდებოდა მათი ბელადი. თვითმკვლელობის ტრადიციული გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ხარაკირი იაპონიაში, ერთგვარი ნიშანი სიმამაცისა და ვაჟკაცობისა. ინდოეთში ქვრივი თავს იწვავდა თავისი მეუღლის გვამთან ერთად. ამ ქმედებით ის თავის ღირსებას იცავდა, რომ შემდეგში რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი არ გამხდარიყო. სატის ტრადიციის აღმოსაფხვრელად კანონმდებელმა თვითმკვლელობის მცდელობისათვის სასჯელი შემოიღო, რაც ითვალისწინებდა 1 წლამდე ვადით პატიმრობას ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ჯარიმის გადახდის სახით. მიუხედავად ამისა, დღესაც გვევლინება ფაქტები, როდესაც ქვრივები ჩუმად, მაგრამ მაინც იწვავენ თავს გარდაცვლილ მეუღლეებთან ერთად. პარადოქსია, მაგრამ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში თვითმკვლელობის მცდელობა

სიკვდილით ისჯებოდა. აღნიშნული სასჯელი მე-19 საუკუნემდე მოქმედებდა ინგლისში. საინტერესოა, რა მიზანი ამოძრავებდა სახელმწიფოს და ვინ იყო მისი დაცვის ობიექტი.

სუიციდის საკრალიზაცია ხშირად ხდებოდა და დღესაც გავრცელებულია. თვითმკვლელობის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს. არაერთ ისტორიულ პირს დაუსრულებია სიცოცხლე თვითმკვლელობით (ჰიტლერი, სტალინის მეუღლე, გალაკტიონი, ჰემინგუეი), თვითმკვლელობა ამოუწურავი თემაა მსოფლიო ლიტერატურისთვისაც. ეს ფაქტები მხოლოდ იმის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ, რომ სუიციდი ნებისმიერი საზოგადოების, ეპოქისა თუ ფორმაციის პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სუიციდი თანამედროვე მოვლენა სულაც არაა.

სუიციდის სტატისტიკა სხვა ქვეყნებში

დღითიდღე იმატებს თვითმკვლელობების სტატისტიკური მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში, ასაკი კი უფრო და უფრო მცირდება. მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე შემაშფოთებელი სტატისტიკა იაპონიაშია, სადაც თვითმკვლელობას ეპიდემიური ხასიათი აქვს. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 11 წლის მანძილზე იაპონიაში ყოველი 15 წუთის ინტერვალით ხდება თვითმკვლელობები. მსგავსი სტატისტიკა მცირერიცხოვანი ერის შემთხვევაში გაქრობის მიზეზიც შეიძლება გამხდარიყო. იაპონიის პოლიციის ანგარიშით, ყოველწლიურად 30,000-მდე იაპონელი იკლავს თავს. ყველაზე მეტი თვითმკვლელობა კი 2008 წელს დაფიქსირდა, ამ წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით 32 ათასმა იაპონელმა დაასრულა. ეს სერიოზული სოციალური თუ ფსიქოლოგიური პრობლემების ინდიკატორია. მიზეზები მრავალფეროვანია: ოჯახური კონფლიქტები, ფინანსური მდგომარეობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ასე შემდეგ.

2009 წელს თვითმკვლელებს შორის 40%-მა სიცოცხლე სამსახურის დაკარგვის გამო დაასრულა, ხოლო 20%-მა - დაუსაქმებლობის მიზეზით. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, ყველაზე ხშირად თავს 50 წელს გადაცილებული მამაკაცები იკლავენ. არასრულწლოვანთა თვითმკვლელობა საერთო რაოდენობის მხოლოდ 3%-ია, 60 წელს გადაცილებულები 18%-ს შეადგენენ, ხოლო 40 წელს გადაცილებული პირები - 15%-ს.

საფრანგეთში 100 ათას ადამიანზე 26 თვითმკვლელობა ფიქსირდება, მათგან მხოლოდ 9 არის ქალი, დანარჩენები კი მამაკაცები არიან. ეს ტენდენცია სქესის მიხედვით მთელ მსოფლიოში ფიქსირდება.

სუიციდის პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც. რეალობა ძალიან მძიმეა და შემთხვევათა რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. მიიჩნევა, რომ საქართველოში სუიციდითან დაკავშირებული სწორი სტატისტიკა არ არსებობს, რასაც ფსიქიატრები სუიციდთან დაკავშირებულ სტიგმას უკავშირებენ. ოჯახი მაქსიმალურად ცდილობს, დამალოს გარდაცვალების მიზეზი რელიგიური თუ სოციალური მოტივებით.

სუიციდი - გენეტიკურად გაპირობებული საქციელი თუ ქცევის მოდელირება?

მკვლევარებმა გაანალიზეს დეპრესიის მქონე 394 პაციენტის გენომი. მათგან 113 ეცადა თვითმკვლელობას. მიღებული მონაცემები მათ შეადარეს 366 ჯანმრთელი მოხალისის მემკვიდრულ ინფორმაციას. ამას გარდა, ჩატარებული იქნა საკონტროლო კვლევა 744 გერმანელისა და 921 აფროამერიკელის მონაწილეობით, რომელთაგანაც სუიციდური ქმედების ჩადენის მცდელობა ჰქონდა შესაბამისად 152 და 119 ადამიანს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ის პაციენტები, რომლებიც გენის NTRK2 სამი სახიფათო მუტაციის მატარებლები იყვნენ, საშუალოდ 4,5-ჯერ უფრო ხშირად ეცადნენ სუიციდს, ვიდრე პაციენტები, რომლებსაც ეს მუტაციები არ ჰქონდათ. ავტორების სიტყვებით, კვლევის შედეგები ამტკიცებს სუიციდური ქმედების ფორმირებაში მემკვიდრეობითი ფაქტორების როლს. კვლევაში აღნიშნულია, რომ გენეტიკური ფაქტორები დეპრესიულ ფონს განსაზღვრავს, რაც სუიციდის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. თუმცა, გამოტოვებულია ის ფაქტი, რომ ყველა დეპრესიული ეპიზოდი ფატალურად არ სრულდება. დეპრესიისკენ მიდრეკილება ან ამ დაავადების ჩამოყალიბებული არსებობა შესაძლოა ფსიქიკური აშლილობით დასრულდეს და არა თვითმკვლელობით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენეტიკურია არა სუიციდი, არამედ დეპრესია. ჩვენ მივიჩნევთ, რომ მეცნიერების ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგი არ არის საკმარისი სუიციდის გენეტიკურობაზე სასაუბროდ.

უშუალოდ გარემო ასპექტებს რაც შეეხება, აქ შესაძლოა გამოვყოთ პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში, სოციალური და ეკონომიკური ფონი, ურთიერთობა საზოგადოებასთან, თვითდამკვიდრების პრობლემა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა. იმის ცოდნა, თუ რა სოციალური მოვლენა არის სუიციდის ხელშემწყობი ფაქტორი, დაგვეხმარება შემდგომში მასთან ბრძოლაში.

ეკონომიკური წარუმატებლობა მტკივნეულია როგორც დაბალი, ასევე მაღალი ფენის წარმომადგენლებისთვის. თუმცა, მაღალი ფენის პირებს გაცილებით უჭირთ გაურესებულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან შეგუება. ადამიანი, რომელიც მიჩვეულია ნორმალურ პირობებში ცხოვრებას, უფრო რთულად იტანს გაჭირვებას.

პროფესიული მიზეზები – ორეგონის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები 11 წლის განმავლობაში იკვლევდნენ სუიციდს ამ კრიტერიუმის მიხედვით და დაადგინეს, რომ ექიმები და იურისტები 3-ჯერ უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანები.

სქესი – თვითმკვლელობის მცდელობა ქალებში 3-ჯერ უფრო ხშირია, მაგრამ დასრულებული სუიციდი რაოდენობრივად კაცებში ჭარბობს. მამაკაცისა და ქალის თვითმკვლელობების რაოდენობრივი თანაფარდობა 4:1-ია. სუიციდისკენ მიდრეკილ ქალებს ყოველთვის აინტერესებთ, თუ რა მოუვა მათ სხეულს, განსხვავებით კაცებისაგან, რის გამოც გვხვდება განსხვავება თვითმკვლელობის ჩადენის მეთოდებში, კაცები უპირატესობას ანიჭებენ თავის

ჩამოხრჩობას, იარაღიდან გასროლას, ან სიმაღლიდან გადახტომას. ქალები კი შედარებით პასიურ საშუალებებს ირჩევენ: საძილე საშუალებებს, საწამლავებს, გაზს და ასე შემდეგ. რაც შეეხება განსხვავებას მოტივაციაში, ქალების თვითმკვლელობა ხშირად პასუხია რომანტიკულ თუ ოჯახურ წარუმატებლობაზე. მამაკაცების თვითმკვლელობა კი დაკისრებულ სამსახურებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფინანსურ თუ სამართლებრივ ვალდებულებებს უკავშირდება.

ოჯახური მდგომარეობა – როგორც კვლევები აჩვენებს, 20-დან 24 წლამდე ასაკის დაოჯახებულ ახალგაზრდებში თვითმკვლელობის ფაქტები უფრო ხშირია, ვიდრე დაუოჯახებელ პირებში. უფრო სავალალო სიტუაციაა ამ მხრივ 20 წლამდე დაოჯახებულ ახალგაზრდებში. რეალურად ამ სეგმენტისთვის ოჯახური ტვირთის თავზე აღება სუიციდის წინაპირობაა. მსგავსი პრობლემები არ გვხვდება ასაკით უფროს წყვილებს შორის და შესაბამისად სუიციდის რისკიც ნაკლებია. რაც შეეხება განქორწინებულ ადამიანებს, აქ თვითმკვლელობის შემთხვევები 4-5-ჯერ აღემატება დაქორწინებულ პირებში არსებულ სტატისტიკურ მაჩვენებელს.

ასაკი – გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ სუიციდი თავისი არსით ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, მცდარია. სუიციდის გამოვლინება ყველაზე ხშირად ასაკოვან ადამიანებში ხდება. როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს ძალიან რთულად გადააქვთ კლიმაქსი და მისი თანმდევი პროცესები, თუმცა მამაკაცები უფრო ხშირად მიმართავენ ამ უკიდურეს ზომას.

სეზონი - ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სუიციდი განსაკუთრებით პროგრესირებს შემოდგომასა და ზამთარში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ფერთა პალიტრის ცვლილება და მზის ნაკლებობაა, რაც დამორგუნველად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე.

სუიციდის სამართლებრივი ასპექტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 115-ე მუხლი დასჯადად აცხადებს პირის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანას. საინტერესოა მუხლის დისპოზიცია, რომელიც განმარტავს შემდეგს: „თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით“. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ეს დისპოზიცია მეტისმეტად ბუნდოვანია იმისთვის, რომ რომელიმე ადამიანი პასუხისმგებლობაში მივცეთ სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითმკვლელობა არ არის მარტივი გადაწყვეტილება, იგი ერთდროულად არის როგორც სისუსტის, ასევე გამბედაობის გამოვლინება ადამიანში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლოგიკური იქნება სუიციდის (ან მისი მცდელობის) სამი ტიპის გამოყოფა:

1. შანტაჟური სუიციდი, რომლის დროსაც ადამიანი სუიციდის იმიტაციას აწყობს, რომ ზეგავლენა მოახდინოს გარშემომყოფებზე.

2. აფექტური სუიციდი, როცა ადამიანი მომენტალურად იღებს გადაწყვეტილებას სიცოცხლის დასრულების შესახებ. ეს შეიძლება მოხდეს მძიმე ტრავმის თავიდან აცილების მიზნით ან გაუსაძლისი ტკივილის დროს. ხანდახან ადამიანს არ შეუძლია თვალი გაუსწოროს მის თავს დატრიალებულ ტრაგედიას და ცდილობს ცხოვრებას გამოეთიშოს. თუ ასეთ დროს ადამიანს ვინმე შეაჩერებს, მას შეიძლება აღარასდროს მოუხდეს თავის მოკვლა და ინანოს კიდევ მიღებული გადაწყვეტილება.

3. განზრახული ანუ კარგად დაგეგმილი სუიციდი, რომელსაც ადამიანი დამოუკიდებლად ახორციელებს. ასეთ დროს თვითმკვლელს ბოლომდე აქვს გაცნობიერებული საკუთარი გადაწყვეტილება. ხშირად ჩარევას შედეგი არც მოაქვს. ერთ-ერთი ფსიქიატრის სიტყვებით, პაციენტები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან საკუთარი ჩანაფიქრის სისწორეში, გადარწმუნებას რთულად ექვემდებარებიან. გარდა ამისა, მათ, ვისაც მტკიცედ სურთ სიცოცხლის დასრულება, გათვლილი აქვთ გადარჩენის ინსტიქტის არსებობაც და შესაბამისი ზომებიც აქვთ მიღებული. ასეთ დროს პიროვნება გადაწყვეტილებას ჩუმად იღებს და სისრულეშიც ისე მოჰყავს, რომ ოჯახის წევრები მის განზრახვას ვერ ამჩნევენ. ამ ტიპის სუიციდში შესაძლოა მოვიაზროთ „გენური“ სუიციდიც.

განვიხილოთ სუიციდის სამივე სახე კოდექსის 115-ე მუხლთან მიმართებით: შანტაჟური სუიციდის შემთხვევაში პირი „თავის მოკვლას“ იმიტომ კი არ წყვეტს, რომ მის მიმართ არამართლზომიერი ქმედებები ხორციელდება, არამედ უბრალოდ მანიპულირებს სიცოცხლით. ასეთ შემთხვევაში სუიციდი ბოლომდე არც მიდის და შედეგი არ დგება, ასე რომ ცდის გამო ვერავის მივცემთ პასუხისგებაში. დაზარალებული, როგორც წესი, ამტკიცებს, რომ თავის მოკვლა კი არ სურდა, არამედ შემთხვევითობის მსხვერპლი აღმოჩნდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შანტაჟური სუიციდის შემთხვევაში თუ მაინც დადგა სიკვდილი, ეს მართლაც უბედური შემთხვევაა, რადგან სუიციდანტმა უბრალოდ ყველაფერი ვერ გათვალა. აფექტური სუიციდის შემთხვევაში, როგორც წესი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) საერთოდ არ იკვეთება პირი, ვინც შეიძლება დაისაჯოს, მაგ: თუ ადამიანს თავზარი აქვს დაცემული ძვირფასი ახლობლის გარდაცვალების ან ტრაგედიის გამო, გადაწყვეტილებას ალელვებული იღებს. ლოგიკურია, რომ აქ არ არსებობს დასასჯელი სუბიექტი. აფექტური სუიციდის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ვერადადგომასთან დაკავშირებით არსებობს მაგალითი: კლდის პირას ორი პიროვნება დგას - X და Y. X-მა იცის, რომ Y-ს ჰყავს ერთადერთი შვილი და ავი განზრახვით ატყუებს, რომ მისი შვილი გარდაიცვალა. Y კლდიდან ხტება და თავს იკლავს. აქვს თუ არა ადგილი თვითმკვლელობამდე მიყვანას? მიუხედავად იმისა, რომ X-ის განზრახვა ფაქტობრივად განზრახ მკვლელობის რანგში შეგვიძლია გავიყვანოთ, კანონი არ ითვალისწინებს ტყუილისთვის პასუხისმგებლობას.

ყველაზე საინტერესო მაინც დაგეგმილი თვითმკვლელობაა. ცხოვრების კანონზომიერებიდან გამომდინარე, უმიზეზოდ არაფერი არ ხდება, ამიტომ თვითმკვლელობამდე ადამიანი

შექმნილ ვითარებას მიჰყავს, რაც გულისხმობს საზოგადოების დამოკიდებულებას, სოციალურ ფონს და ასე შემდეგ. ადამიანს ყოველდღიურად ხვდება უამრავი სირთულე და დაბრკოლება, რასაც შედარებით გაწონასწორებული ადამიანები კონსტრუქციულად აგვარებენ, სხვები კი პრობლემიდან გამოსავალს თვითმკვლელობაში ხედავენ. საინტერესოა ისიც, რომ სტატისტიკური მონაცემებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თვითმკვლელობა მხოლოდ ფსიქიკურ აშლილობას, თანდაყოლილ ან შეძენილ სიმახინჯეებს ან სომატურ დაავადებებს უკავშირდება. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სწორედ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ჩადენილი თვითმკვლელობები. ჩვენ ყურადღება იმაზე გვინდა გავამახვილოთ, რომ პრობლემები, რომელთა გამოც ადამიანები თავს იკლავენ, ყოფითი, ეკონომიკური და სოციალურია. აღნიშნული გარემოებები ერთიანობაში ან ცალ-ცალკე ქმნიან დაბრკოლებას, რომელიც მსხვერპლს გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს. ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეუძლებელია, ვინმე სხვამ მიგაღებინოს. თუკი თვითმკვლელს ოჯახის რომელიმე წევრთან ან გარეშე პირთან კონფლიქტი აქვს, ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ მეორე მხარის მიზანი პირის თვითმკვლელობამდე მიყვანაა. თუ ადამიანი მიზანმიმართულად ცდილობს, სხვა ადამიანი ფიზიკურად გაანადგუროს, მაშინ საუბარი გვაქვს მკვლელობაზე, რომელსაც სუიციდის სამართლებრივ ანალიზში განვიხილავთ.

სუიციდი იმდენად ინდივიდუალურია და იმდენად არის განპირობებული პირადი გადაწყვეტილებით, რომ ამ მუხლით პირის დასჯის მტკიცებაც და დასჯაც აბსურდულია. ჩვენ გავესაუბრეთ ფსიქიატრებს, ფსიქოლოგებს, ყოფილ და მოქმედ სამართალდამცავებს და მათი უმრავლესობა თანხმდება, რომ ეს მუხლი უფუნქციოა. მისი არსებობა მხოლოდ სიტუაციიდან გამოსავლის ძიებით აიხსნება. ჩვენი ღრმა რწმენით, უმჯობესი იქნება, თუ ქართულ კანონმდებლობაში არ იარსებებს უსარგებლო მუხლები. საჭიროა კოდექსის გადახედვა და თანამედროვეობასთან ადაპტირება.

სუიციდის შესწავლამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება აუცილებელია. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება და ცალმხრივი მიდგომა. დასასრულს კი გავიმეორებთ ერთ-ერთი ფსიქიატრის მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომას, თუ რატომ არის შეუძლებელი პირის მიყვანა სუიციდამდე. სუიციდზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ კონკრეტულად თვითმკვლელს შეუძლია. განზრახვა სიცოცხლის დასრულების შესახებ პროგრამას ჰგავს, რომელიც არ ჩერდება, სანამ ისე არ გაანადგურებს ადამიანს, როგორც ვირუსი - კომპიუტერს.

კითხვები მსჯელობისთვის:

- სუიციდის მაპროვოცირებელი რომელი ძირითადი ასპექტებია თქვენთვის ცნობილი?
- ძირითადად რა მიზეზები განაპირობებს მოზარდებში სუიციდს?

- როგორ შეგვიძლია ამოვიცნოთ ინდივიდის განზრახვა, თუ ადამიანი ღიად არ აფიქსირებს სუიციდის გააწყვეტილებას?
- რა მიმართულებით არის ჩასატარებელი მუშაობა პირთან, რომელმაც სუიციდი სცადა?

თავი XIV

საზოგადოების მობილიზება და ადვოკატირება

წინამდებარე თავში განხილულია საზოგადოების როლი მიუსაფარ ბავშვთა პრობლემებთან ბრძოლის საკითხებში; ადვოკატირების მნიშვნელობა და სოციალური მუშაკის როლი თემის მობილიზების დროს.

როდესაც საზოგადოება ჩართულია მიუსაფარ ბავშვთა დასახმარებელ პროექტებში, უფრო მარტივი ხდება იმის გაანალიზება, რომ ამ ბავშვთა პრობლემები წარმოადგენს სრულიად საზოგადოების პრობლემას. ასევე, გასაგები ხდება, რომ ბავშვთა პრობლემებს აქვს ძალიან ბევრი გამომწვევი მიზეზი და სხვადასხვაგვარი შედეგი.

საზოგადოების ჩართულობა ადამიანებში პასუხისმგებლობის გრძნობას აჩენს. ისინი უფრო ნათლად ხედავენ არსებულ პრობლემებს და უფრო აქტიურად ერთვებიან პროგრამებში, უკვე საკუთარი ინიციატივით.

მიუსაფარ ბავშვებს ცხოვრება უწევთ განსხვავებული ტიპის საზოგადოებაში, რომელიც შედგება ე.წ. „ქუჩის მასწავლებლების“, დახმარების სააგენტოების, სამართალდამცავთა საინფორმაციო წყაროების, კანონის დამპროექტებლებისა და კანონდამრღვევებისგანაც. აქედან გამომდინარე, მიუსაფარ ბავშვთა გარემოცვა მეტად კომპლექსურია.

აქვე შემდეგ პრობლემასაც ვაწყდებით: სამწუხაროდ, მიუსაფარი ბავშვები ავტომატურად ასოცირდებიან კრიმინალებთან და ეს ხდება სწორედ იმ სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ, რომლებიც პირველები უნდა იცავდნენ ამ ბავშვთა უფლებებს. ხშირად ფიქსირდება არასამართლიანი მოპყრობის შემთხვევები, სწორედ მსგავსი სტერეოტიპების არსებობის გამო.

მეორე მხრივ, არსებობს კანონდამრღვევთა ქსელი, რომელიც გარკვეულ ფინანსურ უზრუნველყოფას უწევს მიუსაფარ ბავშვებს, თუმცა, ამის სანაცვლოდ, ავალდებულებს კრიმინალური ქმედებებში მონაწილეობის მიღებას. ზოგჯერ კი მათზე სექსუალურად ძალადობენ.

ეს ყველაფერი ზოგად წარმოდგენას ქმნის, თუ რა პრობლემებისა და საფრხეების წინაშე დგანან ეს ბავშვები და როგორი სახის დახმარება ესაჭიროებათ.

საზოგადოებას აქვს პოტენციალი, დაეხმაროს მიუსაფარ ბავშვებს, როგორც საარსებო რესურსების მობილიზებით, ისე მათი უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით.

საზოგადოების დამოკიდებულების გაუმჯობესების პროცესში, აუცილებელია წინასწარ, გარკვევით ჩამოვყალიბოთ, თუ რას მოველით მათგან, მობილიზება გავუკეთოთ რესურსებს და მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვთ დახმარება საზოგადოებას და მოვუწოდოთ თანამშრომლობისკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გვინდოდეს საზოგადოებისგან, არის მიუსაფარ ბავშვთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა და მათი თანაბარუფლებიანობა საზოგადოების დანარჩენ წევრებთან მიმართებით. პროცესის დასკვნითი სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს კი წარმოადგენს საზოგადოების ყურადღების გამახვილება მგრძნობიარე საკითხებზე, რომლებიც მჭიდრო კავშირშია თქვენს პროგრამასთან. თქვენ უნდა შეძლოთ თქვენს თანამშრომლობის სურვილის გაღვივება, შემდგომ - მათი მოტივირება და აქტიურობის საშუალების მიცემა. სწორედ მათი მხარდაჭერის შემთხვევაში ხდება შესაძლებელი ქმედითი ადვოკატირება.

ეფექტური ინტეგრირებისთვის აუცილებელია, კარგად გავცნოთ საზოგადოებას, მის დამოკიდებულებას მიუსაფარი ბავშვების მიმართ და ურთიერთკავშირს. საზოგადოების გაცნობის პროცესში გამოიყოფა შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები:

- საზოგადოების წარმოდგენლებთან და მიუსაფარ ბავშვებთან არაფორმალური საუბრები;
- საზოგადოების შესახებ ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბება, დამახასიათებელი ფუნქციებისა და გავლენის სფეროების იდენტიფიცირება;
- გარკვევა, თუ რა დამოკიდებულება აქვს მოცემულ საზოგადოებას ჩვენ მიერ წამოჭრილი პრობლემებისა და ღონისძიებების მიმართ;
- გარკვევა, თუ რამდენად ეთანხმებიან ჩვენს შეთავაზებას;
- უნდა განისაზღვროს ინტერსთა კონფლიქტის წარმოქმნის ყველა შესაძლებლობა.

როგორ მოვახდინოთ საზოგადოების მობილიზება და მოტივირება:

საზოგადოების მობილიზება იწყება ინფორმაციის მიწოდებით. აუცილებელია, განიხილებოდეს მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხები (ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, სექსუალური ძალადობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები). მნიშვნელოვანია მათი უფლებებისა და კანონმდებლობის გაცნობაც.

საზოგადოების მობილიზებისა და მოტივაციისთვის აუცილებელია:

- მონაწილეობის წახალისება მრჩეველთა კომიტეტის მიერ;

- მოერიდეთ შეზღუდვებს. ხაზი გაუსვით, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და შეცვალოს მიუსაფარ ბავშვთა არსებული მდგომარეობა;
- საზოგადოებას პატივისცემითა და ჰუმანურობით მოეკიდეთ. აუდიტორიისგან ყოველთვის შეიძლება რაიმე სასარგებლოს სწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს, სწორად წარიმართოს თქვენი სამუშაო გეგმა;
- მნიშვნელოვანი ფაქტორია კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება. შესაძლოა თავდაპირველად ეს პროცესი სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ საზოგადოების როლის გაცნობის შემდეგ ბევრად მარტივი ხდება მოცემული პუნქტის წარმატებით შესრულება.

საზოგადოების ჩართვის პროცესი მიუსაფარი ბავშვების პროგრამების განხორციელების ხელშეწყობაში

მიუსაფარ ბავშვებს ბევრჯერ წარმატებით განუხორციელებიათ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი პროექტები თუ აქტივობები. იგულისხმება საგაზეთო და რადიო ინტერვიუები, საუბრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, პრეზენტაციები სკოლებში და სპორტული ღონისძიებები ქუჩებში, სავაჭრო ცენტრებსა და საეკლესიო ზონებში. ამ თემასთან დაკავშირებულმა პროექტებმა აჩვენა, რომ ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის საკითხებში ორგანიზაციათა ქსელების თანამონაწილეობა ძალიან სასარგებლოა. განსხვავებული ჯგუფების ერთობლივი ჩართულობა პროგრამების ქმედითუნარიანობას ზრდის და კონკრეტულ საკითხებში ადვოკატირებასაც ამარტივებს.

შეგვიძლია განვიხილოთ ბრაზილიის მაგალითი, სადაც შეიქმნა „ნაციონალური მოძრაობა ე.წ. ქუჩის ბიჭებისა და გოგონებისათვის“ (Movimento Nacional de Meninos e Meninas de Rua – MNMMR). მოძრაობის მთავარი მიზანია მიუსაფარ ბავშვებზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა, დოკუმენტირება და ინფორმაციის გავრცელება. ეს პროექტი პარალელურად უზრუნველყოფს სოციალური მუშაკების გადამზადებას ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ოჯახური კონსულტაციების მიმართულებით. აქცენტი კეთდება ახალგაზრდების ჩართულობაზე, რადგან მათი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმნიშვნელოვანესია. ორგანიზებულია სოციალურ მუშაკთა და მოხალისეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ღონისძიებები.

ძლიერი ადგილობრივი მხარდაჭერისათვის პროექტი მცირე კომიტეტთა შორის კომუნიკაციის მაღალ დონეს ითვალისწინებს. წევრები კვირაში ერთხელ იკრიბებიან, რათა ერთმანეთს გააცნონ მიმდინარე სიახლეები და განიხილონ დაკისრებულ ფუნქციებთან დაკავშირებული სირთულეები თუ მიღწევები.

MNMMR-ის დახმარებით შეიქმნა სახელმწიფო ცნობარი - წიგნი სახელმწიფო საგამომიებო სამსახურის მიერ ბრაზილიის რეალობაში მიუსაფარ ბავშვთა წინააღმდეგ არსებული ძალადობის ხასიათის შესახებ.

მასალების საჯაროობის, საზოგადოების ინფორმირების კამპანიებისა და მონიტორინგის კარგი ხარისხის საშუალებით MNMMR ახერხებს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესზე, ასევე მიუსაფარი ბავშვების პრობლემების გადაჭრაზე.

მიუსაფარ ბავშვთა პრობლემების ადვოკატირება

სოციალური მუშაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა საზოგადოების წევრებთან, მიუსაფარ ბავშვთა მდგომარეობის შესახებ საუბარი, არსებული დამოკიდებულებების ცვლილება, რასაც ადვოკატირება ეწოდება. ადვოკატირების მიზანია მიუსაფარი ბავშვების პრობლემებისა და მათი წარმომქმნელი მიზეზების აღმოფხვრა თითოეული მოქალაქის, ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმირების და ჩართულობის გზით. მაგალითად, ადვოკატირების საშუალებით შესაძლებელია ცვლილების შეტანა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში. ამჟამად არასრულწლოვანის მკურნალობის პროცესში მშობლის ან მეურვის წარმოდგენა აუცილებელია, რაც აცდენა კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის. მიუსაფარ ბავშვთა ადვოკატირება ყველაზე კარგად მუშაობს მაშინ, როცა სამუშაო ველის ფსიქოლოგია, არსებული კულტურა და ინტერესები კარგად არის შესწავლილი და გარკვეულია, თუ რას ითვალისწინებს ადგილობრივი კანონმდებლობა. ადვოკატირება მკვეთრად უნდა უსვამდეს ხაზს მიუსაფარ ბავშვთა გარშემო არსებულ პრობლემებსა და მათი უფლებების დაცვის აუცილებლობას.

საზოგადოების ადვოკატირების პროცესში ჩართვის მეთოდები:

- ***რადიო, ტელევიზია და ადგილობრივი გაზეთი:*** საზოგადოებას, მიუსაფარ ბავშვებსა და სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ ინფორმაციის გავრცელება მედიის დახმარებით. რადიო და სატელევიზიო ინტერვიუები კარგი გზაა ბავშვთა საჭიროებების წარმოსაჩენად.
- ***კონკრეტული საჩივრების წარმოდგენა:*** საჩივარი შეიძლება შედგეს მიუსაფარი ბავშვების კეთილდღეობისა და უფლებების მხარდასაჭერად. ასევე შესაძლებელია მონიტორინგი, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები;
- ***არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებთან დაახლოება:*** მიუსაფარი ბავშვების პრობლემატიკა ახლოსაა ბავშვთა უფლებების, ნარკოპოლიტიკისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან. შესაბამისად, ამ მიმართულებებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ სოციალურ მუშაკებს ტრენინგებითა და სემინარებით.

- **მხარდამჭერთა გაზრდის მიზნით ღონისძიებები:** აუცილებელია ღია ღონისძიებების ორგანიზება თანამოაზრეების შეძენის მიზნით. უნდა დაიგეგმოს ღონისძიებების სერია, რომლითაც შესაძლებელი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, რელიგიური ორგანიზაციების, ადგილობრივი ან საერთაშორისო ბიზნესის წარმომადგენელთა, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სპორტული გაერთიანებების დაინტერესება;
- **ბროშურების გამოქვეყნება:** ბროშურაში მითითებული იქნება, კანონმდებლობის რომელი პუნქტები მოდის წინააღმდეგობაში არსებულ რეალობასთან და რა არის ჩასასწორებელი. ბროშურების გავრცელება შეიძლება სკოლებში, მაღაზიებში, ბენზინგასამართ სადგურებში, ბიბლიოთეკებში, რესტორნებში, ეკლესიებში და ა.შ.;
- **დრამის, მწერლობისა და ხელოვნების კლუბები:** საზოგადოების დაინტერესება ამ გზითაც ეფექტურია. მაგ. შესაძლებელია სპექტაკლის/თეატრალური წარმოდგენა, რომელიც ხაზს გაუსვამს მოცემულ პრობლემებს და მაყურებელსა თუ მკითხველს თავის სათქმელს გადასცემს.
- **საინფორმაციო ცენტრების ჩართულობა:** საინფორმაციო ცენტრებს შეუძლიათ ყურადღება გაამახვილონ მიუსაფარ ბავშვთა მხრიდან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შედეგად წარმოქმნილ პრობლემებზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და სხვა საკითხებზე.
- **შეხვედრები/დისკუსიები:** შესაძლებელია სამართალდამცავთა და პოლიტიკოსთა მოწვევა თუნდაც უკვე გადანაწილებულ ფუნქციებში მონაწილეობის მისაღებად და აქტიურად ჩასართავად. ორგანიზებული შეხვედრები მათ საკუთარი როლის სრულად გაცნობიერებაში დაეხმარება.

საველე სამუშაოები

აუცილებელია არაფორმალური ვიზიტები პოტენციურ ჯგუფში. სამუშაო ველს წარმოადგენს როგორც კერძო სექტორი (მაღაზიის მფლობელები და ა.შ.), ასევე სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები და თავად მიუსაფარი ბავშვები. მნიშვნელოვანია, დაისვას შემდეგი კითხვები:

- ამ დრომდე თუ მოუხდენიან იდენტიფიცირება მიუსაფარი ბავშვების მათ საზოგადოებაში?
- მათი აზრით, რა ასაკიდანაა დასაშვები, ბავშვმა თავად დაიწყოს თანხის გამომუშავება? რა ასაკიდან დაიშვება ნორმად ბავშვების მშობლებისგან წასვლა დამოუკიდებლად საცხოვრებლად? არის თუ არა ამ მხრივ ასაკობრივი სხვაობა სქესის მიხედვით?

- როგორია საზოგადოების ღირებულებითი სისტემა? როგორია მათი დამოკიდებულება ბავშვებთან, სიღარიბესთან და სხვათა დახმარებასთან მიმართებით?
 - რომელი რელიგიური სარწმუნოების მიმდევარნი არიან მიუსაფარი ბავშვები? მონაწილეობენ თუ არა ისინი რელიგიურ ცერემონიებში, რიტუალებსა და დღესასწაულებში?
 - რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების გამოყენებასთან მიმართებით? რამდენი მოზრდილი იყენებს რაიმე სახის ნივთიერებას მოცემულ საზოგადოებაში?
 - რას ფიქრობს საზოგადოება მიუსაფარი ბავშვების სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე (აივ ინფექცია/შიდსი/სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები)? ფიქრობენ თუ არა, რომ მიუსაფარ ბავშვებს ესაჭიროებათ მათი დახმარება?
 - რა სახის ღონისძიებები წარმოუდგენიათ მიუსაფარი ბავშვებისათვის შესაბამისად და არის თუ არა სხვაობა სქესის მიხედვით ბავშვების მიმართ დამოკიდებულებაში?
 - რომელი ეთნიკური ჯგუფი წარმოადგენს უმრავლესობას მოცემულ საზოგადოებაში? როგორია მათი შეხედულებები მომუშავე ბავშვებთან, ოჯახთან, ნარკოტიკულ ნივთიერებებთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან მიმართებით?
 - როგორი შეხედულება აქვს საზოგადოებას მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე ადამიანებზე?
 - როგორ უყურებს სახელმწიფო უწყებები მიუსაფარ ბავშვებს და მათთან მომუშავე ადამიანებს? თუ გრძნობს რაიმე სახის პასუხისმგებლობას ამ ბავშვების მიმართ და თუ გამოხატავს ბავშვების დახმარების პროცესში ჩართვის სურვილს?
 - არსებობს რაიმე სახის კანონი, რომელიც ახდენს ბავშვთა ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის პრევენციას? არსებობს თუ არა რაიმე სახის კანონი ან პრევენციის მეთოდი ე.წ. ქუჩის „მასწავლებლების“ ბავშვებთან მუშაობის აკრძალვა/ხელის შეშლის შესახებ?
 - არსებობს თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციები? როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას მათ მიმართ?
- გამოიყენეთ ეს ინფორმაცია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან დასაახლოვებლად და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად.

ადვოკატირების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული კანონმდებლობის ცოდნას!

მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავეთათვის აუცილებელია კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს:

- მიუსაფარ ბავშვებს ხშირად მოსდით დაპირისპირება სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. სოციალურ მუშაკებს უნდა შეეძლოთ ამ ბავშვების არაფორმალური ადვოკატირება. აღნიშნული ფუნქციის შესათვისებლად, მათ უნდა ჩამოაყალიბონ სამუშაო ურთიერთობები ადგილობრივ სახელისუფლებლო ორგანოებთან, პოლიციასთან და იურისტებთან;
- არის შემთხვევები, როდესაც მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკები აღიქმებიან კრიმინალებად, რადგან მათ აქვთ ახლო ურთიერთობა ამ ბავშვებთან. ზოგჯერ ხელისუფლება შეცდომაში შედის და სოციალურ მუშაკებს აიგივებს ხალხთან, რომელიც ექსპლუატაციას უწევს მიუსაფარ ბავშვებს. მსგავსი გაუგებრობისას, შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია კარგი იურიდიული განათლება, რათა ვიცოდეთ ჩვენი უფლებები. ასევე, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
- ქუჩაში მუშაობისას, სოციალური მუშაკები შესაძლოა წააწყდნენ წინააღმდეგობას ადგილობრივ, სახელმწიფო ან საერთაშორისო სამართალთან მიმართებით, ან მოვიდნენ წინააღმდეგობაში კანონსა და პრაქტიკას შორის. შესაძლოა, მათ იგრძნონ რეფორმის აუცილებლობა კანონმდებლობაში, ან სამართალდამცავ ორგანოებში.

რა უნდა იცოდეთ თქვენი უფლებებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესახებ თქვენი სამუშაო ველის პირობებში:

- **გარემოებები** - თუ რა შემთხვევაში შეუძლია პოლიციას, დააკავოს ან მოძებნოს და დაკითხოს მიუსაფარი ბავშვი; შევიდეს კერძო საკუთრებაში ან ახალგაზრდულ ცენტრში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამისთვის ორდერი;
- **მიზეზები** - თუ რის გამო შეუძლია პოლიციის თანამშრომელს, დააყოვნოს ან სულაც დააკავოს მიუსაფარი ბავშვი.
- **ვადები** - თუ რა ხნის განმავლობაში აქვს პოლიციას უფლება, ბავშვი ჰყავდეს დაკავებული კონკრეტული ბრალდების არსებობის გარეშე.
- აქვს თუ არა პოლიციას უფლება, ხელი შეუშალოს ან ჩაერიოს მიუსაფარი ბავშვების შეკრებაში კერძო ან საჯარო ადგილას.
- რა შემთხვევებშია შესაძლებელი პოლიციამ დააკავოს და დაკითხოს ე.წ. „ქუჩის მასწავლებელი“.

ბავშვის დასაცავად აუცილებელია სოციალურმა მუშაკმა იცოდეს:

- ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, რა ასაკიდან მიიჩნევიან ახალგაზრდები უკვე სრულწლოვნებად;

- არის თუ არა დასაშვები, მიუსაფარი ბავშვები იმყოფებოდნენ საპატიმრო დაწესებულებაში იმავე პირობებში, რა პირობებშიც - სრულწლოვანი პატიმრები;
- არსებობს თუ არა დასჯის განსხვავებული მეთოდები ბავშვებსა და სრულწლოვნებში, არსებობს თუ არა სპეციალური საერთო საცხოვრებლები ან ბანაკები;
- განადგურდება თუ არა ბავშვობაში ჩადენილი დანაშაულებების ჩანაწერები მას შემდეგ, რაც ისინი სრულწლოვნები გახდებიან;
- შეუძლია თუ არა სოციალურ მუშაკს, რაიმე სახის ღონისძიებით, გაათავისუფლოს დაკავებული მიუსაფარი ბავშვი.

სახელმწიფო იურიდიული დახმარება:

- უფასო იურიდიული დახმარების არსებობა ბავშვებისთვის, რომლებიც დააკავეს ან წარდგნენ სასამართლოს წინაშე. როგორ შეიძლება გავუწიოთ იურიდიული დახმარება მიუსაფარ ბავშვს.
- არსებობს თუ არა მიუსაფარი ბავშვებისათვის ადვოკატთა დახმარების სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს მათ დაცვას ანაზღაურების გარეშე.

რას ითვალისწინებს კანონმდებლობა სოციალურ მუშაკებთან მიმართებით:

- იცავს თუ არა კანონი ე.წ. „ქუჩის მასწავლებელს“, სოციალურ მუშაკს სამუშაო ველის პირობებში;
- არსებობს თუ არა რაიმე სახის შეზღუდვა სოციალური მუშაკებისთვის მუშაობის პროცესში, ბავშვებთან კონტაქტისას ან ადვოკატირების პროცესში, როცა მიუსაფარ ბავშვს უწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა.

კონფიდენციალურობის საკითხი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები - თუ რა სახით უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება სამართალდამცავ სტრუქტურებში მიუსაფარი ბავშვების მიმართ შეურაცხყოფის მიყენების ან ძალადობის შემთხვევებში;
- ე.წ. „ქუჩის მასწავლებლის“ ვალდებულებები - თუ ის მოწმე გახდა მიუსაფარი ბავშვის მხრიდან სამართალდარღვევისა და კრიმინალის ჩადენისა;
- ე.წ. „ქუჩის მასწავლებლის“ ვალდებულებები - თუ მიუსაფარი ბავშვი აღიარებს, რომ არის კრიმინალის მონაწილე.

კრიმინალიზაცია — ტერმინი სისხლის სამართალში, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ ქმედების დანაშაულებრივად გამოცხადებას, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლის (დასჯადობის) საფუძველია.

- რა რეაგირება უნდა მოახდინოს სოციალურმა მუშაკმა, თუ ის აღმოაჩენს მიუსაფარ ბავშვს ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ან აღმოაჩენს, რომ ბავშვი ყიდის ნარკოტიკულ ნივთიერებებს;
- რას ითვალისწინებს ადგილობრივი კანონმდებლობა მიუსაფარი ბავშვის ოჯახის წევრების სტატუსის შესახებ ინფორმაციის მოძიებასთან მიმართებით.

ინფორმაცია კანონმდებლობისა და იურიდული სტატუსების შესახებ შესაძლოა მოძიებულ იქნას საკანონმდებლო ორგანოებში, სამთავრობო უწყებებში და ა.შ.

დასკვნა

საკითხავ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია დაეხმარება სოციალურ მუშაკებსა და თემით დაინტერესებულ პირებს, აიმაღლონ ცოდნა მიუსაფარი ბავშვების პრობლემების და მათი საჭიროებების შესახებ.

მასალა მოიცავს მიუსაფარ ბავშვთა რთული ქცევის ასპექტებს, დევიაციურ ქცევასა და დადებითი ქცევის განმტკიცების ფორმებს, ტრეფიკინგისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებს. ასევე, მოცემულია საკანონმდებლო რეგულაციები, კონვენციები, სერვისები, სოციალური მუშაკის როლი კონკრეტულ სიტუაციაში და შესაბამისი რეფერირების გზები.

სახელმძღვანელოში განხილული საკითხების გაცნობა არსებულ სერვისებზე, პრევენციის ღონისძიებებსა და ინტერვენციის გზებზე, დაეხმარება სოციალურ მუშაკებს, მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობა უფრო ეფექტურად წარმართონ. აგრეთვე დახმარება გაუწიოს, გააძლიეროს და გაამყაროს ოჯახი შესაბამისი ცოდნითა და ტექნიკებით, რომ შეძლონ შვილის მდგომარეობის გაგება, სარისკო ქცევის დროული დანახვა და რეაგირება, ბავშვის მხარდაჭერა, საჭირო სიტუაციაში შექება, წახალისება და თვითრწმენის განმტკიცება.

მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკი დაეხმაროს მიუსაფარ ბავშვებს, გაამხნევოს და წახალისოს ახალი, საინტერესო ნაბიჯების გადადგმაში. ხელი შეუწყოს რესოციალიზაციასა და ინტეგრაციაში, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებასა და მომავლის დაგეგმვაში.

მასალა სრულიად შეესაბამება ტრენინგ-კურსის თემატიკას და მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, ფართო ჭრილში გაეცნონ მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებს, მოახდინონ არსებული სიტუაციის ანალიზი და შეუმუშავონ სამოქმედო გეგმა.

ბიბლიოგრაფია:

- შორენა სამაგლიშვილი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, (2011): სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ინდივიდებთან, პრაქტიკული სახელმძღვანელო,
- ნამიჭეიშვილი სალომე, (2015): „კეთილდღეობის რეფორმის კვლევა საქართველოში - სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციები და განვითარების სამომავლო სტრატეგიები“

- ტურავა მერაბ (2006): “სისხლის სამართალი“
- ჩოხელი თინათინ, ნ. ო. (2016), გამომცემლობა News Laboratory: „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა საქართველოში“
- ავტორთა კოლექტივი (2006 წ.) “სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“
- ევროპის საბჭოს 2016-2020 წლების სტრატეგია: „ბავშვის უფლებების შესახებ“
- გაეროს დევენილთა სააგენტო 2014-2019: „გლობალური სტრატეგია დაკავების მიღმა“
- საქართველოს კანონი “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”
- გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა შესახებ“
- საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“
- საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“
- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ყოველწლიური სტატისტიკა განათლების შესახებ (შედგენილი EMIS-ის მიერ), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, (2007)
- საქართველოს სახალხო დამცველი, (2015): სპეციალური ანგარიში მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგის შესახებ
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების შესახებ“
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“
- ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989), UNICEF
- Ghimire, L. (2014): „Being on the Street“ (Causes, Survival Strategy and Societal Perception An Empirical Study of Street Children in Kathmandu)

- Yousaf, N., Zahid, A., & Basharat, Z. (2014): „A qualitative exploration of Pakistan’s street children, as a consequence of the poverty-disease cycle“
- International Labour Office, Geneva (2010): „Migration and child labour“
- United Nations Children’s Fund (UNICEF), „A Summary of the Rights under the Convention on the Rights of the Child“
- United Nations Audiovisual Library of International Law, 2012: „Convention on the Rights of the Child and optional Protocols Thereto“
- A Guide for Professionals Working in Alternative Care, SOS Children’s Villages International: „Securing Children’s Rights“
- Children’s Rights Alliance (2013), Summary of the UN Convention on the Rights of the Child
- Annual report of the United Nations High Commissioner for Human Rights and reports of the Office of the High Commissioner and the Secretary-General, (UN) 2012: „Promotion and protection of all human rights, civil, political, economic, social and cultural rights, including the right to development“
- Department of Social Development of Republic of South Africa, 2011: „Strategy and Guidelines for Children living and working in the streets“
- SOS Children’s Villages International, „Securing Children’s Rights – A Guide for Professionals Working in Alternative Care“
- Association of Social Workers, 2012: „Standards for Social Work Practice in Child Welfare“
- Australian Association of Social Workers, 2015: Scope of Social Work Practice – Social Work in Child Protection
- World Health Organization „Working with street children, Module 9 - Involving the Community“
- Understanding Sexual and Reproductive Health including HIV/AIDS and STDs Among Street Children, WHO
- http://unicef.ge/uploads/DO_not_call_me_a_street_child_GEO.pdf
- http://unicef.ge/uploads/CRC_georgian_language_version.pdf
- https://www.unodc.org/pdf/youthnet/who_street_children_module4.PDF
- Асанова, Н. К. (1997). Руководство по предотвращению насилия над детьми. Гуманитарный издательский центр ”Владос”

- Козлова, Г.Л., Мирейчик Л.Н., Пряхина М.В. (2003). Насилие над детьми. Его виды и возможности предупреждения. Минск
- Кузьмина, З.Г. (2010). Справочник по выявлению и оказанию помощи несовершеннолетним, пострадавшим от жестокого обращения и пренебрежения их нуждами - СПб: ©«Право на здоровье», "Врачи детям".